# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, № 13 (2792) გამოცემის მე-60 წელი, 1991 29 მარტი ფასი 40 კაპ.




იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირი!..

## საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს ს. მიხალკოვს, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ორგმდივანს ს. კოლოვს

პატივცემულო ბატონებო!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, რომ შემიყვანეთ საბჭოთა მწერალთა მე-9 ყრილობის მოსამზადებელ საორგანიზაციო კომიტეტში. მაგრამ, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე ვერ მივიღებ მონაწილეობას ამ კომიტეტის მუშაობაში, ვინაიდან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გამოეყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამწერლო ორგანიზაციად. ამიერიდან მას ეწოდება საქართველოს მწერალთა კავშირი.

ბუნებრივია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ არავითარი კავშირი და შეხების წერტილი აღარ გვექნება შესანიშნავ რუსულ თუ სხვა რესპუბლიკების მწერლობასთან და მწერლებთან. საქართველოს მაშინაც კი ჰქონდა ნაყოფიერი კავშირი რუსულ მწერლობასთან, როცა საერთოდ არ არსებობდა თვით საბჭოთა კავშირი და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირი.

კვლავინდებურად გამოვა ქართულ ენაზე რუსი და სხვა ეროვნების მწერლების ღირსეული ნაწარმოებები. ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ მთელს კავშირში პირველად საქართველოში შეიქმნა მხატვრული ლიტერატურის თარგმნის კოლეგია.

მით უფრო სამწუხაროა, რომ საკავშირო სამდივნოდან ხშირად გაისმის წერილობითი თუ სიტყვიერი მუქარა, რაკი გვეყოფით, დღეიდან ჩვენი გამომცემლობები ქართველი მწერლების წიგნებს აღარ გამოსცემენო.

თქვენი ნებაა!

ოღონდ, უნდა დავსძინოთ, ძალზე სამწუხარო და თქვენთვის ძალზე წამგებიანი მუქარაა. გამოდის, რომ თქვენ ქართველი მწერლების წიგნებს იმიტომ სცემდით, ჩვენი კავშირი ცენტრს რომ ექვემდებარებოდა. ჩვენ სხვანაირად გვეგონა. გულუბრყვილოდ ვფიქრობდით, რომ თქვენ რუსულ ენაზე ქართველი მწერლების იმ ნაწარმოებებს ბეჭდავდით და სცემდით, მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას რომ წარმოადგენდა. „ლენინური ეროვნული პოლიტიკის" გამო წიგნების გამოცემა მხოლოდ პროფანაცია და გაყალბებაა ლიტერატურისა. მაგრამ ნებისმიერი ეროვნული მწერლების იმ ნიმუშების გამოცემა, რომელთა მხატვრული დონე საყურადღებოა რუსი და რუსულ ენაზე მკითხველი საზოგადოებისათვის, მისასალმებელია. და თუ თქვენ განახორციელებთ თქვენს მუქარას ლიტველი, ლატვიელი, ესტონელი, მოლდოველი და ქართველი მწერლების მიმართ, არა მგონია, მოგებული დარჩეს რუსული ლიტერატურა. კიდევ ვიმეორებთ, ქართულ ენაზე კვლავაც ძველებურად გამოვა რუს კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორც აქამდე გამოდიოდა.

და თან, რაც მთავარია, ისიც უნდა დავსძინოთ, რომ საკავშირო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას ოდნავადაც არ ამშვენებს მსგავსი მუქარა. თუმცა ნება თქვენია, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით.

თუ ქართველი მწერლების ნაწილიისურვებს დარჩეს საკავშირო მწერალთა კავშირის წევრად, მათი ნებაა. ისინი აირჩევენ თავის დელეგატებს და წარგზავნიან მოსკოვში.

ჩვენის მხრივ კი, თუ თქვენ ამის სურვილი გექნებათ, გამოვგზავნით მეთვალყურეთა ჯგუფს.

პატივისცემით
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

**მ. მაჭავარიანი**

## საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ!

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნოს 1989 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გამოეყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირს და გახდა დამოუკიდებელი შემოქმედებითი ორგანიზაცია — საქართველოს მწერალთა კავშირი. განვლილ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, რაც ამ გამოყოფასთან იყო დაკავშირებული. ახლა კი დადგა გადამწყვეტი და საბოლოო წუთი, ჩასატარებელია კიდევ ერთი სასწრაფო და პრაქტიკული ღონისძიება. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველმა წევრმა (თუ კი, რასაკვირველია, მას სურს იყოს საქართველოს დამოუკიდებელი მწერალთა კავშირის წევრი) უნდა დაწეროს შესაბამისი განცხადება და ჩააბაროს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკი. — ამასთანავე, იგი უმალვე მიიღებს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკს.

ისინი, ვინც ა. წ. პირველ მაისამდე ვერ გამოეხმაურებიან საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს ამ მიმართვას, არ დაწერენ განცხადებას და არ ჩააბარებენ სსრკ მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკს, მექანიკურად რჩებიან სსრკ მწერალთა კავშირის წევრებად.

ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ, რომ მსურველებს უფლება აქვთ დარჩნენ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრებად. ოღონდ ისინი ვეღარ იქნებიან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები. ასე მოიქცნენ, მაგალითად, აფხაზები და ოსები.

ვალდებულნი ვართ, აგრეთვე, განვაცხადოთ, რომ ისინი, ვინც მოისურვებენ დარჩნენ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრებად, უფლებამოსილნი არიან, აირჩიონ დელეგატები სსრკ მწერალთა კავშირის მეცხრე ყრილობაზე გასაგზავრებლად, ყრილობა გაიმართება ა. წ. 20-24 მაისს მოსკოვში. მათ, აგრეთვე, უფლება აქვთ, შექმნან თავიანთი ასოციაცია და უშუალოდ დაემორჩილონ მოსკოვს.

საქართველოს მწერალთა კავშირის საკავშირო ყრილობაზე წარსდგება მეთვალყურეთა ჯგუფით, რომლის შემადგენლობაში, სულ ცოტა, ათი მწერალი მაინც იქნება.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის დამოუკიდებლობა სრულებითაც არ ნიშნავს თვითიზოლაციას. ჰორიზონტალური კავშირების გამოყენებით, სუვერენულ რესპუბლიკებთან უშუალოდ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე კიდევ უფრო მჭიდრო, თანასწორუფლებიანი და ნაყოფიერი იქნება საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა.

**საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

**საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობის შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობა (მაჩაბლის 11) მთელი თავისი სათავსოებით ა. წ. 26 მარტიდან გადაეცეს საქართველოს მწერალთა კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია**

თბილისი, 1991 წლის 15 მარტი.

# სიმართლე გაიმარჯვებს

31 მარტი ისტორიული დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში. ისტორიულიც არის და ისტორიულიც. ქართველ ხალხს საშუალება ეძლევა ოფიციალურად სახალხოდ, საქვეყნოდ „გამოხატოს 70 წლის ნაოცნებარი და გულში ჩაკლული სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობისა, ქართველი ერის თავისუფლებისა.

არ მეპარება ეჭვი, რომ ყოველი ქართველი ხმას მისცემს საქართველოს თავისუფლებას. ამ ხმებს უნდა დაემატოს ჩვენი ახალგაზრდების, ჩვენი ბავშვების ხმებიც, რომლებსაც ახაკო არ აძლევთ საშუალებას, გამოხატონ სამშობლოს თავისუფლების უსაზღვრო სურვილი. ეს თავისუფლება ხომ პირველ რიგში მათ ეკუთვნით.

ნურვინ იფიქრებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება მხოლოდ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა და თავისუფლება იქნება. იგი ყველა იმ ეროვნების წარმომადგენელთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება იქნება, ვინც კი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს და იბრძვის საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის, თავისფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამ დიად საქმეში საქვეყნოდ შეირცხვინეს თავი აფხაზებმა და ოსებმა, აგრეთვე ზოგიერთი ეროვნების ცალკეულმა წარმომადგენლებმა, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ისინი გონს მოეგებიან, და, ისევ და ისევ



საკუთარი თავის საკეთილდღეოდ, დადგებიან ისტორიული სიმართლის მხარეს.

31 მარტი ყველაზე ნათლად გასცემს აგრეთვე პასუხს ერთ შეკითხვას — ვინ არის ქართველი ხალხის გვერდით და ვინ არა. ვინ დაგვიფასა ქართველი კაცის სითბო, ქართული მიწის მადლი და ვის გულში ჩაიღვარა ბოროტება სიკეთის სანაცვლოდ.

მე, ისევე, როგორც, ალბათ, ყველა ქართველს სჯერა, რომ გაიმარჯვებს გონიერება, გაიმარჯვებს სიმართლე,

გურამ ფანჯიკიძე



# ამას ველოდით

„ცის გახსნას" მეორედ მოესწრო ამ საუკუნეში საქართველო.

პირველად, გახსნილი ცა, ისევ მალე დაგვიბნელდა იმპერიების შეთქმულების (საბჭოთა რუსეთი, ოსმალეთი, დიდი ბრიტანეთი), საქართველოს გადაგვარებული შვილების ღალატისა და კოსმოპოლიტიზმის შხამით ძალაგამოცლილი მთავრობის უნიათობის გამო.

ამ ფაქტორების წინაშე უღონო აღმოჩნდა ჭეშმარიტი პატრიოტების ენთუზიაზმიც, ჩვენი ოფიცრების მხედრული ხელოვნებაც, კოჯორთან დაღვრილი ახალგაზრდების წმინდა სისხლიც.

ეს აღარ უნდა განმეორდეს!

ახალმა საქართველომ უნდა შესძლოს დამოუკიდებელი, თავისუფალი ცხოვრების არამარტო მოპოვება, არამედ შენარჩუნებაც.

მან დავითისა და თამარის საქართველოს მსგავსად, ისე უნდა მოაწყოს ცხოვრება, რომ ჩვენს მიწა-წყალზე მოსახლე არაქართველებს, აღარც დრო ჰქონდეს და აღარც სურვილი სეპარატისტული ინტრიგებისათვის.

ჩვენს სიცოცხლეში პირველად გვეძლევა საშუალება ხმის მიცემით გამოვხატოთ ჩვენი დაუოკებელი სწრაფვა იმისკენ, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს!"

ეს მართლაც რომ დიდი ბედნიერებაა.

მე არ მეგულება ჩვენი თანამემამულე, რომელიც 31 მარტს ხმამაღლა ან გულში მაინც არ გაიხსენებს უკვდავი აკაკის სიტყვებს:

ამას ველოდი, მოვესწარ!

გრიგოლ აბაშიძე

# მხარს ვუჭერ რეფერენდუმს

მე, რასაკვირველია, მესმის — 31 მარტის რეფერენდუმით არ წყდება საქართველოს ბედი, რეფერენდუმით, რაც უნდა ჩვენთვის სასურველი შედეგი ჰქონდეს, არავინ გაგვათავისუფლებს, დღევანდელ პოლიტიკურად ბეც მსოფლიოში, განსაკუთრებით



კი — იმპერიაში, ყველაზე ნაკლებად სწორედ ხალხის სურვილს უწევენ ანგარიშს. მაგრამ რეფერენდუმი, თავისთავად, ეროვნული ღირსების ერთგვარი გამოვლენაა, თუ გნებავთ, ერთგვარი დაუმორჩილებლობის აქტია, შემოწმებაა ხალხის მზადყოფნისა სიცოცხლისათვის, ანუ თავისუფლებისათვის. ჩემი აზრით, ის ჩვენთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური ხასიათის სტიმულია, რაც ერს უმთავრესს — ერთიანობის ბრძნობას აღუდგენს...

თამაზ ჭილაძე



# ტაძარი აშენდება!

მე ერთი სამშობლო მაქვს — ლამაზი, თბილი, ძალზე პატარა, მაგრამ საყვარელი და ძვირფასი. მე მსურს, რომ ჩემი სამშობლო იყოს თავისუფალი, მწიგნობარი, შრომისმოყვარე, ძლიერი, ცივილიზებული, მდიდარი, კაცთმოყვარე, მაღალი ზნეობის, დიდი განათლების და კულტურის მქონე, ისეთი, როგორიც არცერთი სხვა ქვეყანა მთელს დუნიაზე.

მე მინდა, რომ საქართველოში აღარ იყვნენ წამებულნი, რეპრესირებულნი, სხვა სახელმწიფოს სათვისტომოს მიკედლებულნი. არ მინდა ღვთისმშობელს გული ვატკინოთ, რაღა აქ დავბერტყე ჩემი უხვი კალთაო.

მე მსურს ჯანმრთელები და ბედნიერები იყვნენ ჩვენი შვილები — ისწავლონ, ააშენონ, ააყვავონ ეს ლამაზი მხარე, დაამსგავსონ საქართველო ბაღნარს, ომახიანად აჟღერონ ქართული სიტყვა, ჰანგები, მელოდიები, ლექსები. მინდა, რომ საქართველოში დაიდგას საუკეთესო სპექტაკლები, მაყურებელი მობრუნდეს თეატრისკენ ისე, როგორც ოდესღაც... ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ქუჩებში არ იქნება სროლა, შეწყდება სისხლის ღვრა და ჩემი მოწაფე გოგი გაბელაია, — ცხინვალის თეატრის მთავარი რეჟისორი, თავის თეატრალურ დასთან ერთად დაბრუნდება მშობლიურ თეატრში სამუშაოდ.

მე ველი იმ დღეს, როცა შიშით აღარ ვიფიქრებ ჩემი შვილიშვილების — მიშიკოს და ნინიკოს მომავალზე. მინდა ვნახო ისინი ჯანმრთელები, კარგად გაზრდილები, განათლებულები, სტუმართმოყვარენი, ათი მცნების ერთგული მსახურები.

აი, ყოველივე ამას მე 31 მარტს ვაძლევ ხმას.

მჯერა, რომ ტაძარი აშენდება.

მიხეილ თუმანიშვილი

# ვიყოთ ერთსულოვანნი

დღეს ყველამ ვიცით, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში განხორციელდა უსისხლო რევოლუცია: არსებითად დაემხო კომუნისტური რეჟიმი და, შეიძლება ითქვას, საბჭოთა ხელისუფლებაც, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ქართველ (და არა მხოლოდ ქართველ) ხალხს. აგრე ბრძნული სტრატეგიით წარმართული უსისხლო რევოლუცია ერთი მთავარი ნაბიჯია სრული თავისუფლების მოპოვების ურთულეს გზაზე. ახლა კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი უნდა გადავდგათ: 31 მარტს ერთხმად უნდა დავუჭიროთ მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას! რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ეს იქნება კიდევ ერთი საერთოსახალხო გამარჯვება იმ ძალებზე, რომელნიც ყველაზე უფრო მზაკვრული ხერხებითა და უზნეობით ეწინააღმდეგებიან ადამიანთა სწრაფვას სრული თავისუფლებისაკენ. ხოლო განა ესაჭიროება დასაბუთება თავისუფლების აუცილებლობას, მის სასიცოცხლო მნიშვნელობას პიროვნებისა და ხალხისათვის?

და მაინც, 31 მარტს სარეფერენდუმო ურნასთან მისულ ქართველ კაცს უნდა ახსოვდეს აგრეთვე თავისი ვალი წინაპართა წინაშე, რომელნიც მრავალი საუკუნის მანძილზე სისხლითა და სიცოცხლის ფასად ერთგულად იცავდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას. ქართულ სახელმწიფოებრივობას კი მრავალი საუკუნის უწყვეტი ისტორია ჰქონდა (1801 წლამდე). არას ვიტყვი ქართველურ ტომთა პირველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებზე (დიაუხისა და კოლხეთის სამეფოები), რომელნიც ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში არსებობდა. ძვ. წ. III ს-ის დასაწყისში, ორი ათას სამასი წლის წინ, შეიქმნა სრულიად ქართული სახელმწიფო, რომლის დამაარსებელი იყო მეფე ფარნავაზი. აქი ძველი ქართული საისტორიო კონცეფცია („ქართლის ცხოვრება"-ში რომაა აგრე მწყობრად ჩამოყალიბებული) ფარნავაზის შექმნილ სახელმწიფოს განიხილავდა, როგორც პირველ ქართულ სახელმწიფოს ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წეს-წყობილებით, ქართული მწიგნობრობით და ქართველი მეფით...



და აი, მას შემდეგ ქართველი ხალხის მთელი ისტორია ეს არის ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოს განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის. თავისუფალი სახელმწიფოებრივობის პერიოდში შექმნა ქართველმა ხალხმა თავისი თვითმყოფადი კულტურა, რომლის მრავალი კომპონენტი თვალსაჩინო წვლილია მსოფლიო ცივილიზაციის სისტემაში და ტოლს არ უდებს საერთაშორისო სტანდარტებს, მას აქცევს თანამედროვე სამყაროს სრულუფლებიან წევრად. ქართველებმა შექმნეს საკუთარი ანბანი — ერთ-ერთი უძველესი და სრულყოფილი მთელს მსოფლიოში, ენა — ასევე ერთ-ერთი უძველესი და სრულყოფილი (ნ. მარი: „ქართულ ენას ძალუძს სრულად გადმოსცეს განყენებული აზროვნების ყველა ცნება"), ქართველი ტომები ითვლებიან რკინის, მეტალურგიის და ფოლადის გამომგონებლად ძველ მსოფლიოში, განუმეორებელი ფენომენია ქართული მუსიკა (რომლის დაუფლებას ცდილობენ დღეს მსოფლიოს ყველა კუთხეში), ქართული ლიტერატურა (რომლის მწვერვალია „ვეფხისტყაოსანი"), ქართული ხუროთმოძღვრება (რომელსაც დღემდე აღტაცებაში მოჰყავს მრავალისმნახველი დამთვალიერებელი), ქართული ფილოსოფია (რომელმაც ჯერ კიდევ IV ს-ში შექმნა არეოპაგიტული მოძღვრება) და ბოლოს, ქართული ხასიათის თუნდაც ერთი შტრიხი — სტუმართმოყვარეობა ხომ კაცთმოყვარეობის ყველაზე უფრო თვალსაჩინო გამოვლინებაა...

31 მარტის რეფერენდუმში გამარჯვება წინაპართა მიერ სისხლით ნაანდერძევი ამ სამაყო მემკვიდრეობის შენარჩუნება და გამრავლებისათვის ბრძოლაცაა. დღეს კი, იმიტომ რომ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია, დამოუკიდებლად ვერ მონაწილეობს საერთაშორისო ცხოვრებაში (ფეხბურთსაც კი არ ათამაშებენ!), ვერ ასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

ამ დღეს რეფერენდუმის ურნასთან მისულ არაქართველს კი უნდა შეგნებული ჰქონდეს, რომ მხოლოდ თავისუფალი საქართველოა მათი კეთილდღეობის სრული გარანტი. ერთგულ უცხოთა გათავისება ქართველთა ხასიათშია და 1918 წლის 26 მაისს შექმნილ დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაშიცაა იგი მკაფიოდ წარმოჩენილი...

ხოლო თუ ვინმე მაინც იკითხავს: იქნებ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიცაა შესაძლებელი ჩვენი სუვერენული განვითარება, მას ვთხოვ შეიხსენოს, თუ რა მოუტანა საბჭოთა კავშირში 70-წლიანმა ყოფნამ მასში გაერთიანებულ ხალხებს და მათ შორის — საქართველოს. მან მოიტანა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ხელყოფა, მრავალგზისი სისხლიანი რეპრესიები (1918, ოციანი წლები, 1937-1938, 1951, 1956, 1989), რომელთაც შეეწირა მრავალათასობით უდანაშაულო პიროვნება (ქართველიც და საქართველოში მცხოვრები არაქართველიც); ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია პიროვნების თავისუფლების სრულ შეზღუდვასა და შეურაცხყოფაზე, უზნეობაზე, მექრთამეობაზე, სიცრუესა და ძალადობაზე; ადამიანებში ურთიერთის უნდობლობის გაღვივება, ერების ერთმანეთთან დაპირისპირება; უმოწყალოდ გაჩანაგება და ექსპლუატაცია ჩვენი მიწა-წყლის ბუნებრივი სიმდიდრეებისა; ეკონომიკური სიდუხჭირე; რელიგიის და რწმენის წართმევა და მრავალი სხვა უბედურება, რომელთა წარმოდგენაც კი შემზარავია და შემაძრწუნებელი. ყველამ ერთხმად მტკიცე უარი უნდა ვუთხრათ ამ საშინელებას.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მცხოვრებნი ვიყოთ ერთსულოვანნი ჩვენს გადაწყვეტილებაში: ერთხმად დავუჭიროთ მხარი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ოთარ ლორთქიფანიძე

# კვლავ ერთად ვიცხოვრებთ



ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის უდიდესი დრო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაატარა. მთელი მისი არსებობის მანძილზე საქართველო ძლიერი, აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოებით იყო გარემოცული.

ბრძოლა ირანელ თუ რომაელ დამპყრობლებთან, ბიზანტიელებთან, არაბებთან თუ ყველა ჯურის მაჰმადიანებთან, ერის სასიცოცხლო ინტერესებთან, მის ყოფნა-არყოფნასთან იყო დაკავშირებული.

ქართველი, როდესაც იბადებოდა, დედის „ნანასთან" ერთად ესმოდა, რომ ის სამშობლოსათვის გაჩნდა ამ ქვეყანაზე და თუ სამშობლოს დასჭირდებოდა, თავი უნდა გაეწირა. ამ შეგნებით ზრდიდა მას დედა და აგზავნიდა სამშობლოს დასაცავად, ამ შეგნებით იბრძოდა ის მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის პირველ ხაზზე ქართველი მეფეები იდგნენ, რომელნიც, როგორც წესი, წინ მიუძღოდნენ თავისი ქვეყნის შვილებს. იყო სულმოკლეობაც, ღალატიც, მაგრამ სამშობლოს დასაცავად ერი ერთ მუშტად იკვროდა და ქრისტეს ჯვრითა და რწმენით ებრძოდა კარს მომდგარ თუ ქვეყანაში ჩამოსახლებულ დამპყრობლებს. ამ შეგნებამ გადაგვარჩინა და სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე.

როცა სხვა გზა არ იყო, ერმა გაყუჩებაც იცოდა. ქართველი მეფეები გარეგნულად, სამშობლოს გადარჩენის მიზნით, მაჰმადიანობასაც იღებდნენ (შიიტურსა თუ სუნიტურს, საჭიროებისამებრ), რუსეთშიც მიდიოდნენ და ძლიერ ერთმორწმუნე ხელმწიფეებს მაჰმადიან მოძალადეებთან ბრძოლაში დახმარებას სთხოვდნენ. ბრძოლით, რწმენით, დიპლომატიით, დიდი მსხვერპლით, ნგრევით, საუბედუროდ, ისტორიული ქართული მიწა-წყლის ნაწილის დაკარგვით, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ერმა თავისი ქვეყანა, საკუთარი სახელმწიფოებრიობა, რომელიც, მეტს თუ არა, 26 საუკუნის არსებობას მაინც ითვლიდა.

მრავალრიცხოვან მტერთან ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლით დასუსტებული, დაყოფილ-დაქუცმაცებული საქართველო XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იქნა იძულებით შეყვანილი. რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა. ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება, რაც აქამდე განეცადა ქართველ ხალხს. გააუქმეს სახელმწიფოს არსებობის ბურჯი და სიმბოლო — მეფის ხელისუფლება. ცოცხლად დარჩენილი მეფენი, სამეფო ოჯახის წევრნი, არისტოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი, ვინც ემიგრაციაში ვერ წავიდა, რუსეთს გადაასახლეს.

ვერავითარმა უბედურებამ, ერის საუკეთესო შვილების დაკარგვამ, მოსყიდვამ და ქრთამმა, ღალატმა, აყრა-გადასახლებამ, ვერ გატეხა ქართველი კაცის სული, ვერ შეაგუა მონობას. რუსეთის ხელისუფლების დამყარების დღიდან დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, აჯანყებები. ბრძოლა ხმლითა და თოფით, იდეებითა და კალმით ისტორიული პროცესის წარმმართველ ძალად იქცა.

ქართველმა ხალხმა, მისმა საუკეთესო შვილებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსეთის იმპერიის დამხობაში, საქართველოში ეროვნული ხელისუფლება აღსდგა. 1918 წლის 26 მაისი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში. მან აღიდგინა 117 წლის წინ რუსეთის იმპერიის მიერ წართმეული სახელმწიფოებრიობა. მაგრამ ამ დამოუკიდებლობამ სამ წელსაც ვერ გასძლო, ისევ რუსეთმა, ახლა უკვე ბოლშევიკურმა, დაიპყრო საქართველო.

დაიწყო ისევ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, აჯანყებები, შეთქმულებები, იღუპებოდნენ, ან ემიგრაციაში მიდიოდნენ ერის საუკეთესო შვილები. იმ სასტიკი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ერის გადარჩენის, მისი არსებობის შენარჩუნების სხვადასხვა გზები და მეთოდები შეიმუშავა.

ქართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ისევ შეიტანა თავისი წვლილი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის დიდ ისტორიულ საქმეში, საქართველოში დაემხო კომუნისტური რეჟიმი, ხალხმა თავისი ეროვნული ხელისუფლება აირჩია.

დღეს კითხვა ასე ისმის: გვსურს თუ არა დამოუკიდებელი საქართველო 1918 წლის 26 მაისის სტატუსით? პასუხი მხოლოდ დადებითი შეიძლება იყოს.

მაგრამ საქართველო ისტორიულად მრავალეროვანი სახელმწიფო იყო და არის. ყველა დამპყრობელი ცდილობდა არაქართველებზე დაყრდნობით განემტკიცებინა თავისი ბატონობა, ღალატის შემთხვევებიც იყო, მაგრამ, როგორც წესი, საქართველოში მცხოვრები უცხოელები, რომელნიც უხვად სარგებლობდნენ ქართველთა შემწყნარებლობით, ქართველი ხალხის გვერდით იდგნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველთა შემწყნარებლობის დადასტურებაა მთელი ჩვენი ისტორია და დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ყველა არაქართველის უფლებებს განსაზღვრავს.

დღევანდელი საქართველო არ ღალატობს და არც უღალატებს ერის მიერ ისტორიულად შემუშავებულ კურსს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს უფლებებთან ერთად მოვალეობაც აკისრიათ იმ ქვეყნის მიმართ, სადაც ცხოვრობენ.

დღეს თუ საქართველოში რთულ დაპირისპირებას აქვს ადგილი, ეს მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი, მის საშინაო საქმეებში უხეშად ერევა საკავშირო მმართველობა, რომელსაც არ სურს თავისი იმპერიული ხელისუფლების დაკარგვა. დამოუკიდებელ საქართველოში ყველა ერთნაირად დამოუკიდებელი იქნება და როგორც გვიცხოვრია საუკუნეთა მანძილზე, ისე ვიცხოვრებთ მომავალშიც. ამას ყველა უნდა დაუფიქრდეს და 31 მარტს ყველამ უნდა თქვას, რომ გვსურს ერთიანი დამოუკიდებელი საქართველო.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

# T—34-დან პაპალაშვილის სიმინდის ტარომდე



1991 წლის 9 თებერვალს „ვრემიამ" ცრემლების ლაპლაპით გადასცა სიუჟეტი იმის შესახებ თუ როგორ გამოდიან რუსული ჯარები ყოფილი გდრ-ის ტერიტორიიდან, როგორ გამოაქვთ საბრძოლო ტექნიკა და სხვა. სევდიანი სიუჟეტის ბოლოს გვიჩვენეს ტყის განაპირას ბეტონის კვარცხლბეკზე შეყენებული ომისდროინდელი რუსული ტანკი T-34 და სამხედრო ქორებისათვის გახაგები ქვეტექსტით დასძინეს, მხოლოდ ეხლა დარჩა ხელუხლებელიო... «А вот это прятно!» — დაურთო თავის მხრივ ბოლმით გულგასივებულმა დიქტორმა და ამ მოკლე რეპლიკით გათქვა პროფესიონალი დამპყრობელის ყაყისფერი ნოსტალგია.

გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ რკინაბეტონის კვარცხლბეკზე შეყენებული რუსული ტანკებით თურმე სხვა სოცქვეყნების პეიზაჟიც ყოფილა „დამშვენებული." მოსკოვმა, აქაოდა ხელსაც ვერავინ დააკარებსო, მისთვის ჩვეული სამხედრო გამჭრიახობით ეს სისხლში გათხვრილი ტანკები სასწრაფოდ კულტურისა და ხელოვნების ძეგლებად მონათლა. მაგრამ სულ ახლახან იუმორის გრძნობით დაჯილდოებულმა ჩეხებმა მშვენივრად აუღეს ალღო შექმნილ მდგომარეობას და კულტურის სამინისტროს სპეციალური დაგენილებით ამ „შედევრების" აუქციონზე გაყიდვა გამოაცხადეს. იმასაც ამბობენ, რუს კლიენტებზე ფასდაკლებით ჰყიდიანო...

ახლა ცოტა ჩვენც წავიფანტაზიოთ და გადავშალოთ „გერმანიის კულტურისა და ხელოვნების ენციკლოპედია." აგერ ფერწერული საოცრებანი დრეზდენის გალერეადან, იქით გოთური არქიტექტურის ნიმუშები და უცებ, ღმერთო შენ გვიშველე! — „რუსული ტანკი T-34!" ცოტა მძიმედ და მოულოდნელად კი გამოიყურება, მაგრამ სამაგიეროდ ერთობ ორიგინალურია, არა?

და ჰოი, საოცრებავ! „გერმანიის კულტურისა და ხელოვნების ენციკლოპედიის" შემდგენლები სულ რომ არ ველოდი ისე გამოვიჭირე პლაგიატობაში! თურმე, ნუ იკითხავთ და, ეს მუხლუხოვანი ორიგინალობა გერმანელებს თბილისში არ მოუპარიათ?! ვიცი, განა არ ვიცი, როგორ გიჭირთ ამის დაჯერება, მაგრამ როცა დაგიმტკიცებთ, იქნებ სიამაყითაც კი გაიფიქროთ — ამას რას მოვესწარით, გერმანელები თბილისურ რალაცეებს ხარბდებიანო...

მაშ მეტს ნულა დავაყოვნებთ და გადმოვიღოთ თაროდან „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა," წიგნი მეხუთე. გამოც. 1990 წ. რა არის ამ წიგნში აღწერილი? რა თქმა უნდა, ისტორიისა და კულტურის ძეგლები. რაც მართალია, მართალია — დიდებული წიგნია. ყოველმხრივ საჭირო, სასარგებლო და საამაყო. აქეთ გორის ციხე, უფლისციხე, სურამის ციხე! იქით სამთავისი, სვეტიცხოველი, ჯვარი! ყველაფერი უნიკალური, ამაღლებული, განსაცვიფრებელი და... აი, მივადექით 420 გვერდს. ერთ სვეტში აღწერილია იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, მეორეში წმინდა გიორგის ეკლესია და ზუსტად მათ შორის ჩაზერგილია „უმძიმესად ჰაეროვანი" კულტურის ძეგლის მოზრდილი ფოტორეპროდუქცია, რომლის აღწერილობაშიც ვკითხულობთ:

„პირველი საბჭოთა ელმავალი ვლადიმერ ლენინი 19—01. ისტორიული ძეგლი. დგას რკინიგზის სადგურის დას. მხარეს, ქვით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე. დამზადდა 1932 წ. იგი მოსკოვის ქროვის სახ. ქ-ნა „დინამოსა" და ქ. კოლომნის კუიბიშევის სახ. ქ-ნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის XV წლისთავს. ელმავალი ამიერკავ. რკინიგზის პარკში 1933 წ. მაისში ჩაირიცხა. ჩამოიწერა 1972 წ. 23 ნოემბ. წონა 11 ტონა. მაქს. სიჩქარე 85 კმ. სთ. ელმავალს აქვს მემორიალური დაფა რუსულ ენაზე. 1935 წ. 16 ივნ. პირველმა საბჭ. ელმავალმა თბილისიდან წაიყვანა სახალხო მატარებელი № 52-რ-იც ხაშურში გრაფიკით დადგენილ დროზე ადრე ჩავიდა. ჭ. ზ. კ. ე.".

ჯერ ერთი, ჩემი მოკრძალებული ფიქრით, გრაფიკით დადგენილ დროზე ადრე ჩასვლა იმას ნიშნავს, რომ ამ „ისტორიული ძეგლის" უდისციპლინო მემანქანეს სადგურ-სადგურ დარღვევებით უვლია. ავარიები კი მოგეხსენებათ ძირითადად პატარ-პატარა დარღვევების გამო ხდება.

პატივცემულ ჭ. ზ.-ს, კ. ე.-ს ანდა სულაც უცნობ ოპონენტს, რომელიც აუცილებლად გამომიჩნდება შერიგების მიზნით წინასწარ მინდა შევთავაზო შემდეგი იდეა:

თუკი რკინაბეტონზე წამოჭიმული ტანკები, ელმავლები, თვითმფრინავები და რაკეტები აუცილებლად უნდა შევიტანოთ ამგვარ გამოცემებში, მაშინ აქვე უნდა შეგვეტანა ის რუსული ტანკიც, რომელიც თუ არ ვცდები კუკიის სასაფლაოზე დგას. ამ უქაღალდობის პირობებში თუ ადგილი დაგვრჩებოდა, ალბათ სასურველი იყო ასევე ღირსეულად წარმოგვეჩინა იმ უზარმაზარი ხიშტის ძეგლიც, რომელიც მარნეულისაკენ მიმავალ გზას „ამშვენებს". სხვათა შორის, ამ პრინციპიდან გამომდინარე აქვე უნდა იყოს აღწერილი ასფალტის საგები მანქანაც, ცხვრის საპარსი აპარატიც და პაპალაშვილის სიმინდის ტაროც.

**ამირან კალაძე**

# ერთად — ქირში და ლხინში

დღეს საქართველოს მთავრობას მემკვიდრეობით მიღებული უამრავი ისეთი პრობლემების მოგვარება უხდება, რომელთა საბოლოო გადაჭრა მხოლოდ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

მწამს, ყველა ერი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, ქართველი ხალხის გვერდით უნდა იდგეს ამ ბრძოლაში. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩემს აზრს იზიარებს რუსთაველის საზოგადოებასთან შექმნილი ასოციაცია „რონაი" (სინათლე) და საქართველოში მცხოვრები ქურთები.

31 მარტს ტარდება რეფერენდუმი, რომელიც, ალბათ საქართველოს ბედს გადაწყვეტს. უკვე საუკუნეებია ქართველთა და ქურთთა ბედი თუ უბედობა ერთმანეთს გადახლართვია. თქვენი მომავალი — ჩვენი მომავალია.

ვმონაწილეობთ 31 მარტის რეფერენდუმში და ხმას ვაძლევთ თავისუფალ საქართველოს.

**ამარიკე სარდარი**

# სიკეთის წილ—სიკეთე

- ეროვნებით ებრაელი ვარ. დავიბადე და წლების მანძილზე ვცხოვრობდი უკრაინაში. რამდენიმე წელია, რაც საქართველოში გადმოვსახლდი. მერწმუნეთ, მხოლოდ აქ ვიგრძენი, რომ ადამიანი ვარ. ამას იმისთვის არ ვამბობ, თითქოს იქ ცუდად მექცეოდნენ. არა, უბრალოდ საქართველოში იციან სხვა ერის პატივისცემა, გასაჭირში თანადგომა. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ მე და ჩემმა მეუღლემ, რეწლოვანმა ვაჟიშვილმა.

მივმართავ ყველა ერის წარმომადგენელს: ქართველ ერს დღეს უჭირს, ამიტომაც უნდა დავეხმაროთ მას — 31 მარტს ხმა უნდა მივცეთ საქართველოს დამოუკიდებლობას.

**ნინა რისბერგი-მალცევა**

ეროვნული ბიბლიოთეკა






# კავშირი საქართველოსა და თავისუფალ სამყაროს შორის

ბოლო დროს, ამ სოფლის ყველა სხვა „წყევა-კრულვიან საკითხავთან“ ერთად საინფორმაციო ბლოკადასაც ვუჩიოდით. მსოფლიო, საქართველოში მიმდინარე პროცესების თაობაზე, როგორც ადრე, ახლაც მოსკოვის მიერ გაცემული ინფორმაციით (უფრო სწორად დეზინფორმაციით), მსჯელობდა... დიახ, უკვე შეგვიძლია ვთქვათ: „ვუჩიოდით“ და „მსჯელობდა“, რადგან 26 მარტიდან საქართველო თავად, სხვათაგან დამოუკიდებლად, შეძლებს დაუკავშირდეს დედამიწის ნებისმიერ წერტილს.

კოსმოსური კავშირგაბმულობის ამ პროექტს უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ მისმა ავტორმა, დღეს უკვე კავშირგაბმულობის მინისტრმა — ფელიქს ტყებუჩავამ, დაამტკიცა თავისი იდეის მართებულობა და თანამოაზრეებთან ერთად, უმოკლეს დროში იდეა რეალობად აქცია. კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემის ოფიციალურად გახსნის ცერემონიალზე მინისტრმა დამსწრეთ გამოუცხადა: ეს პარაბოლური ანტენა სიმბოლოა კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემისა, რომლის ურთულესი ნაწილი თანამედროვე ელექტრონიკასა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული, კავშირგაბმულობის ამ სახლში და ხელოვნურ თანამგზავრზეა განლაგებული.

ოფიციალური ცერემონიალის დამთავრების შემდეგ, ანტენა ამოქმედდება მთელ სისტემასთან ერთად და ეს იქნება საქართველოს კოსმოსური კავშირგაბმულობის დაბადების წუთი... ამიერიდან ეს ანტენა იქნება შუამავალი საქართველოსა და თავისუფალ სამყაროს შორის.

სიმბოლურია ისიც, რომ საქართველოს კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემის პირველი აბონენტები იქნებიან ბატონი ზვიად გამსახურდია და ბატონიშვილი გიორგი ბაგრატიონი.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია: ყველასათვის ცნობილია, რომ იმპერიამ მოწყვიტა დაპყრობილი ერები მსოფლიოს თავისუფალ ნაწილს. თავად კი ამტკიცებდა, საბჭოთა კავშირი სუვერენული, ბედნიერი, თავისუფალი ერების ნებაყოფლობითი კავშირიაო. ამ „თავისუფალ“ ერებს კი არ ჰქონდათ მოსკოვის გარეშე სხვადასხვა ქვეყნებთან დაკავშირების უფლება.

ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის იძლევა პრაქტიკულ შედეგს და დღევანდელი დღე ამის დადასტურებაა. დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ცნობილ მეცნიერს, ბატონ ფელიქს ტყებუჩავას გაწეული შრომისათვის.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა: დღევანდელი დღე ღირსშესანიშნავია ჩვენი რესპუბლიკისათვის, რადგან საქართველო გადის სატელიტურ კავშირზე, ესე იგი, ინფორმაციას პირველი წყაროებიდან მივაწვდით მსოფლიოს. მოგეხსენებათ, ცივილიზებული სამყარო წარმოუდგენელია თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გარეშე. ამიტომ, ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ ამ სისტემამ მთელი რესპუბლიკა მოიცვას. მინდა მივულოცო ქართველ ერს ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე: მსურს მივულოცო ქართველ ერს უამრავ წართმეულ უფლებათაგან ერთ-ერთის აღდგენა. დღეს გაირღვა ის ბარიერი, რომელსაც გვიქმნიდა კრემლი. კვლავ ვულოცავ ქართველ ერს მსოფლიო არენაზე გასვლას და მადლობას მოვახსენებ ბატონ ფელიქს ტყებუჩავასა და მთელ კოლექტივს, ამ სიხარულისთვის.

საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია: დღევანდელი წარმატება მთელი ქართველი ერისთვისაა სასიხარულო. მაგრამ მე (ცოტა ეგოისტურადაც), საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის უდიდესი პრობლემების გადაჭრაც მახარებს. დღევანდელი დღის შემდეგ უამრავი პრობლემა მოგვეხსნება. და თანაც, თავისუფალი კავშირის არსებობა, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია.

დასასრულ, კავშირგაბმულობის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც მინისტრმა განმარტა კოსმოსური კავშირგაბმულობის სისტემის მნიშვნელობა. ისაუბრა იმ ეკონომიკურ ეფექტზე, რამდენიმე ხნის შემდეგ რომ მოგვცემს ახალი სისტემა.

დღეს სისტემის მხოლოდ პირველი ეტაპია განხორციელებული — მუშაობს ექვსი ხაზი. დროთა განმავლობაში, როცა სისტემა სრული დატვირთვით ამოქმედდება, შეიქმნება საქართველოს კავშირგაბმულობის საერთაშორისო კომპანია, რომელიც კონკურენციას გაუწევს მსოფლიოში ცნობილ კომპანიებს.

ჟურმან ჩაჩუას ფოტოები.





# საბავშვო ფონდს თავშეფარებულნი ანუ „ჯორმან ამშარა წაიყარა და ამშა“

## ჯანსუღ ჩარკვიანი

**გულდასმით** წავიკითხე „ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომრებში დაბეჭდილი **თეიმურაზ დოიაშვილის** წერილი „სიმართლე მწყურია, სიმართლე მშია.“ უნდა ითქვას, რომ ავტორს დიდი შრომა გაუწევია ჩემი შემოქმედების შესასწავლად და წერილის მიზანიც აშკარაა: სახელი გაუტეხოს ჯანსუღ ჩარკვიანს, და თავისთვის სასურველი სურათი დახატოს.

მაშ ასე, ობიექტი არის, არის კაცი, რომელიც ლაფში უნდა ამოითხვაროს, მაგრამ ამომთხვრელი? და აი, ამომთხვრელიც გამოჩნდა. დოიაშვილი, თამაზ წივწივაძის წერილების ცნობილი ლირიკული გმირი.

დავიწყებ ცოტა შორიდან: ამ სასაცილო და თითქოს შორს გამიზნული წერილის ავტორი პოეზიის თხუთმეტტომეულის მე-12 ტომის წინასიტყვაობაში წერს (მე, რა თქმა უნდა, არ მჯერა, რასაც წერს, მაგრამ მაინც საინტერესოა გაორებული კაცის, მრავალსახეობა) — 50-60 წლებში მოვიდნენო (სიტყვა სიტყვით მოგახსენებთ):

**„ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ვახტანგ ჯავახაძე, ემზარ კვიტაიშვილი და სხვები, რომელთა შემოქმედებითი პროფილი შეცვლილ ისტორიულ ატმოსფეროში გამოიკვეთა, გაცნობიერებულად ებრძოდნენ პოეტურ ინერციას, ეძებდნენ ახალ გზებს. ძიებამ გლობალური ხასიათი მიიღო, თავი იჩინა სინამდვილისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებაში, ასახვის სპეციფიკაში, გამოსახვის ხერხებსა და საშუალებებში.**

**პოეტთა ეს თაობა შეგნებულად დაუპირისპირდა პარადულ, პანეგირიკულ ლირიკას, სინამდვილის ემპირიულ გამოხატვას, ინდიფერენტიზმს პიროვნების სულიერი ცხოვრებისადმი, შემოქმედის ყურადღების ცენტრში მოექცა უშუალოდ ინდივიდი, მისი შინაცხოვრება. პოეზიამ მიზნად დაისახა ადამიანის ფიქრისა და განცდის ანალიზი მის წინააღმდეგობრივ მთლიანობაში. პიროვნებისადმი ყურადღება, ცხადია, არ ნიშნავდა საზოგადოებრივი ფენომენის უარყოფას. საზოგადოებრივი ღირებულების პრობლემები გარდატყდა პიროვნულ პრიზმაში და ამდენად უფრო „გაადამიანურდა“.**

**ახალი სააზროვნო სისტემის დამკვიდრებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინტროსპექტული მეთოდის პრინციპულ დანერგვას, მედიტაციური ელემენტების გაძლიერებას. განსჯა, რეფლექსია, თვითდაკვირვება ახალი პოეტური სტილის არსებით ნიშნებად იქცა. ეპოქალური მოვლენების შემდეგ ადამიანმა მოიცალა საკუთარ სულში ჩასაღრმავებლად. წინ წამოიწია ეთიკურ-ზნეობრივმა პრობლემატიკამ.**

**სიახლეებმა შესაბამისი სტილური ნოვაციებიც მოიტანა. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, შემობრუნება სასაუბრო ენისადმი, რაც მკაფიოდ გამოვლინდა პოეტური ენის სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების ტენდენციაში. პარალელურად მოისინჯა სხვა საინტერესო გზაც — მიბრუნება ძველი ქართული ენის სტიქიისაკენ, ლექსში თანამედროვე და არქაული პლასტების შერწყმა. არანაკლები ძალა მოხმარდა ტრადიციული ფორმის ფარგლებში განცდის კონკრეტულობისაკენ ლტოლვას, აზროვნების სრული თავისუფლებისაკენ სწრაფვას.**

**50-60-იანი წლების ე. წ. „ყოფითი რეფორმა“ არაერთი ნიჭიერი პოეტის მოღვაწეობის შედეგი იყო. ერთობლიობაში ისინი ახალ ესთეტიკურ პოზიციას ამკვიდრებდნენ, ხოლო საკუთარი ინდივიდუალური ხელწერით ამრავალფეროვნებდნენ ქართული პოეზიის სტილურ პალიტრას.**

**50-80-იანი წლები ფრიად საინტერესო, რთული და მნიშვნელოვანი პერიოდია XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში, რომლის ყოველმხრივი შესწავლა ქართული ლიტერატურული აზროვნების გადაუდებელი ამოცანაა. ამის გათვალისწინების გარეშე ბევრი რამ ქართველ პოეტთა დღევანდელ ძიებებში გაუგებარი და აუხსნელი დარჩება.“**

აქ, რა თქმა უნდა, ჩემზეცაა ლაპარაკი, ბოლოს და ბოლოს, კრიტიკოსმა თაობის თავშიც კი მომაქცია (მომიტევოს მკითხველმა კადნიერება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი საპასუხო წერილისათვის, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს); თუ დაუკვირდით, შესავალში ახალი გზების ძიებაზეა საუბარი. გაცნობიერებულად ებრძოდნენ პოეტურ ინერციას. თუ იმას. მივაღწიეთ, რომ **„ძიებამ გლობალური ხასიათი მიიღო და თავი იჩინა სინამდვილისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებაში, ასახვის სპეციფიკაში, გამოსახვის ხერხებსა და საშუალებებში,“** — კიდევ რა არის საჭირო?

აბა, კვლავაც მივყვეთ, ბატონო დოიაშვილო, თქვენს წინასიტყვაობას: ჩვენ თურმე დავუპირისპირდით პარადულ, პანეგირიკულ ლირიკას. ჩვენმა პოეზიამ თურმე **„მიზნად დაისახა ადამიანის ფიქრისა და განცდის ანალიზი მის წინააღმდეგობრივ მთლიანობაში“. „ახალი საზროვნო სისტემაც“** დაგვიმკვიდრებია, წინ წამოიწია ეთიკურ-ზნეობრივმა პრობლემატიკამო.

**„საკუთარი ინდივიდუალური ხელწერით ამრავალფეროვნებდნენ ქართული პოეზიის სტილურ პალიტრას“.** ეს ყველაფერი ყურადსაღები იქნებოდა, თქვენ რომ არ წერდეთ, ბატონო ლიტერატორ-გამომძიებელო. რატომ? იმიტომ, რომ მე თქვენი არ მჯერა, თქვენ სულ სხვას წერთ, სანამ გიყიდიან, და სხვას, როცა დაგიქირავებენ... მაშინ სხვანაირად ღებავთ კედლებს, ზუსტად ისე, როგორც დამქირავებლის სურვილია. როდის ხართ მართალი? მე მგონი, არასდროს. დასანანია, მაგრამ ასეა. დაინტერესებული მკითხველი იკითხავს, რა მოხდა მას მერე?

მე დამწყები პოეტი არა ვარ, წელს, მაინც და მაინც წელს, გამოვიცვალე? გადავკეთდი? ხუთ წელიწადში გადავსხვაფერდი?

აბა, რამ გადარია კრიტიკოსი, რამ გააბოროტა და რამ გადმოანთხევინა ამდენი შხამი?

მოგახსენებთ: როცა დოიაშვილი ალმანახ „კრიტიკას“ ხელმძღვანელობდა პირველ ხანებში მიწას იყო განრთხმული, მაგრამ როგორც კი სათანადო ასპარეზი მიეცა, აღმოჩნდა, რომ ამ თავმოკატუნებული კაცის სულში პატარა დიქტატორი ყოფილა ჩაბუდებული. ახალმა რედაქტორმა ჟურნალში დაიწყო ანგარიშსწორება, თვითნებობა, შეურაცხყოფა რედაქციის მუშაკებისა; ბოლოს, ალბათ, აივსო მოთმინების ფიალა, რედაქციის მუშაკებმა მწერალთა კავშირს მოაშურეს, შიმშილობა გამოაცხადეს და მოითხოვეს დოიაშვილის განთავისუფლება. ბოლოს, პატარა დიქტატორს, თუ არ ვცდები, კარებიც აუჯიდეს (რისი მომხრეც მე, პირადად, არ გახლავართ). საკითხი შეისწავლა მწერალთა კავშირის სამდივნომ და განსახილველად პრეზიდიუმზე გამოიტანა.

სხვამ თავისი თქვა, მე პირადად პრეზიდიუმის სხდომაზე. განვაცხადე, რომ დოიაშვილის „კრიტიკაში“ მუშაობა აღარ შეიძლება-მეთქი. ეს იყო და ეს, განაწყენებული ლიტერატორი კი ადვილად დასაქირავებელი აღმოჩნდა. ამ ინციდენტის შემდეგ მე, ადრე რომ ჩემს თაობასთან ერთად **„საკუთარი ინდივიდუალური ხელწერით ვამრავალფეროვნებდი ქართული პოეზიის სტილურ პალიტრას“** და **„ახალი საზროვნო სისტემა“** შევქმენი, უცებ ვიქეცი პლაგიატად.

ძვირფასო მკითხველო, სანამ მოპაექრესთან შესახვედრად ველად გავიჭრებოდე, ოდნავ შორიდან დავიწყებ:

მოგაწვდით პოეტური თანხვედრის მაგალითებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

შოთა რუსთაველი: **„ბინდის გვარია სოფელი, ესეთურ ამად ბინდდების“.**

ახლა შეადარეთ ხალხურს: **„ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“.**

შოთა რუსთაველი: **„თქვა: რა მაჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ რისანი? თუ ხორციელი არისმცა, თვალნიცა მრისხვენ ღმრთისანი“.**

შეადარეთ ხალხურს: **„ვეფხვი რო წამომიფრინდა, თვალნი მირისხნა ღვთისანი“.**

შოთა რუსთაველი: **„სამსახურსა მიბრძანებდი, უხუცესი ვითა მრწემსსა, შენთვის ასე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“.**

შეადარეთ გალაკტიონ ტაბიძეს: **თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირემის გუნდს წყარო ანკარა!“**

გრიგოლ ორბელიანი: „სადღეგრძელოდან:“ **„ვაი თუ მოვკვდე მე ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს ხატრფოს ცრემლი.“**

შეადარეთ ნიკოლოზ ბარათაშვილს: **„ნუ დამიტირონ სატრფომ გულისა, ნუღარ დამეცეს ცრემლი მწუხარის“.**

ახლა გულდამშვიდებით გავყვეთ გზას, რომელსაც იძულებით დავადექი... ახლა არ იტყვით, რა მომიპარავს? „დრო აღარ იცდის, დრო აღარ იცდის“. თურმე ძალიან ჰგავს გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონს: „ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს?“ მაგრამ რატომ არა ჰგავს ირაკლი აბაშიძის სტრიქონს: „ეს კვლავ შენა ხარ? ეს ცვლავ შენა ხარ?“ ან „დედაო ენავ, დედაო ენავ“. ან კიდევ „მარსიც, ვენერაც, მარსიც, ვენერაც“.

„რა ცუდად იწყებთ, რა ცუდად იწყებთ, რა სულელურად, რა სულელურად“ (ეს ჩემი ლექსია).

მურმან ლებანიძის ლექსი მოგყავთ:

**„ეს ერთი სიტყვა უნდა ავისხრო — მახსოვს, შენი დათვისსისხლა შავი ღვინო — მახსოვს, შენგან მოძღვნილი არყის ბოცო — მახსოვს, შენგან მოწყდილი ტახის ხორცი — მახსოვს“.**

ახლა ჩემსას უწყვილებთ:

**„ვცხოვრობ ეგერ-აგერ მომთაბარე, მიხარია, ფრინველისოდენა ცოტა რამე მიხარია... ჰერეთში გლეხი რომ დაბრუნდა — მიხარია, ყაყაჩომ ყანა რომ გაბურდა — მიხარია...“**

ეს ლექსები ერთმანეთს არ ჰგვანან, თუ რეფრენზეა ლაპარაკი, „მიხარიაზე“ და „მახსოვსზე“, მაშინ აკაკის „იმერული ნანინა“ მოგვიპარავს ორივეს, იქ ხომ რეფრენად „იავნანინა“ არის?

**„ბევრი რამ ხდება ხოცარი ამ ქვეყანაზე წინადღეს, შვილიშვილები ენატრებათ მოხუცებულებს, წინადღეს, უცნაურ სიზმრებს ნახულობენ ქალიშვილები, წინადღეს, დიდი კოცონი ელანდებათ მონადირეებს წინადღეს.“**

ეს რა, ჩემი ლექსია? მურმან ლებანიძისაა? არც ერთის და არც მეორესი... ეს ლექსი ეკუთვნის ვახტანგ ჯავახაძეს. კიდევ გაგახსენებთ ერთ ლექსს, იგი ნაზი კილასონიასია:

**„ჟუგალობ ჰარალეს:**
**ხარებს რქებზე უნთიათ**
**კელაპტრები,**
**ჰარალე,**
**ჰაი, ხელი ვიჩრდილე და**
**ხნულში მელანდები,**
**ჰარალე,**
**გუთანს ხელი ვუშვი და მიწას**
**ვცემ თაყვანსა,**
**ჰარალე!“**

განა რა დიდი საიდუმლოება იმალება აქეთ მსგავსებაში? მაგრამ, თუ დიდი სურვილი გაქვთ, მე ამ საიდუმლოებაში ჩაგახედებთ: მურმან ლებანიძის „მახსოვს“ ვერ იქნებოდა პირველწყარო ჩემი ლექსისა (რომც ყოფილიყო, ღმერთი, რჯული, არ ვითაკილებდი), რადგან იგი დაწერილია 1968 წ., ხოლო 1967 წლით დათარიღებულია „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ შეტანილი ჩემი ლექსი „უცხო ფრინველი“:

**„კარიგონს* მოდგა უცხო**
**ფრინველი.**
**მოდგა,**
**ჩვენი მოგონილი, მიწის**
**მოგონილი.**
**მოდგა,**
**ბოლოწრთელი, ფრთათეთრი,**
**მოდგა,**
და ა. შ.

რაღა სხვას? თუ მაინცდამაინც, ჩემს თავს „მოვპარავდი“. მაგრამ ეს ყველაფერი ხალხური პოეზიიდან მოდის, რომელზედაც, ეტყობა, წარმოდგენა არა გაქვთ.

მე, მაგალითად, როცა თქვენ გხედავთ, ყოველთვის მახსენდება ძველი თაობის ერთი დამსმენი ლიტერატორი... მერე რა? სრულიად არაფერი, ნათქვამია, ყველა შედარება მოიკოჭლებსო. მაგრამ ასე დაფეხვილი შედარებები რა გონებაში გეტევათ? „სინტაქსურ-ინტონაციურ ფიგურას“ (ფიგურას?!) ითვისებსო, აბა, ყური დაუგდეთ:

თურმე ჩემი სტრიქონები: **„მსხდა ბნელსა ერი, რომელი დიდი იხილა ნათელი“.**

და კიდევ: **„მე ვფიქრავ ვაჟას დაჟანგულ ხანჯალს, დაობებია ქარქაში რომელს“.**

ეს თურმე ძალიან ჰგავს მუხრან მაჭავარიანის შემდეგ სტრიქონებს: **წყალი — ადუღდა, რომელიც — უნდოდა ყველას ენახა.**

კიდევ მეორე სტრიქონს: **„ქვითინებს მუხა ალაზნის გაღმა, ილიას თვალწინ რომელიც გახმა“.**

კარგით რა, მართლა აღარაა ნამუსი? რა საერთო აქვთ ერთმანეთთან, მართლა კახურად ნათქვამი ხომ არ უნდა გამახსენოთ?

თქვენ რომ სახარება ერთხელ მაინც გადაგეშალათ, მაშინ დარწმუნდებოდით, რომ ჩემი სტრიქონის პირველწყარო სწორედ სახარებაა:

**ერი, რომელი მსხდა ბნელსა,**
**იხილა ნათელი დიდი“.**
(სახარება მათესი, თავი მეოთხე, 16).

სახარებიდან მობრძანდება, დავით გურამიშვილი... თქვენ, თქვენ საიდან მობრძანდებით? „ბავშვთა ფონდიდან“? თუ უფრო ზემოდან?

თქვენ რომ „რომელმაც“ იხმარეთ ლექსში, ის სიტყვა მუხრანისააო, ღმერთო ჩემო, პირველად გავიგე, ქართული სიტყვა რომელიმე ერთ პოეტს ეკუთვნოდეს, სანამ ქართული ასოების მოპარვასაც დამაბრალებდეთ, „რომელზე“ შევჩერდები. თუ გსმენიათ: „მოქალაქეობაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოს ებისკოპოსისაჲ“? **„მაშინ მოვიდეს რომელნი იგი, მყოფ იყვნეს ქუაბსა მას, რომელი იგი მათვე წმინდათაგან სავანესა აღეშენა მონასტერი“. „რომელმან ეგე ევას მიუზიდე ვაშლი“** (ბორენა დედოფალი); **„რომელთა გწყუროდ, სულმდით წყალსა ცხოველსა** (გიორგი ათონელი); **„ღმერთო, რომელსა გაქონან არსის საყდართა ჯდომანი, რომელმან მოეც მიჯნურთა ტრფიალთ სურვილის ნდომანი“**
(დ. გურამიშვილი).

მაგრამ განა რამე გინდათ შეისმინოთ?

ყველაფერს თავი გავანებოთ, გადაგეშალათ „ვეფხისტყაოსანი“ და პირველივე სტრიქონი წაგეკითხათ: „რომელმან შექმნა სამყარო“ (მერე, როგორც ტექსტშია)...

ეს მოთე[illegible]

ახლა, [illegible] დავიწყებ, საიდანაც თქვენ დაიწყეთ: ჩემს ლექსში „ირინოლა“ არის ასეთი სტრიქონი: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“, უცხო ქვეყანაში, სხვა ქვეყნისთვის თავშეწირულ ქართველ გოგონას ირინა სხირტლაძეს ეძღვნება ლექსი. ოთარ შალამბერიძეს თურმე აქვს ლექსი, მიძღვნილი ნინო ჭავჭავაძისადმი, რომელიც გრიბოედოვს დასტირის და ცრემლის ტბაში იხრჩობა; ამ შემთხვევაში გამართლება აქვს ოთარ შალამბერიძის სტრიქონს — „სად ჰყავდა საქართველოს ცრემლის ტბაში დასახრჩობი ქალი.“ ქალი, რომელიც მეუღლეს დასტირის, ცრემლის ტბაში იხრჩობა...

რითი ჰგვანან ეს სტრიქონები ერთმანეთს? აზრობრივად? არა; შინაარსობრივად? არა; მაშ რათი? თქვენი ახირებით? ეგრე თქვენ ხომ ძალიან ჰგავხართ ლევან ბრეგაძეს? ორივენი ხელს აწერთ ხოლმე ერთ წერილს, მაგრამ განსხვავებაც დიდია: ის, მეორე, ამ ბრიყვულ წერილს ხელს არ აწერს: ეს უკვე პოზიციაა, განსხვავებული პოზიცია... ასე რომ, ეს ორი სტრიქონი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თქვენ და ლევან ბრეგაძე, როგორც თქვენ და ოთარ შალამბერიძე, როგორც მე და თქვენ...

ერთხელ მწერალთა კავშირში, ნოდარ დუმბაძის ოთახში, სტუმრად ჩამოსულმა ყაზახმა ახალგაზრდა პროზაიკოსმა ნოდარს უთხრა: ქართველი ქალი მინდა შევირთო და დამეხმარეთო; ნოდარმა არც აცია და არც აცხელა: „კაი ყაზახი კი ხარ, მარა სა ჰყავს საქართველოს ყაზახის გასაფუჭებელი ქალი?!“. თქვენი ჭკუით, ნოდარ დუმბაძემ შალამბერიძეს მოპარა ეს გამოთქმა? თუ ჩარკვიანს? ამ ლოგიკით სიტყვა ვერ გითქვამს და ეგაა.

თურმე ნაკლებად ვზრუნავ იმაზე, რომ შედარების სტრუქტურული ელემენტები — „სახე“ და „საგანი“ — აზრობრივად თუ ემოციურად დაკავშირებული იყოს, რომ წარმოსახულ მსგავსებებს რეალობაც განამტკიცებდეს. ჯერ ერთი, რასაც წერთ, ან განგებ გაუგებრად წერთ, ან არ იცით, როგორ უნდა დაიწეროს წინადადება; თქვენ, როცა წერთ სტრუქტურულ ელემენტებზე, მე სულ მგონია, ლექსი კი არა, დილმის ტიპიური ხუთსართულიანი ნაგებობები გაქვთ მხედველობაში.

კი, ბატონო, თავი გავანებოთ ამ ნაგებობებს და ისევ ლექსს მივხედოთ, თქვენგან გაუგებარს, მკითხველისგან — ერთობ გაგებულს:

**„ვისაც უყვარდა სიმაღლე,**
**სივრცე,**
**ყველა მშვენიერს, ყველა**
**მშვენიერს,**
**როგორც არაყი, სიცოცხლე**
**მისცეს,**
**მერე ფსკერამდე დააცლევინეს“.**

შევეშვათ „ყველა მშვენიერს“, არაყი მაინც არ დაგილევიათ? მაგრამ რომც დაგელიოთ, რომც არ დაგელიოთ, განა ამ ლექსში არაყზეა საუბარი? ნუთუ ასე გესმით ის, რისი გაგებაც გევალებათ? (თუ, რა თქმა უნდა, პროფესიონალი ხართ). რა ვქნა, გვიანია, ძალიან გვიანი, თქვენ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოთ, თორემ „ლიტერატურის თეორიის“ საფუძვლებში რომ თვალი ჩაგვკრათ, იქ წაიკითხავდით პროფესორ აკაკი ხინთიბიძის წერილს პოეტურ სემანტიკაზე. აბა, მოიძიეთ და გადაშალეთ

(გაგრძელება მე-..-ე გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენს წმინდა სახეს, შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა, თაყვანცემითა,
ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა!

**გრიგოლ ორბელიანი**

# ზნეობის დეფიციტი

ქართველ კაცს უკვე კარგა ხანია აღარაფერი უკვირს. — „დიდმა მეგობარმა“ იგი ბრძოლის ველზე მცირერიცხოვანი ლაშქრით მტერს პირისპირ შეატოვა და გაეცალა; იმავე „მეგობარმა“ ცადატყორცნილ ტაძრებში ფრესკები შეუთეთრა, განძთსაცავიდან შედევრები მოჰპარა... ის „მეგობარი“ კი კვლავ გაუთავებლად მოდის და მოდის და, როგორც წესადა აქვს, შენს სისხლსა ღვრის, მერე ხულში გაფურთხებს, მაინც მეგობრობას გეფიცება, სამარადჟამოდ ერთად უნდა ვიყოთო...

შეურაცხყოფის და დაცინვის მეტი რა გვახსოვს, რითი უნდა გაველცებინეთ?!

თავისას მაინც ეცადნენ. სიძულვილის შხამით მოწამლულები ჩვენს სალოცავ სახელს — თამარს მისწვდნენ.

იმისთვის, რაც სულ ახლახან ჩაიდინა ჟურნალმა „კროკოდილმა“. მის რედაქტორს კაცი დუელში გამოიწვევდა. მაგრამ ბ-ნ ПЬЯНОВ-ს (გვარსაც ჩავუკვირდეთ), გვეჭვება, ოდესმე ღირსების გრძნობა და ვაჟკაცობა ჰქონდეს. წამხდარ კაცს სხვისი სალოცავი კი არა, თავისიც არაფრად უღირს. ამდენად, არა გვგონია, „კროკოდილის“ მეხვეური ხშირი სტუმარი იყოს ანდრეი რუბლიოვის მუზეუმისა, რომელიც რუსეთს ქართველმა კაცმა დაუარსა.

„კროკოდილის“ ნაცოდვილარი „ხუმრობისთვის“ პასუხის გაცემა ძალზე იოლი საქმე იყო. მართლაცდა ავხორცობით განთქმული დედოფლის მოძიება რუსეთის ისტორიაში დიდად არ გაძნელდებოდა. მაგრამ ქართველს სხვის პუჭყსა და სიბინძურეში ხელის ფათური არ სჩვევია.

პიპნოვსა და მის ამქარს პასუხი დე, კვლავ ლადო გუდიაშვილის ცნობილმა ნახატმა გასცეს.



# როცა ქვეყანას უჭირს

ამ ცოტა ხნის წინ რუსულ პრესაში დაიბეჭდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II წერილი. ავტორი პატივისცემით საუბრობს საქართველოზე, ქართველ ხალხზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე უწმინდესსა და უნეტარეს ილია II. წერილში ალექსი II იხსენებს გულრიფშის რაიონის წმინდა ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებისაგან მიღებულ წერილს და მოჰყავს ციტატა გულრიფშელი ქალების წერილიდან.

გთავაზობთ ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის **თენგიზ პაჭკორიას** საუბარს წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარესთან ქალბატონ **რაისა ქარაიასთან** და ამავე საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილესთან **ქალბატონ ზოია თოდუასთან.**

**თენგიზ პაჭკორია:** როგორ და როდის შეიქმნა თქვენი საზოგადოება? რა მიზნებს ისახავს იგი?

**რაისა ქარაია:** წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების შექმნის იდეა გაგვიჩნდა 1989 წლის ივლისის ტრაგედიის შემდეგ. ყველანი აღელვებულნი ვიყავით, როცა ისედაც რთულ ცხოვრებისეულ პრობლემებს დაემატა პოლიტიკური ვითარების გამწვავება. იმ ტრაგიკული დღეების შემდეგ რაიონის ქალთა საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელი: ზოია თოდუა, ალა ვასილჩენკო, რუსიკო ქორჩილავა, ანგელინა კოსტავა და მე გავემგზავრეთ მოსკოვში.

ჩვენი მოსკოვში ჩასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო სიმართლე გვეთქვა, თუ რა მოხდა აფხაზეთში. რადგან მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური ორგანოები, უმეტეს შემთხვევაში, ამახინჯებდნენ, ტენდენციურად აშუქებდნენ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს. მოსკოვის ქართული სათვისტომოს დახმარებით „მზიურში“ ჩატარდა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის. გამოვედით სიტყვით. იქ, ამ დროს, აღმოჩნდნენ გუდაუთელი აფხაზები. მათი წარმომადგენელიც გამოვიდა ამ პრეს-კონფერენციაზე, რასაკვირველია, მოვლენები მათ საპირისპიროდ წარმოადგინეს.

მოსკოვიდან გულრიფშში რომ დავბრუნდით, შევხვდით ჩვენი რაიონის ქალებს, ვიმსჯელეთ ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო პრობლემებზე, გადავწყვიტეთ, რომ თუ სახელმწიფო ორგანოებს არა აქვთ შესაძლებლობა და სურვილი დაეხმარონ ქალებს, ჩვენ თვითონ შეგვექმნა წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება. დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართა 1989 წლის აგვისტოში. თავდაპირველად საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ექიმი ლორა გადილია (ამჟამად იგი ჩვენთან ერთ-ერთ კომისიას უძღვება), მე კი ამირჩიეს გასული წლის მიწურულს.

საზოგადოებას წარმართავს კომიტეტი, რომელშიც 9 ქალი შედის. საზოგადოების წევრები არიან სხვადასხვა ეროვნების ქალები, ბევრია ნამდვილად, ღრმად მორწმუნე.

ჩვენ არა ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, თუმცა, ვცდილობთ გარკვეული წვლილი შევიტანოთ აფხაზეთში მშვიდობის განმტკიცებაში ერთა შორის ურთიერთპატივისცემის აღდგენაში.

მომავალში ვაპირებთ მოვაწყოთ შეხვედრა აფხაზ დედებთან, მათთან ერთად მოვძებნოთ საერთო გზები. ალბათ, უახლოეს ხანში ამ შეხვედრის მოსაწყობად მივმართავთ ქართულ და აფხაზურ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ შორის „აიდგილარას“.

**თ. პ.** გავიგე, რომ თქვენ სამაჩაბლოშიც ბრძანდებოდით...

**რ. ქ.** 7-10 იანვარს ზოია თოდუა, ეველინა კაკაბაძე და მე ვიყავით სამაჩაბლოსთან ახლომდებარე რაიონებში, კერძოდ, გორის რაიონში. იქ შევხვდით ოს მოსახლეობას, მოშიმშილე ოს ქალებს. ვესაუბრეთ მათ, დავრწმუნდით, რომ ოსი მოსახლეობის უმრავლესობას არ უნდა კონფლიქტის გაღრმავება და, პირიქით, მშვიდობაზე ოცნებობს.

**თ. პ.** — რაიონში და აფხაზეთშიც ბევრს ლაპარაკობენ, რომ თქვენი დახმარებით აფხაზეთში უნდა გაიხსნას პირველი სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრი (ანგიოქირურგიის). რას გვეტყვით ამის შესახებ?

**ზ. თოდუა.** ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, სათანადო შენობის გამოყოფა. ანგიოქირურგიის ცენტრის გახსნა ჩვენ შემოგვთავაზა გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშავის მკვიდრმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვლადიმერ კაციამ. იგი დიდი ხანი ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში, არის ანგიოქირურგიის აღიარებული სპეციალისტი. ეს კეთილი ადამიანი, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, როგორც პატრიოტულად განწყობილი ბევრი ქართველი, უბრუნდება სამშობლოს, მშობლიურ კერას.

მიუხედავად სიძნელეებისა, იმედს არ ვკარგავთ, ვფიქრობთ, ანგიოქირურგიის ცენტრი მთელ რესპუბლიკას გამოადგება. ვისაც სურს დაგვეხმაროს ცენტრის გახსნასა და ფეხზე დაყენებაში, ვაცნობებ, რომ გულრიფშის რაიონის ბინსოცბანკში წმინდა ნინოს ქალთა საზოგადოებას აქვს საკუთარი ანგარიში — ნომერი 700105.

**თ. პ.** — ამას წინათ რუსულ პრესაში დაიბეჭდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II წერილი. ამ წერილში ალექსი II წერს, რომ მან მიიღო ბარათი გულრიფშის რაიონის წმინდა ნინოს ქალთა საზოგადოების კომიტეტისაგან და, რომ ქალები აძლევენ სწორ შეფასებას ილია მეორის ცნობილ საგანგებო ბრძანებას, რომელიც გამოიცა გასული წლის ოქტომბერში. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით, როგორ მომწიფდა ამ წერილის გაგზავნის აზრი?

**ზ. თ.** — 1990 წლის 27 ნოემბერს, ილია მეორის აფხაზეთში ყოფნის დროს, გუდაუთაში მოხდა არასასიამოვნო ინციდენტი, თავს დაესხნენ ილია II კორტეჟს. ამ ფაქტმა გამოიწვია არა მარტო ქართველი საზოგადოების და მორწმუნეების აღელვება და პროტესტი. ცნობილია, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა, მათ შორის აფხაზებმაც, წუხილი გამოთქვეს ამის გამო.

მანამდე კი რესპუბლიკაში და მთლიანად კავშირის მასშტაბითაც მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა ორგანომ ტენდენციურად გააშუქა ილია მეორის საგანგებო ბრძანების მიზნები და შინაარსი.

ჩვენი საზოგადოების კომიტეტმა შეადგინა წერილის ტექსტი ალექსი II სახელზე და ორი წარმომადგენელი — რაისა ქარაია და ალა ვასილჩენკო დეკემბრის დასაწყისში გაემგზავრა მოსკოვში, რათა გადაეცათ ეს წერილი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისათვის.

პატრიარქთან შეხვედრა ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ მოსკოველმა მორწმუნეებმა ურჩიეს ჩვენს წარგზავნილებს, წერილი ჩაებარებინათ პატრიარქის ერთ-ერთი თანაშემწისათვის. ასეც მოიქცნენ.

და აი, ორი თვის შემდეგ გაზეთებში დაიბეჭდა პატრიარქის მიმართვა, სადაც ჩვენს წერილს იმოწმებს.

ისე კი, არაფერი არაჩვეულებრივი არ გაგვიკეთებია, უბრალოდ, ვთქვით სიმართლე, ვაღიარეთ რეალობა, და რაც მთავარია, გვინდა, რომ რუსეთის და უცხოეთის საზოგადოებამ სწორი ინფორმაცია მიიღოს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ...

**P. S.** გაცნობებთ აგრეთვე, რომ წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის წინა დღეებში მოუწოდა აფხაზეთის ქალებს და საზოგადოებრიობას, არ მიეღოთ მონაწილეობა საკავშირო რეფერენდუმში.

# გრიგოლ აბაშიძე

### შენი ჭირის სანაცვლოდ

არც სიცოცხლის მიწურვილს,
არც ოდესმე, მანამდის,
არ ვფარავდი სიძულვილს,
არც სიყვარულს ვმალავდი.

იყო ბევრი ცდუნება
ტაშითა და ლიქნითა,
მე კი ჩემი ბუნება,
სულ სირთულეს მიქმნიდა.

რაც შევძელი,
შევძელი!
ვინ ამიხსნას
ამჯერად —
ეს ცხოვრება
დღეგრძელი
ჯილდოდ მაქვს,
თუ სასჯელად?!
ნუთუ,
ვინც განვიკითხე,
მადლსაც
ცოდვად ჩამითვლის?!
თურმე ღირდა
დიდი დღე,
ღირდა,
სწორედ ამისთვის,
რომ მეც ხილად
მეხილა
პური,
ჩემს დროს მომკილი,
რომ გალევა
მეხილა,
ჩემი ხალხის ბორკილის.
დღეს კვლავ
ლოცვა მჰირდება,
შუბლზე
ოფლი გადამდის,
საქართველოს დიდებას
მეც ავლვლენ ცათამდის.
მე, თუნდ
ცეცხლმა დამნაცროს,
ოღონდ, მრავალტანჯულო,
შენი ჭირის
სანაცვლოდ
მიმითვალე, მამულო!

### გაწირული კარუსელი

ბრუნავს დედამიწა,
ბრუნავს ყავლგასული,
ცაში გატყორცნილი
ბრუნავს კარუსელი,
ჩვენს თვალწინ იშლება
კვალი წარუშლელი,
ქროლვის, სისხლიანის,
დგება დასასრული.
უკვე არაფერი
არ უშველის!..
ჩვენ, დასაბამიდან
ამ ბურთზე დაბმულებს,
სიკვდილი გვექნება
ნატვრად და ოცნებად,
როცა დედამიწა
ორბიტას მოწყდება,
ბავშვების იმ ქივ-ქივს,
რა გული გაუძლებს...
ვაი, ჩვენს მოსწრებას...
ვაი, ჩვენს მოსწრებას!..

●

ადამიანი რას არ ურიგდება
და მეც,
ვიდრე თვალში შუქი ჩამიქრება,
აღარ მსურს
სიცოცხლის ყურისგდება,
ცხოვრების აზრზე დაფიქრება.
ამაო ფუსფუსში
რამდენი დავკარგეთ,
ფრთები როგორ მოგვყვა,
ათას განსაცდლიდან!
დღემდე რაც არ ვიცი
ამ სოფლის ავ-კარგის,
ახლა რომ გავიგო,
უკვე აღარც მინდა.
მოდი,
დროზე მოდი,
სულზე მომისწარი,
შენს ლანდს გამოვყვები მეც,
ფეხშეწყობილად,
ცოტა ლხინი ვნახე,
ბევრი გლოვის ზარი —
ცხოვრება კაცისა
სულაც ეს ყოფილა...
ადამიანი, რას არ ურიგდება,
და მეც,
ვიდრე თვალში შუქი ჩამიქრება,
სიცოცხლის ხმაურის
მეყო ყურისგდება,
არარაობაზე დაფიქრება!

●

ღვთის ხატად გავჩნდით,
ღვთისავე სახით,
ღვთის ნებით,
განა ძალისძალათი,
თუ მოგვცა ღმერთმა
გონება საღი,
რად აგვადევნა
ლანდი ჯალათის —
სატანის წილად
და საზიაროდ!
დარღვეულია
ათივე მცნება,
იშლება ზღვარი
დღისა და ღამის,
ნუთუ ეს ბოლოც
ღვთის იყო ნება —
ჩაძირული ვართ
სისხლში და ღამის,
ცოდვის ზღვამ
თავზე გადაგვიაროს.

### ადამი და ევა

ყოველი სულდგმული
თავის ტოლს ეძებს და
ეწყვილდება.
განა ახალია,
მარტოობას რომ წყევლიან...
მარტოხელობა
კაცს თურმე
სამოთხეშიც სწყინდება
და ადამსაც მარტოობა მოწყენია.
შებრალებია უფალს
მარტოსული
და რომ გაქრობოდა
ვაჟკაცს ჯავრი —
მძინარე ადამის
ნეკნიდან გამოსული
ქალი უჩუქნია,
ცხოვრების თანამგზავრი.
იმ დღესვე,
ერთურთის შესავსებად,
ღმერთმა ჩაუბუდათ
ტრფობის ნაპერწკალი
და რომ სიყვარულში
კვლავ იქცნენ ერთარსებდ,
მამაკაცს განუყრელად
თან სდევს ქალი.
და ორი სულდგმულის
ერთარსებად ქცევა,
ისევ იმეორებს ადამსა და ევას!

### სიზმარი

დამარხულ არს ენა ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა
საწამებლად, რათა ყოველსა ენასა
ღმერთმა ამხილოს ამ ენით...
„ქებაი და დიდებაი“...

მესიზმრა:
დაჰკრეს უეცრად ბუკი,
იქუხა ზღვამ და
ზეცამ იგრგვინა
და სულთამხდელის მახვილის შუქი,
თავზე დამადგა ცეცხლის გვირგვინად.

მაცახცახებდა და ტანში მცრიდა,
სუსტ ფოთოლს ვგავდი,
შეძრულს სიოსგან,
ანგელოსები გადმოხდნენ ციდან
და გამაქანეს საიქიოსკენ.

ჩამომსვეს ძირს და
დამტოვეს კართან,
თვალი მოვავლე იქ მყოფებს შიშით,
მცირერიცხოვან ქართველთა გარდა,
ზღვად იდგა ხალხი ათასი ჯიშის.

ჩემფერთა გვერდით,
ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ,
შავკანიანნიც,
სახე ყვითელნიც,
მაღლა, ღრუბლებში, ბრწყინავდა
ქრისტე —
ყველას განმსჯელი და გამკითხველი.
შორით შესცქეროდნენ
აღმდგარნი მკვდრეთით,
ზოგნი იმედით,
ზოგნი ძრწოლითა,
ქვეყნად მეორედ მოსული ღმერთი,
ცაში მათ მადლს და ცოდვას წონიდა.

ერთმა თქვა:
— ღვთის წინ წარვდგებით
ოდეს,
უნდა ვიცოდეთ,
ვიდრე იქ ავალთ,
რომელ ენაზე მოგვკითხავს ცოდვებს,
რა ენას ხმარობს დასაკითხავად?!

— საიდუმლოა ჩვენთვის სრულიად,
რა ენას ირჩევს გულთამხილველი.
ბ რ ი ტ ი:
— ღვთის ენა ინგლისურია!
— რათა? ჩინური! —
ამბობს ჩ ი ნ ე ლ ი.
ყურის წამღები ატყდა ყაყანი,
ისმოდა ენა ყველა ერისა,
საკუთარ ენას ყველა მათგანი,
თვლიდა იმ დღისთვის შესაფერისად.

გაგრძელდებოდა კამათი დიდხანს,
ღაღად-ჯნიასი ხმათა მრავალთა,
მაგრამ გაისმა გრუხუნი ციდან
და ჩვენს წინ უცებ კაცი დავარდა.

შეკრთა ყველა და
შეწყვიტეს დავა,
მივცვივდით მოსულს საიქიოდან,
დაუხმარებლად წამოდგა თავად,
თუმც დაცემისგან მხარი ტკიოდა.

კითხვებს აყრიდნენ:
— გვითხარი, ერთი,
ვინ ხარ?
— საიდან?
— რა ტომისა ხარ?
— პირისპირ ვნახე მაღალი
ღმერთი! —
თქვა და პირჯვარი გამოისახა.
— გვკითხავდა,
გვცდიდა სხვადასხვაგვარად,
მითხრა: „მოსულხარ შენ ადრიანად,
შენი მოსვლის დრო ჯერ არ
დამდგარა!“ —
ბრძანა და უკან გამატრიალა.
— თუ გაიარე წრეები ტანჯვის?
— თუ ჰქონდა შენს მადლს
ღმერთთან ბარაქა?
— შენ ის გვითხარი,
რა ენით განსჯის,
ან რა ენაზე გელაპარაკათ?
— სხვადასხვა ენა,
აქ ერთურთს გვთიშავს,
იქ, ერთ ენაზე ითქვა,
რაც თქმულა!
ენა ქართული ყოფილა ღვთისა
და განიკითხავს მხოლოდ ქართულად!
— რაო?
— რა ენა?
— ვის გაუგია?
ღვარძლით,
დაცინვით წაისისინეს.
— ქართულის გმობა ღვთის აუგია,
უფლის ქართული მე თვით ვისმინე.
— პასუხს როგორღა აძლევდი
შენა?
იქნებ თარჯიმნის იყავ მძებნელი?
— ღმერთმა ქართულად ამიდგა ენა,
ღვთისთვის რა არი შეუძლებელი?!
ეს ენა, თურმე,
კარგსაც და ავსაც,
სრულად ფლობს,
- სიტყვის ურიცხვ განძს იტევს.
აღუდგენია ლაზარეს მსგავსად,
იგი მეორედ მოსვლის წინ ქრისტეს.
— არ დაუჯეროთ!
ჰგავს გიჟის ბოდვას,
სულაც არ არი ეგ ღვთის მნახველი!
– თავს როგორ ვიდებ ამხაირ ცოდვას,
ტყუილს ვით ვიტყვი უფლის
სახელით!

თქვა და
დანახვა მოასწრო ალბათ,
თვალზე რომ მომწყდა ცრემლი
წყვილადა,
მიხვდა,
რატომაც ვუსმენდი ხარბად,
და სახე გზნებით რად მიბრწყინავდა!

დატოვა ხალხი ზედმისეული,
მზერა ამაყთა და აბეზართა,
მითხრა:
— „მზად არი შენი სხეულიც,
ვერა გრძნობ? ფრთები ამოგეზარდა!
მომილოცნია!“ —
მოასწრო ეს ღა,
უცებ ავვარდი ცადმიმართული,
ქართული სიტყვის ორი ფრთა მესხა
და მიმაფრენდა ჩემი ქართული!

ბნელს ვაწყდებოდი,
გაუვალ წყვდიადს,
დაბლა დავტოვე სიმძიმე ლოდის
და როგორც თოფის ლულაში ტყვია,
თავბრუდამხვევი სიჩქარით ვქროდი.

საით მივფრენდი,
არ დაგიდევდი,
ჩემს წინ რა გზები წარმოისახენ,
ჯოჯოხეთისკენ ეშმაკს მივსდევდი,
თუ ანგელოსებს სამოთხისაკენ!

მესმოდა აჴრილს
ციდან
ზე ცამდის,
ქართულად თქმული
ჯვარცმულის მსჯავრი!
და არ ვდარდობდი სად დავკეცავდი,
იმ ბედნიერ ფრთებს სულეთის
მგზავრი.
სულერთი იყო,
ღვთის ნათელს ვჭვრეტდი
თუ ვიქნებოდი კუპრში დანთქმული,
რაკი აღსრულდა
და ვნახე მკვდრეთით
იმ დღეს აღმდგარი
ჩვენი ქართული!



(გაგრძელება)

319-ე გვერდზე, იქ შავი პეტიტითაა აწყობილი — „შედარება“..

— რა არის შედარებისათვის დამახასიათებელი?

„შედარებისათვის დამახასიათებელია საგნის, მოვლენის ემოციური წარმოსახვა სხვა საგნის, მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით.

ერთმანეთის მსგავსი შედარებები ძალიან ხშირად სხვადასხვანაირად წარმოსახავენ მოვლენებს, ამდენად ისინი აბსოლუტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“... ესეც მე გასწავლოთ? იქნებ, იცით კიდევაც, მაგრამ ხალხის იმ ნაწილს აბნევთ, რომელსაც დაბნევა ჯერჯერობით არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეს. ისიც მინდა გაგიმეოროთ, რომ ჩემს „ფრთიან გამოთქმას“ საერთო არა აქვს გრიბოედოვის საკვდილის გამო „ცრემლის ტბაში“ (შედარება) დამხრჩვალ ქართველ ქალთან, თუნდაც მშვენიერ და ჭკვიან ნინო ჭავჭავაძესთან. **„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“**, — ეს მე ვთქვი, ეს ჩემი სტრიქონია, უფრო სწორად, დღეს უკვე ეს სტრიქონი იმისია, ვისაც მოსწონს, ვისაც უყვარს... დიდი სურვილიც რომ მქონდეს, ვერ გაქებთ... მე თქვენთვის სულ სხვა ლექსი მაქვს გამზადებული, სწორედ ის ლექსი, რომელიც თქვენ თურმე მოგეწონათ...

ჩემს ერთ ლექსში სიტყვა „გერგილი“ გინახავთ და არ მოგწონებიათ:

**„თავს გადგას ზეცის გერგილი,**
**მზეში, ქარში და წვიმაში“.**

მერე გაქცეულხართ და ლექსიკონებში გიძებნიათ სიტყვა „გერგილი“. დახედეთ, იმ ლექსიკონს ბოლო გვერდზე ტირაჟი „ერთი“ ხომ არ აწერია? სულ ცოტა, 5.000 მაინც იქნება, 10.000 თუ არა. არადა, იქნებ, მეც ჩამიხედავს მაგ ლექსიკონში?

ისე, ჩვენში დარჩეს და, „გერგილს“ რა ლექსიკონი სჭირდებოდა? ღირდა კი ამდენ ნერვიულობად ეს ერთი სიტყვა? მიხსნით, რომ „გერგილი“ არის შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება: **„თავს გადგას ზეცის გერგილი, მზეში, ქარში და წვიმაში, იმ ულამაზეს ფერებივით მუხლს ვიყრი მე შენს წინაშე.“** მერე და, ზეცის, მზეო და ეზხი რომ გვირგვინად ადგას პატარა ყვავილს, კესანეს, რა დაშავდება? რა თქმა უნდა. არაფერი. ისე კი, როცა სიტყვის გამარავებას მონდომებთ. მეტი შნო და სიმარჯვე, მეტი ფხა და მოხერხება, მეტი გერგილიანობაა საჭირო; ჩემს სტრიქონზე ქილიკობთ: „ქალნი სანეტარონი არ სტირიან ავშარას“ — საბას მოუხმობთ და ამბობთ — „ჯორმან ავშარა წაიყარა და აეშვაო“... გიპასუხებთ: ავშარას, ანუ ულაგმო ალვირს „ქალნი სანეტარონი“ მართლაც არ მისტირიან, არც ნატრობენ და არც სჭირდებათ. ავშარისა და ლაგმის ამოდებას ცხენიც საჭიროებს, ამას თქვენი ბრძნეტიის წაკითხვის შემდეგ მკითხველი ადვილად მიხვდება; ასეა, მართალი ხართ, „ჯორმან ავშარა წაიყარა და აეშვა“, მაგრამ დამბმელი, სადაა დამბმელი?

თქვენ ცინიკურად შენიშნავთ, „რომელმან შექმნა სამყარო“, — ასე იწყებაო ჯ. ჩარკვიანის პოემა „პარალელური ხაზები“.

ქოსატყუილა. ბრძანდებით, ბატონო ლიტერატორ-გამომძიებელო, ნამდვილი ქოსატყუილა... ასე არ იწყება ჩემი პოემა, ჩემი პოემა იწყება პლუტარქეს სიტყვებით, რომელიც მიძღვნილია თესევსისა და რომულუსისადმი, პოემაში საუბარია დემოკრატიაზე და ტირანულ საწყისებზე, გიორგი სააკაძეზე, ბაზალეთის სამარცხვინო ომზე, ხუსრევ ფაშაზე, სიმონიდე კეოსელზე, პომპეუსზე, ალექსანდრე მაკედონელზე, სტალინზე, პაატაზე, იაკობ ჯუღაშვილზე, მე პარალელური ხაზები მაინტერესებდა, თქვენ, თქვენ სულ სხვა რამ. „რომელმან შექმნა სამყარო“ ამ სტრიქონით დასათაურებულია პოემის თავი, სადაც ლაპარაკია სამყაროს შექმნაზე. პოემის მთავარი ხაზი კაენია, ამდენად, თქვენ რომ პირველი თავი მაინც ბოლომდე ჩაგეკითხათ, იქვე იპოვიდით თქვენთვის საინტერესო სტრიქონებს:

**„ვით იღბალია საქართველოს**
**წმინდა გიორგი,**
**კაენის ხელიც საქართველოს**
**გახლავთ იღბალი“.**

არადა, ვის ახსოვს საქართველო უკაენოდ?

სანამ დიდ ნიკოლოზ ბარათაშვილთან ჩემს ნასესხობაზე რამეს ვიტყოდე, ერთ აღმოჩენასაც მინდა გაზიაროთ. არადა, ჩემი საზიარებელი რა გჭირდათ, ბატონ **პავლე ინგოროყვასაც** რომ იცნობდეთ? თურმე, და თქვენდა სამწუხაროდ, „თვით პოეტური სახე **„მერანი“** წარმოადგენს რემინისცენციას რუსთაველის პოემიდან:

**„ანაზდად მოყმე გამოჩნდა, კუშტი, პირგამქუშავია, ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, მერანი რამე შავია“. „ტაიჭი მუქსა მერანსა, მიეფინების მზე ველად“...**

„ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი, „ველად გაჭრილი“, ბატონი პავლე ინგოროყვა ბრძანებს, რუსთველის თავგანწირულ მხედარს, ავთანდილს გვაგონებსო.

თუ ბარათაშვილი ამბობს:

**„სად დამიღამდეს, იქ**
**გამითენდეს,**
**იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,**
**მხოლოდ ვარსკვლავთა,**
**თანამავალთა**
**ვამცნო გულისა მე საიდუმლო“.**

„ამასვე ამბობს რუსთაველი მოძმისათვის თავგანწირული მხედრის ავთანდილის შესახებ“: (ბრძანებს პავლე ინგოროყვა).

**„რა შეუღამდის,**
**ვარსკვლავთა**
**ამოსვლა იამებოდის,**
**მას ამსგავსებდის, ილხენდის,**
**უჭვრეტდის, ეუბნებოდის“...**

**„ნუ დამიტირობს** სატრფომ გულისა“ (ნ. ბარათაშვილი);

„ღარიბი მოვკვდე ღარიბად, **ვერ დამიტირობს მშობელმან“**
(შ. რუსთაველი).

„შავი **ყორანი** გამითხრის საფლავს, მივალალებენ სვავნი **მყივარნი“.**

„სახე ბარათაშვილის მერანიდან „შავი ყორანი“ და თვით ეპითეტიც „მყივარი“ იძლევა პარალელს რუსთაველთან.

„შენთვის მოვკვდები, გავხდები **ყორანთა დასაყივარად...“**

ბატონი პავლე ამისათვის ბარათაშვილს კი არ თათხავს, არამედ ლაპარაკობს ორი პოეტის, ერთმანეთისაგან განსხვავებული პოეტის, სულიერ ნათესაობაზე, მაგრამ კაცმა რომ ასე ილაპარაკო, რალაცით უნდა ჰგავდე პავლე ინგოროყვას.

ახლა ჩემი ჯერი დგება, — ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ჩემი ლექსების ციკლში თვალში მოგხვედრიათ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანიდან პერიფრაზი, გაფიცებთ იმ საქართველოს, თქვენ რომ ასე გიყვართ და მე რომ არ მიყვარს, თუ წაგიკითხავთ გიორგი ლეონიძის ლექსების ციკლი, მიძღვნილი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი?

მეხუთე ლექსის მეორე ტაეპში გიორგი ლეონიძე წერს:

**— „იპოვე, ყრმაო, შენ**
**ხვედრი შენი,**
**ან ციურობის იპოვე სწორი?**
**— ნუ დავიმარხო ჩემსა**
**მამულში,**
**ჩემთა წინაპართ საფლავებს**
**შორის,**
**ნუ დამიტიროს სატრფომ**
**გულისა,**
**ნულა დამეცეს ცრემლი**
**მწუხარის...“**

აბა, თუ მიხვდებით, ვისია ბოლო ოთხი სტრიქონი? გითხრათ? კარგი, გეტყვით, ბოლო ოთხი სტრიქონი, რომელიც გიორგი ლეონიძეს ბრჭყალებშიც არ მოუთავსებია, ეკუთვნის ნიკოლოზ ბარათაშვილს და ავტორი დარწმუნებული იყო, რომ ამ საჭირო **პერიფრაზს** არამცთუ ლიტერატურათმცოდნე მეც. კანდიდატი, არამედ უბრალო მკითხველიც მიხვდებოდა. რა ვუყოთ, „შეცდა“ დიდი პოეტი გიორგი ლეონიძე, რომელიც, დოიაშვილის რწმენით, პლაგიატი ყოფილა.

ზუსტად ას ორმოცდაცხრამეტი წლის იქეთ უნდა გადაგახედოთ, როცა გრიგოლ ორბელიანი წერდა „იარალის“: „გაცხელებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს.“ ხოლო მუხრან მაჭავარიანი რატომ წერს, თუ იცით: „ბოლმა და ღიმილი გადმობლერტა „ჩემო იარალად“, პეტერბურღში ინატრა **ნიავი კოჯრის“**... აბა, მაშ, რომელ ნიავზე უნდა ელაპარაკნა, ძაუჯიკაუს ნიავზე? (ნამუსიც კარგი საქონელია).

მუხრან მაჭავარიანისათვის სიტყვა „ნაშამქორალი“ წამირთმევია. „ძველი დაირა“ თუ გახსოვთ გიორგი ლეონიძისა:

**„ეს ხმა კი არა, იყო**
**სახმილი,**
**და ზედ ათასი ება ისარი,**
**გაფიცხებული ვნების ძახილი,**
**ნანამქერალი, ნამაისარი“.**

რა მოხდა, იქნებ სიტყვა „ნაშამქორალი“ ძალიან გავდეს გიორგი ლეონიძის სიტყვა „ნანამქერალს“, რა დაშავდა ამით? განა წუთისოფელი ბოლმაზე და ბოროტებაზე უნდა აავოს კაცმა?

თუ თქვენგან მოტანილ მუხრან მაჭავარიანის ლექსში „შავი ყორანი“ „ავი ბედის სიმბოლოა და საყოველთაოდ გავრცელებული უძველესი დროიდან“, ჩემს ლექსში რატომ მოგეჩვენათ „უჩვეულოდ“? ჩემს ლექსში რა, „შავი ყორანი“ ბედნიერების მომტანი პიკასოს მტრედია?

ერთი პოემა მაქვს, ლირიკული პოემა „მგლები“, იქიდან მოვიტან სტრიქონებს:

**„მატილის ჭალას**
**ახოლ-ჩახოლ,**
**შავო ყორანო,**
**რა შვლისა ციკანს**
**დაეძებ მანდა?“**

ვის ყორანსა ჰგავს ჩემს ლექსში ნათქვამი შავი **ყორანი?** იქნებ **ედგარ პოს „ყორანს?“** ახლა **ყორანიც** ვერ გვიხსენებია თქვენი შიშით, ისიც — ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში.

1919 წელს გალაკტიონმა „ყორანი“ დაწერა, არ ვიცი, ვისგან „მოიპარა“, „ჯერჯერობით“ ამაზე დოიაშვილი დუმს, ვნახოთ, რას გვეტყვის მომავალი, ერთი დღე არავის შერჩენია, ალბათ, არც გალაკტიონ ტაბიძეს შერჩება.

ახლა ყური მათხოვეთ, უნდა გაგანათლოთ: თქვენ ლექსიკონები გიყვართ, ჰოდა, ჩახედით უცხო სიტყვათა ლექსიკონში: **ალუზია — რიტორიკული ხერხი — გადაკვრით ხსენება რაიმე ცნობილი ისტორიული ამბის ან ლიტერატურული ნაწარმოებისა (თუ იცით და მალავთ?).**

მე თქვენგან არ მიკვირს, მაგრამ მაინც ზედმეტად ხომ არ აწუხებთ წინაპართა აჩრდილებს?

ჩემი პოემა „გამოეყო ნათელი წყვდიადს“ თბილისისადმია მიძღვნილი და მეშვიდე თავი მთაწმინდას ეკუთვნის.

**„მოი, მთაწმინდავ, სადღეგრძელოვ და გამარჯვებავ! შენა ხარ იგი, რაც კი ცხოვლად სულს დააჩნდება. შენი მზის სხივებს ჩუმად ვკოცნი — სხივებს თიბათვის, და ვევედრები ცაში ღმერთებს, — მონა იმათი — რათა მიცოცხლონ ჩემი კერა, ჩემი შორევი, ჩემი ქურციკნი და ყელყელა ნიამორები“.**

ამ ლექსის სხვათა მსგავსებას, რა თქმა უნდა, სხვა, თქვენს გარდა, ვერავინ დამაბრალებს. მაინც რას მსაყვედურობთ? იმას, რომ მთაწმინდისადმი მიძღვნილ პოემის მონაკვეთში ბარათაშვილი და გალაკტიონი მახსენდება? **„მე ოჯახაშენებულო“** (ხალხურია და წინწკლებში გისვამთ), მაშ, თქვენი აზრით, ვინ უნდა გამხსენებოდა? დოიაშვილი (ჯერ ადრეა) თუ... კიდევ უფრო იქეთ რომ გადაგეხედათ პოემისათვის — ნახავდით. რომ „ოპერასთან“ ფალიაშვილი მახსენდება, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი აკაკიც, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერში დგას.

ნეტა რა ეშმაკმა ათქმევინა დიდ ილია ჭავჭავაძეს —

**„ვინც კარგსა საქმეს არ**
**მიხდევს,**
**იგი თავისა მტერია“,**

როცა შოთა რუსთაველს ძალიან ადრე ჰქონდა ნათქვამი:

**„ვინ მოყვარესა არ ეძებს,**
**იგი თავისა მტერია“.**

საწყალი ილია დოიაშვილის ხელში...

საიდან არ მივლით, საიდან არ მეკაპასებით, მირზა გელოვანი მამულის გულზე სუფრას როგორ გაშლიდაო, ლექსში ეს რამ გათქმევინაო...

მამულის გული რომ მამულის მიწაა, ამას გაგება უნდა, მაგრამ ნათქვამია, „არც შენი იცოდე და არც სხვისი გესმოდესო“. ნახევრად გელოვანი ვარ, მირზას სისხლი და ხორცი, ამდენად — მირზა გელოვანს მაინც ნუ დაიცავთ ჩემგან; ყველაფერს რომ აქიაქებთ, ამას ხომ არ ჯობდა, მირზა გელოვანის სულში თუ არა, წიგნში მაინც ჩაგეხედათ; ჰოდა, ჩაიხედავდით თუ არა, წამსვე მიხვდებოდით, რომ მამულს მიწასთან ერთად ცაცა აქვს, დიახ, მამული ცჯ და მიწაა, მამული ხალხია, მამული ისტორიაა.

მირზა გელოვანის ერთი შესანიშნავი ლექსი „მელოდე“ ასე მთავრდება:

**„და ქორწილს ზეცის**
**სუფრაზე გავშლი,**
**ოღონდ მოხვლამდის, ოღონდ**
**ბოლომდის,**
**როგორც გაზაფხულს ელიან**
**მთაში,**
**შენი ლამაზი თრთოლვა**
**მელოდეს“.**

თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ მეტყვით, რომ მამულს მხოლოდ მიწა აქვს და ზეცა მისი არაა. არადა, თურმე მამულის ზეცის სუფრაზეც შეიძლება სუფრის გაშლა.

ნეტა ვიცოდე, რას ჩააცივდით მუხრან მაჭავარიანს და მერე მოკლა, თუ სადმე „გული“ ვახსენე, მუხრანის „სისხლს“ ჰგავსო.

**ვთქვი: „შენ ჩემო გულო,**
**გულო, პაწია,**
**ახლაც მებრძვიან, ახლაც**
**მარტო ვარ,**
**პატარა სიტყვა ვინ შეგვაწია,**
**მითხარი, გულო, ვინ**
**გვიპატრონა?“**

თქვენ გაგახსენდათ მუხრან მაჭავარიანის

**„შენ, სისხლო ჩემო, სად არ**
**დაღვრილო...“**

რატომ არ გაგახსენდათ ვალერიან გაფრინდაშვილის:

**„შენ, სულო ჩემო, ხევდით**
**დაღპლდი**
**და გენატრება ღამის**
**მაღარო...“?**

ან ირაკლი აბაშიძის:

**„შენ კირო ჩვენთა ქვათა და**
**კირთა,“**
**„შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლავ და**
**ფრენავ“?**

იმიტომ, რომ ასე უფრო ინტრიგანულია, ასე უფრო შეიძლება კაცი კაცს გადაჰკიდო (არა მგონია, მიზანს მიაღწიოთ).

ჯერ ერთი, უზნეობაა ლექსიდან სტრიქონის ცალკე ამოგლეჯა, მერე, მეორე, რამდენი რამე თქვენ გაგახსენდებათ, ჩემი გადასახდელია? ჩემი სტრიქონი თურმე ინტონაციურად მოითხოვს, რომ გალაკტიონის სტრიქონით დასრულდეს.

„ცხის სიზმარი“ გახსოვთ? ლადო ასათიანისა —

**„რომ დილისკენ, როცა დნება**
**მუქი შუქი მთვარის, გალავანზე გადმოდგება საქართველოს თვალი“,**

მოდით, მესამე სტრიქონად დავუმატოთ გალაკტიონის სტრიქონი:

**„ჯერ არასდროს არ შობილა**
**მთვარე ასე წყნარი“.**

სულ ესა ხართ? არც არაფერი არ გიგრძვნიათ ამ ქვეყანაზე? არც არასდროს დაეჭვებულხართ, არც არაფერს არ შეუწუხებიხართ? განა შეიძლება მთელი ცხოვრება შავი სათვალით უმზირო ქვეყნის მშვენიერებას? ძნელია, ძალიან ძნელია პოეტი კაცის სისხლზე დაგეშილი კრიტიკოსის ცხოვრება.

არსებობს ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნება: ვთქვათ და, ესთეტიკა ჩამოვაშორეთ ამდაგვარ აზროვნებას, ლიტერატურული ხომ მაინც უნდა დარჩეს? ხოლო თუ ლიტერატურულიც ჩამოვაშორეთ და ესთეტიკურიც, მაშინ აზროვნება ხომ უნდა ემჩნეოდეს ნააზრევს? არც ერთი, არც მეორე და არც მესამე? მაშ რა დარჩა? რა და სიძულვილი, უვიცი კაცისმიერი სიძულვილი.

ანა კალანდაძესავით მეც გამირითმავს „სად არი“ და „ქადარი“; „სხვა საქართველო სად არი“, ალბათ, ამ ლექსზეა საუბარი.

თუ მართლა გინდათ შეიტყოთ „სხვა საქართველო სად არი“, სად არი და გრიგოლ ორბელიანთან, დიახ, ანა კალანდაძეზე ბევრად ადრე თქვა გრიგოლ ორბელიანმა, ესე იგი, ანა კალანდაძემ „გაქურდა“ გრიგოლ ორბელიანი? აი, სადამდე მიიყვანს კაცს ან სრული გაუნათლებლობა, ან ბოლმა და, დაუნდობლობა, მონობა და მუცელზე ხოხიალი ბატონთა წინაშე.

**„სხვა საქართველო, მაინც**
**სად არი?**
**რომელი კუთხე რომელ**
**ქვეყნისა?“**

რას იტყვით, პლაგიატია ტიციან ტაბიძე?

გახსოვთ, „გურია“ გიორგი ლეონიძისა? იქაც ამბობს პოეტი „სხვა საქართველო სად არისო“.

ახლა გრიგოლ აბაშიძის ორ სტრიქონს გავიხსენებ:

**„არის ლამაზი მხარე მრავალი,**
**მაგრამ არ არის სხვა**
**საქართველო“...**

რა ვქნათ, რა ვუყოთ, თუ მართლა არსად არ არის სხვა საქართველო ისევე, როგორც არ შეიძლება ქვეყნად იყოს სხვა თქვენნაირი ლიტერატურათმცოდნე!

იქნებ ისე გაინაღდეთ ყველაფერი და ისე გალაღდით, რომ გიორგი ლეონიძის — „ვარდის ფურცლობის ნიშანი არი და დრო ახალი პაემანისა“ — რუსთაველიდან მოპარული გგონიათ?

„ყივჩაღის პაემანი“ მაინც არ წაგიკითხავთ? არც „სტუმარ-მასპინძელი?“ აბა, პირდაპირ ლიტერატურათმცოდნე და მეცნ. კანდიდატი გახდით?

მირზა გელოვანის „შავლეგო“ საიდან მოდის, ხომ ვერ მეტყვით? ხალხურიდან?

**„შავლეგ, შენი შავი ჩოხა**
**შავ ღამეში დაგეხევა“**

კი ბატონო, მართლა ასე ყოფილა, ხალხურიდანაა.

გალაკტიონ ტაბიძის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ — გახსოვთ? აბა უფრო ადრე, 1938 წელს, დაწერილი მირზა გელოვანის სტრიქონები გაიხსენეთ (ყველაფერი მე ხომ არ უნდა გაგახსენოთ?):

**—ქართლის მიწავ, უტკბილესო,**
**საყვარელო ქართლის მიწავ,**
**ჩვენს ცზრათვალა დიად მზეს და**
**ჩვენს ალისფერ დროშას**
**ვფიცავ!“ („შავნაბადა“)**

გალაკტიონ ტაბიძემ „მშობლიურო ჩემო მიწავ“ 1940 წელს დაწერა; ხომ არ შეიძლებოდა ერთი წერილი ამათთვისაც მიგეძღვნათ? ბევრზე სხვებზეც; გზა და გზა სხვა საიდუმლოებებსაც აგიხსნით, რა თქმა უნდა, თქვენთვის საიდუმლოებას, თორემ ლიტერატურათმცოდნეობაში ამას **რემინისცენცია** ჰქვია და საყოველთაოდ მიღებული ხერხია, ხოლო ასეთი „დაშვებული ილეთების“ გამო ბრძოლა „დაუშვებელი ილეთებით“ ლიტერატურული „ბოლშევიზმია“ და სხვა არაფერი.

თქვენ ცერად და ღვარძლით გახედეთ ჩემს იმ ლექსსაც კი, რომელიც ძმურად და სიყვარულით მივუძღვენი მუხრან მაჭავარიანს, თქვენ ცინიკოსიც ბრძანებულხართ, მაგრამ — უნიჭო ცინიკოსი; უნიჭო ცინიკოსები, როგორც წესი, პატარა დიქტატორები არიან. რა ვქნა, სხვა დრო იყოს, პასუხის ღირსადაც არ უნდა ჩამეთვალეთ, დღეს — იძულებული ვარ, (შენს თავს შენ თავად უნდა უპატრონო).

ერთ კურიოზსაც გაგაცნობთ: დოიაშვილი ხმამაღლა აცხადებს; „ქვემოთ კომენტარის გარეშე მო-

ვიყვან კიდევ რამდენიმე ნიმუშსო“ და მოჰყავს გალაკტიონ ტაბიძის

„გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები, მთების ლურჯი კამარა — უცხო სამოთხეები:“

მკითხველო, ერთი მითხარით, რითა ჰგავს ჩემი სტრიქონი:

„ესეც შენი ცხრამეტი, ვით ცხრამეტი კარატი, ხავსე სიმწუხარეთი, მაგრამ არა ლალატით“.

რითა ჰგავს ზემოთ მოტანილ სტრიქონს? რა თქმა უნდა, არც არაფრით... იქნებ, რიტმით? კეთილი, ბატონო, მაშინ ისევ ყური მიგდეთ, ბატონო მეც. კანდიდატო, კიდევ გაგანდობთ ერთ საიდუმლოებას, ადრეც მოგახსენეთ:

„ჯერ არასდროს არ შობილა
მთვარე ასე წყნარი“.

ეს გალაკტიონის სტრიქონი რას თხოულობს? (რა თქმა უნდა, თქვენი აზრით). იქნებ, დავით გურამიშვილის სტრიქონს? აბა ვნახოთ, აბა, კარგად დააკვირდით და ნახავთ, თუ არ მოითხოვს დავით გურამიშვილის სტრიქონს...

„ჯერ არასდროს არ შობილა
მთვარე ასე წყნარი...“
„ზუზოვკიდან მომავალმან ვნახე
ერთი ქალი“.

ერთი კაცის დაწერილსა ჰგავს არა? ვინაა ის ერთი კაცი? თუ სამართალია, ალბათ, დავით გურამიშვილს ეკუთვნის უპირატესობა, პრიორიტეტი...

ამით, თქვენი აზრით, სრულიად ინგრევა გალაკტიონ ტაბიძის ასე გამოკვეთილი ინტონაცია, სწორედ ის. ინტონაცია, რომელიც „მთაწმინდის მთვარეშია“.

„ჯერ არასდროს არ შობილა
მთვარე ასე წყნარი“.

გალაკტიონის „მას გახელილი დარჩა თვალები“ თუ გახსოვთ? აბა ახლა სიული პრუდომის ლექსიც გავიხსენოთ —

„და მე მას ვკარგავ მთელი
ცხოვრება
და უსასრულოდ შევუნდობ
ცოდვას,
ო, ვერ დაგმარხეს შენ
საბოლოოდ...
შენ გახელილი დაგრჩა
თვალები.“

ეტყობა, როცა რაღაცას ეძებ, უფრო კარგად უნდა გაახილო თვალები.

ნეტა წაგეკითხათ აკაკი გაწერელიას „ქართული ლექსთწყობა“ — (რიტმი და სიტყვა) ნახეთ, რა დიდებულად წერია?! — „თითოეული ლექსთწყობის ნაციონალური ხასიათი მჟღავნდება რიტმის, როგორც რეალური ჟღერის აქმის დროს. მეტრულ სქემაში ლექსის სპეციფიკური ნიშნების ძიება კი სრულიად ამაო საქმეა. ამასთან, შეიძლება ამა თუ იმ მეტრის მოდელი არ იყოს ეროვნული წარმოშობის, ან კიდევ, განყენებულად აღებული, სრულ ანალოგს პოულობდეს სხვა ენების სალექსო სიტყვებში“. ბატონ აკაკი გაწერელიას მოჰყავს, მაგალითად, რუსთაველის მაღალი შაირის ქორეული ნახევარტაეპი — „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ და ასკვნის, რომ ანალოგიურია რუსული საზომისა — „Буря мглою небо кроет“...

ახლა თქვენ თუ იმასაც დაამტკიცებთ, რომ პუშკინმა ქართული იცოდა და რუსთაველის გავლენას განიცდიდა, მე პირადად ხელები ამიწევია და უკან წამიღია, რაც მითქვამს. მე შემიძლია ერთი რამ გასწავლოთ, დღეს ყველაფერი შესაძლებელია, იმის მტკიცებაც კი, რომ პუშკინი უფრო ადრე ცხოვრობდა, ვიდრე რუსთაველი. ხოლო რუსთაველმა იცოდა მშვენიერი რუსული.

შეხედეთ ერთი, როგორ გადაჯაჭვულან ერთმანეთზე: „ასე გაივლის წამება, ოხვრა, შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით“ (ტერენტი გრანელი) — „მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება შენი თოვლივით მკრთალი ხელები“. (გალაკტიონ ტაბიძე). დაწყნარდით, ნუ აღელდებით, რადგანაც აღმოჩენამ აღელვებაც იცის, ხოლო, არცოდნა არცოდვა გახლავთ.

ახლა ისევ ყბადაღებულ „ჰადარს“ დავუბრუნდეთ, აი, იმ „ჰადარს“, მე რომ გავრითმე „სად არის“-თან (მეტი დაწვრილმანება იქნება?). ეს რითმა თურმე ანა კალანდაძეს მოვპარე. რაღაი ასეა, გაგახსენებთ ისევ მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებს ლექსიდან „ჰადარს ეტყვის ჰადარი“: „გორის ციხის ახლოს მდგარი ჰადარს ეტყვის ჰადარი, აქ რომ ბიჭი თამაშობდა, ნეტავ ეხლა სად არი?“

ის „ბიჭი“ სადაცაა, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ დავიჯერო, რომ მუხრან მაჭავარიანმა ისესხა ეს ცოდვილი რითმა „ჰადარი“ და „სად არი“ ანა კალანდაძისაგან?

ჩემთვის, პირადად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ რითმას; ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პოეტი წერს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ლექსს, გათავდა და მორჩა. შეიძლება თქვენნაირი „ლიტერატორი“ იმის მტკიცებასაც მოჰყვეს, რომ მავანმა პოეტმა მავანისაგან ასო „ჰ“ მოიპარაო, ამასაც მოვესწრებით, განა მსგავსი არაა, როცა მუხრან მაჭავარიანის „ძიებას“ და ჩემს „ძებნას“ ერთმანეთს ადარებთ? ახლა შევადაროთ ერთმანეთს მუხრან მაჭავარიანის „ვეძებ და ვეძებ“ და ჯანსუღ ჩარკვიანის „ძიება“. მართლა თუ გადახრასთან და ანომალიასთან არა გვაქვს საქმე, ამნაირ შედარებას კაცი არ იკადრებს.

„ა კაცი! —
იცის — გახალებს ეძებს,
ამოუვარდა ჯიბიდან წელან,
მას ეხმარება მეუღლე,
შვილი,
ცოლისდა,
სიძე,
სიდედრი, დედა.
ეძებენ სკამზე,
ეძებენ სკამქვეშ,
ეძებენ ტახტზე,
ეძებენ ტახტქვეშ,
და...
იპოვნის კიდეც ერთ-ერთი
ალბათ.
მე?!“

ახლა ჩემს ლექსს მოვიტან, თუ თავი არ მოგაბეზრეთ, მაგრამ, რა ვქნა, იძულებული ვარ:

თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე,
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად“.

„ულრან ტყეში ბუკი ყვირის,
ჯერ შორსაა შუქი დილის, —
„ვერ იპოვე?“ — „ვერა, ძმაო“, —
ვიღაც ჭრაქით ხელში ტირის“ —

ეს მურმან ლებანიძეა.

აქაც ვიღაცამ რაღაცა დაკარგა და ვერ პოულობს, რა ვქნათ, ვის დავაბრალოთ?

ერთ ჩემს ძველ ლექსში, რომელსაც „ძიება ანუ საუბარი საკუთარ თავთან“ ჰქვია, ვწერ:

„— ამ ეკალ-ბარდში რას მიჯანსულობ, რა სისხლის წვეთი ჩამოგდის მკერდზე, რას ეძებ, ჯანსულ? და შენ მპასუხობ, — მოუჩრდილებელ სინათლეს ვეძებ. სამოსი მგლისა ჩაუცვამთ ვერძებს, მუზა უკუღმა შემჯდარა ვირზე, დედათა შორის კურთხეულს ვეძებ, მე ვეძებ ჩემი შეცდომის მიზეზს. სიცოცხლეს ცეცხლი რომ გავურითმო, იმ სიტყვას ვეძებ ნეტარ სტრიქონით, ყოვლად ძლიერო, ვიპოვი ვითომ? — დიახ. ვიპოვი!“

ასეა, ძიებაშია ყველა პოეტი, ყველა ხელოვანი, „ეძიებდე და ჰპოვებდე“, ხომ გაგიგონიათ, ეს არც მე მომიგონია და არც რომელიმე ჩვენს თანამედროვეს, ესეც სახარებიდან გახლავთ. მწერლობა დოლი არაა, რომელი ცხენი რომელს გაასწრებს, არაფერი ამ ლექსებს ერთმანეთთან საერთო არა აქვს.

ჯერ კიდევ 1961 წელს ვწერდი „სადღეგრძელოს“:

„ვიპოვე, ძმაო, რასაც ვეძებდი,
მაღალი მთების ქარებს ვეძებდი,
ძველს და დახეულ ქარებს
ვეძებდი“.

რა სათქმელია, მაგრამ იქნებ მე უფრო ადრე დავიწყე ძებნა? ისე კი, მუხრან მაჭავარიანის ლექსისა არ იყოს, თქვენ თუ მართლა გასალები არ დაგიკარგავთ, რას ეძებთ? მე თქვენი გამომძიებლობა არ მომწონს, თორემ გალაკტიონთან, ანა კალანდაძესთან, მურმან ლებანიძესთან, მუხრან მაჭავარიანთან და, საერთოდ, ყველა ჭეშმარიტ ქართველ პოეტთან საერთო ღმერთმა ნუ მომიშალოს!

ისევ მუხრან მაჭავარიანს ვუბრუნდები:

„ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი, ფერად შინდი“... ეს ხომ მუხრანისაა; თქვენ გეჩვენებათ, რომ ჩემი სტრიქონი „მისი ფერი, ლურჯი ფერი, ლურჯი ყანის ღალანია“, მოდის, მოდის რუსთაველი, ავთანდილის ლხენითაო!“ ძალიან ჰგავს მუხრან მაჭავარიანის აღნიშნულ სტრიქონს. გონება რომ გაგინათოთ, მუხრან მაჭავარიანის ლექსს უფრო ვრცლად გაგაცნობთ; მანამ კი კითხვა მინდა დაგისვათ: „ინდი მინდი, ფერად შინდი“ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ხომ არ შეგხვედრიათ? ახლა განვაგრძოთ მუხრანის ლექსი:

„ჰქნება ტურფა საბალნარო, სწყდება ზეცას მეტეორი... — მოშაირე არა ჰქვია, თუ სადმე თქვას ერთი ორი!“ რა ვუყოთ შოთა რუსთაველს, რომელმაც ბრძანა — „მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი ორი“. მოპარა დიდ შოთას მუხრან მაჭავარიანმა ლექსი? ამ ლექსში (თუ, რა თქმა უნდა, ბოლომდე გაქვთ წაკითხული) ასეთ სტრიქონებსაც შეხვდებით, წმინდა რუსთველურს: „იმღერს ლექსთა საზრალოთა“, „ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის ატირდიან“. „რუსნი, სპარსნი, მოფრანგნი“; აბა, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა ეს, გინდათ თუ არ გინდათ — ასეა, და სანამ თქვენ გაუგებდეთ გემოს ამ პოეტურ მულამს, რომელსაც, თქვენი აზრით, „ლიტერატურათმცოდნეობაში უფრო მკაცრი სახელი ჰქვია“. მანამ, ალბათ, მართლა გავა ვირი ხეზე. ნუთუ ერთ ლექციასაც არ დასწრებიხართ, რომელზეც ლიტერატურათმცოდნენი ლექციებს კითხულობდნენ? მაშ რაში დაიცავით დისერტაცია — მონობაში? სულგაყიდულობაში? კაცთმოძულეობაში?

საბას იგავები წაგიკითხავთ? თუ წაგიკითხავთ, მაშინ იქვე ნახავდით „ცხრილიან კაცში“ თქვა რუქამ: „წვიმა არ არის და თოვლი“. ჩემის აზრით, ეს სტრიქონი მუხრან მაჭავარიანმა ბრწყინვალედ გამოიყენა თავის ლექსში „საბა“:

„— წვიმა არა არი!
საბას წვერი დაუხველა რამ?!
— თოვლი არ არი!
საბას თავი გაუთეთრა რამ?!“

აქედან გამომდინარე, რა მოხდა? რა და, ჩემთვის მოხდა ის, რომ გულში მაქვს ერთი შესანიშნავი ქართული ლექსი, რომელიც დაწერა საბას შესანიშნავმა მცოდნემ მუხრან მაჭავარიანმა. თქვენ კი ამას ალბათ სხვა სახელს დაარქმევდით!.. მაგრამ ვერ ამხელთ? მაშინ, ბოდიშს კი მოვითხოვ, მაგრამ მე გამთავხედებიხართ, მე გიპოვნივართ დაბალი ღობე... არაფერი შეგეშალოთ და, სანამ გვიან არაა, სჯობს, ამ მხრივ, აზრი შეიცვალოთ. მით უფრო, რომ აზრის შეცვლა გარემოებისდა მიხედვით თქვენთვის ახალი ხილი არ არის...

აი, რა გემართებათ, როცა მეორეს, ეტყობა, უფრო ჰკვიანს, ღარაფერს ეკითხებით, ახლა მარტო თქვენ უნდა აგოთ პასუხი ყველა სიბრიყვესა და ყველა უვიცობაზე, რაც თქვენს უსაშველოდ გაგრძელებულ წერილშია წარმოდგენილი.

„სიბერემდე სიქაჩლეო,“ თორემ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თავის მართლება თუ მომიწევდა ტანისამოსიანა მტყუან ცინიკოსპსიკოკრიტიკოსთან; რას იზამ, ალბათ, ესეც ჩემი იღბალია...

ჩვენი გამომძიებელი სიცრუიდან სიცრუემდე ერთ სიმართლეში გამოვიჭირე და გამიხარდა, თუმცა სიმართლეში კი არა, ნახევარსიმართლეში.

ხუტა ბერულავას ლექსი მოჰყავს; მართალი გითხრათ, მე ეს ლექსი არ მქონდა წაკითხული და მეწყინა, როცა დოიაშვილი გვთავაზობს, „გავიხსენოთ ხუტა ბერულავას ცნობილი ლექსიო“.

კადნიერებაში ნუ ჩამითვლით და, ქართველ პოეტს ქართველი პოეტის ცნობილი ლექსი კი უნდა ახსოვდეს.

მაგრამ მთავარი ახლა ეს არაა, მთავარია ლექსი, აი ისიც:

„შენი მზე და მთვარე,
ლიახვი და მტკვარი,
ეს ჟუჟუნა წვიმა,
ეს ციმციმა ცვარი,
ყველაფერი მიყვარს,
რაც კი შენი არი!“

ახლა ჩემი ლექსი, დოიაშვილის მიერ ჩემს საბავშვო წიგნში გულდაგულ მოძებნილი:

„შენი დედაენა
და ბუნების კარი
ჩემს თვალებში ელავს,
ვით რუსთველის ბწკარი“.

გეთანხმებით, ასე სახელდახელოდ მართლა არ უნდა იწერებოდეს საბავშვო ლექსი; ეს ორი ლექსი მართლაც ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ, იცით, რითი? იმით, რომ არც ერთი არ უქნია ღმერთს, არც ერთი არ ვარგა. თქვე კაი კაცო, მე — კარგი, არ მოგწონვართ, ეს ხუტა ბერულავა რომ მიმაკალით, რა იყო ვითომ?, დავიჯერო, ასე გქონდათ ჩაფიქრებული? არა, ბატონო გამომძიებელო, ჩაფიქრებული კი არ იყო, წარმოდგენა არა გაქვთ ქართულ პოეზიაზე (არც საბავშვოზე). ესაა თქვენი უბედურება!

მოკლედ, კარგი ლექსი ვისი „ნაშამქორალიც“ და ვისი „ნანამქერალიც“, ვისი „ნადიდგორალიც“, „ნაყივჩაღარიც“ და „ნამაისარიც“ არ უნდა იყოს, კარგი ლექსია, ხოლო ცუდი ლექსი — ცუდია, თქვენი „ნამოღვაწარი“ კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ნეტა ვიცოდე, თქვენ თვად ვისი ნაშეგირდალი ხართ, რომ თქვენი ნაფეშქაშარით ნაჭყიპურები (შიგნეული, ნაწლავები) გინდათ დააყრევინოთ ქართულ პოეზიას? ვის ნაჩლიქარს ეწაფებით? გავაგრძელოთ:

„ალაზნის ველი ბრწყინვალე,
ოქროს მზის ამოსახედი!:.
ვაზდაბურული სამშობლო,
ჩემი უკვდავი კახეთი“ —

გიორგი ლეონიძის „კახეთი“ ხომ გაგონებთ იოსებ ნონეშვილის შესანიშნავ ლექსს „კახეთო, ჩემო კახეთო, ირმების გადმოსახედო?“

ეჰ, მე რა გიშველოთ, თუ ლექსის გაგებაში არა ხართ? მომიტევოს მუხრან მაჭავარიანმა ამდენჯერ მოხმობა, მაგრამ რომ არ მეშვება გამომძიებელი? მუხრანის ლექსის გავლენა გაქვსო, წუხხართ და სტრიქონი მოგყავთ: „იქ დაბრუნდები ციდანა, — ცაში ასულხარ სიდანაც“. ჩემს სტრიქონებს უწყვილებთ: „სიდანაც მოედინები, შეუერთდები მასვე“. მომბეზრდა ამდენ წვრილმანზე ლაპარაკი, ახლა უბრალოდ ბატონ ლიტერატორ-გამომძიებელს მუხრანის ამ ლექსის ბოლო სტრიქონებს შევახსენებ (გაგანათლეთ და ეგაა!):

„მეც მეხარბება ვითარცა, შეხარბებია ბარე ორს, — დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“.

ხომ არაფერი გენიშნათ? ვისია ბოლო ორი სტრიქონი? ვისია და ა-კა-კის, აბა გაიმეორეთ — ა-კაკის, სწორია!..

არც მუხრან მაჭავარიანის ლექსი გაქვთ ბოლომდე წაკითხული და არც აკაკი წერეთლის?... არა გრცხვენიათ? სულ არა? კაცს, რომელსაც სირცხვილის გრძნობა არა აქვს, რა ჰქვია ასეთ კაცს? ესეც მე გასწავლოთ? ვერ მოგართვეს, უნდა გაიძულოთ, რომ გაიკითხ-გამოიკითხოთ, ან წიგნებში ჩაიხედოთ, აქაც არცოდნა არცოდვა არის. აი, რომ იცი და განგებ ამახინჯებ, ეს ბოროტებაა, — თქვენ რომელი ხართ? მე მირჩევნია, არ იცოდეთ, უცოდინარი იყოთ, გაუნათლებელი, ვიდრე ბოროტი, მცოდნე და ბოროტი.

„მეხსი ვარ, ვანთე მე ხხივი,
მეხსმა შეხსმა ვთქვი ახალი“.

ეს ორი სტრიქონი გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის, „ვარ ვინმე მეხსი მელექსე“ გალაკტიონ ტაბიძისაა, ხოლო [illegible] უფრო ადრე, ამ რვაასი წლის წინათ, სხვამ ბრძანა, „ვწერ ვინმე მესხი მელექსეო,“ ვინა თქვა, ესეც მე გასწავლოთ? აბა რაის ლიტერატორ-გამომძიებელი ხართ?

საბავშვო ფონდში მუშაობა განა ბავშვურად აზროვნებასაც ნიშნავს?

რაზხელა ვაიუშველებელი ასტეხეთ „ხერთვისის“ გამო? ახლა სამშობლოს სიძულვილსაც მწამებთ? აბა, გულში ჩაიხედეთ, კარგად, კარგად, უფრო კარგად, ჩაიხედეთ? შევარცხვინე თქვენზე ნაკლები ქართველი, ვირზე უკუღმა შესასმელია თქვენზე ნაკლები ქართველი, გინდ მე ვიყო და გინდ სხვა:

„ახე ვფიქრობდი, თუ
დარჩებოდი,
მე ეს ხერთვისი მინდოდა
შენთვის“ —

ვთქვი მე...

ახლა სამშობლოს სიყვარულით გასუქებული კაცის კომენტარი არ გაინტერესებთ? „ხერთვისი ჩვენი მამულის, ჩვენი ისტორიის, ჩვენი კულტურის ნაწილია და ამიტომ, რა აზრიც უნდა იყოს ამ სტრიქონებში, უხერხულად ჟღერს კერძო პირის მიერ კერძო პირისადმი ნათქვამი:

„მე ეს ხერთვისი მინდოდა შენთვის“.

რა ვქნა, დღემდე ვერ წარმომედგინა, რომ რომელიმე დამწყებ მკითხველს შეეძლო ამ დონეზე აზროვნება... სალვადორი დალიმ თავის სატრფოს ვენეცია აჩუქა, ოღონდ მართლა კი არა, ლექსში, ლექსში აჩუქა! თქვენი აზრით, ერთ ლექსში გიორგი ლეონიძემაც გააჩუქა საქართველო, ისიც ხომ ამბობს: „საქართველო მინდოდა თქვენთვისო“ (დავლუპულვართ დაეგაა). მოკლედ, ხომ გაგიგონიათ, „არა იყო გვარი მისიო“.

ამდენი ღვარძლის ნთხევას და დაუნდობლობას, დღეს, როცა მართლა ლამობენ წაგვართვან ნაწილი საქართველოს უძველესი მიწისა, დღეს, როცა გარეული მტერი ჩვენი შინაური აშლილობითა გალაღდა და გაიფურჩქნა, იქნებ სჯობდა კალამი ორლესულივით გვეროდათ და საქართველოს მტერი მოგეგერიებინათ? რა თქმა უნდა, სჯობდა!

„მე ხეკორძულას წყალი
შემისვამს
და ლექსი ისე მიშენებია“.

ხომ არ ჰგავს ეს ორი სტრიქონი, „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია?“

ის ხალხური ლექსი პირველად კონსტანტინე გამსახურდიამ წარუმძღვარა ეპიგრაფად „დიდოსტატის მარჯვენას“. მაგრამ ტაბუ არ დასდებია ამ შესანიშნავ ლექსს. თქვენ ამის გამოც არაფერი გსმენიათ? დავიჯერო, სულ არაფერს არ კითხულობთ ჩემი ლექსების გარდა?

ბატონი კონსტანტინეს გამო გამახსენდა, 6 მარტის გაზეთი „ერი“ ბეჭდავს გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას ლექსებს.

პირველი ლექსი „სონეტი ს. ჯ-ს“ ასე იწყება:

„იმხით გახსნილან გიშრის თასში
შენი თვალები“.

ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას ლექსის პირველი სტრიქონია:

„გიშრის თვალები მეჩრდილება
გიშრის ლერწამში“.

ერთ წერილს ხომ არ მიუძღვნიდით ამ „საოცარ“ მსგავსებას?

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“. ეს სტრიქონი, ალბათ, გახსოვთ „ვეფხისტყაოსნიდან“, მაგრამ ტიციანის სტრიქონი რომ არ გახსოვთ? თუ არ გინდათ გაიხსენოთ?

„რა საჭიროა მელნად გიშრის
ტბა
და კალმად კიდევ შინა
რხეული“.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში.“ ამას ილია ბრძანებს. ხოლო გიორგი ლეონიძეც იგივეს იმეორებს:

(დასასრული მე-12-13 გვ.)

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, „რენდ კორპორეიშნ“-ის მეცნიერ-მუშაკი ᲯᲔᲠᲔᲛᲘ Რ. ᲐᲖᲠᲐᲔᲚᲘ, რომელიც რ. რეიგანის დროს მთავრობის შემადგენლობაში სახელმწიფო მდივნის მრჩევლად მუშაობდა, „სამეცნიერო-გაცვლის“ პროგრამით ხანგრძლივად ორჯერ იმყოფებოდა სსრკ-ში. გთავაზობთ მის სტატიას.

# ᲡᲣᲠᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲝᲡ ᲡᲡᲠᲙ?

ბოლო დრომდე ამერიკის პოლიტიკური მოღვაწენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ XXI საუკუნისათვის საბჭოთა კავშირი იქნებოდა ერთიანი სახელმწიფო — იქნებ ბალტიისპირეთის ქვეყნებს კიდევაც მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა, მაგრამ სხვანი უცვლელად სსრკ-ს შემადგენლობაში დარჩებოდნენ. უმთავრესი საკითხი მათთვის იყო ის, თუ რა გზით განვითარდებოდა სსრკ. შეძლებდა თუ არა გორბაჩოვი და მისი გუნდი, კავშირი გარდაექმნათ „ნორმალურ“ ქვეყნად, ანუ სახელმწიფოდ, სადაც ეკონომიკა ნორმალურად იფუნქციონირებდა, შეიქმნებოდა დემოკრატიული წყობა, მოქალაქეებს მიანიჭებდნენ თავისუფლებას და მისი საგარეო პოლიტიკაც ცივილიზებულ სახეს მიიღებდა, თუ ისინი ვერ ძლევდნენ კონსერვატიული ოპოზიციის და ბიუროკრატიის წინააღმდეგობას და ვერც სოციალურ ინერტულობას გადალახავდნენ? ერთი სიტყვით, იარსებებდა თუ არა სსრკ კვლავაც სახეუცვლელად, თუ ოდნავ შეცვლილ, თუმც კი უკვე მისუსტებულ ზესახელმწიფოდ?

ვაშინგტონში სულ უფრო აშკარად ხედავენ, რომ სსრკ-ში მიმდინარე პროცესები დღეს ამ ალტერნატივას გამორიცხავს, მდგომარეობის „ნორმალიზაციისა“ თუ ძველისაკენ შებრუნების ნაცვლად ქვეყანა იშლება. სულ უფრო მზარდმა ეროვნულმა თვითშეგნებამ და საკუთარი უფლებების აღიარებამ მთლიანად გააქარწყლა მითი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები 70 წლის განმავლობაში ერთმანეთს დაუახლოვდნენ, ალარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თითქოსდა ისინი ერთმანეთს შეერწყნენ ერთიან, ზეეროვნულ ოჯახად, რომელსაც „საბჭოთა ხალხი“ ჰქვია. სინამდვილეში ეს სოვეტიზაცია აშკარად ამუხრუჭებდა მეტ-ნაკლებად სწრაფ პროცესს ეთნოპოლიტიკური ინტეგრაციისა. სახელმწიფო ინფრასტრუქტურის დაშლის პირობებში, ეროვნული თვითშეგნების ამაღლების გამო დღეს წარმოიქმნა იმგვარი სიტუაცია, როგორც XX საუკუნის დასაწყისში არსებობდა ოსმალეთის იმპერიის დაშლის დროს. XX საუკუნის დასაწყისის ოსმალეთის მსგავსად დღეს კრემლი არა თუ აღუნებს მარწუხებს, არამედ მას, აშკარაა, რომ ძალა ელევა.

გორბაჩოვი კვლავაც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის დამანგრეველი ცენტრიდანული ძალების მოთოკვა შესაძლებელი გახდება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით და ფედერალური სტრუქტურების პირობებში საკავშირო რესპუბლიკებს მეტი ძალაუფლება მიენიჭებათ. იგი გამუდმებით იმეორებს კონსტიტუციურ ფორმულას — „ძლიერი რესპუბლიკები და ძლიერი ცენტრი“ — რომლის მიხედვითაც რესპუბლიკები გაერთიანდებიან უფრო სრულყოფილ და პოლიტიკურად განმტკიცებულ კავშირში. მაგრამ ეს ფორმულა მხოლოდ ერთ-ერთია მრავალთა შორის. გორბაჩოვმა ვერ შეძლო ეროვნული პრობლემის მოგვარება და იგი თავად გახდა ამ პრობლემის თანამონაწილე. რადგანაც ძალაუფლების გადანაწილება უკვე აღარაა საკმარისი, უნდა გამოიძებნოს დაშლის შემაჩერებელი ისეთი საშუალება, რომელიც თვისებრივად შეცვლიდა ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთდამოკიდებულებას. გორბაჩოვი თავისი პოლიტიკით კიდევ უფრო აღრმავებს და ახანგრძლივებს კრიზისს. ამის გამო ამერიკელ პოლიტიკოსთათვის დღეს უმთავრესი საფიქრალია არა სსრკ-ს გარდაქმნა ნორმალურ სახელმწიფოდ, არამედ მათ სურთ გაიგონ, რა შედეგს გამოიღებს ამერიკისათვის სსრკ-ს ყოფილი „დამონებული ხალხებისა“ და ცენტრის შემდგომი ურთიერთობა, რომლის დროსაც ისინი ან ძალის გამოყენებით, ან კი მოლაპარაკებების გზით ერთმანეთს შორის და გარე სამყაროსთან ახალ კავშირებს დაამყარებენ.

ამერიკელი პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირის „ეროვნულ ფრონტზე“ მომხდარი მოვლენები შესაძლოა არსებითად შეეხოს ამერიკის ინტერესებს, მაგრამ ვაშინგტონში ამისათვის ჯერჯერობით არაფერი მოუმოქმედებიათ. ჩანს, ვაშინგტონი არ აპირებს, იზრუნოს სსრკ-ს ეთნოპოლიტიკური პრობლემების გამო. ასეთი პოლიტიკის დამცველები აცხადებენ, რომ ზედმეტი გააქტიურებით ვერ აიძულებენ კრემლს ბოლო მოუღოს „ცივ ომს“, რათა ამით, მსოფლიოში დასაბამი მიეცეს ახალ თანაარსებობას. ისეთი რთული საკითხების გამო, როგორებიცაა სტრატეგიული შეიარაღების შემცირება, გერმანიასა და აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარის გაყვანა და ახლოაღმოსავლური კრიზისის დროს საბჭოთა არმიის მონაწილეობა, ისინი უფრთხიან, მოიმოქმედონ რაიმე, რასაც კრემლი საკუთარ საქმეებში არაკეთილგანწყობილ ჩარევად შეაფასებდა. მართლაც, ეს პრობლემები ისეთი საჭირბოროტო მნიშვნელობისაა, რომ შეუძლებელია უარყო ფრთხილი პოლიტიკის მომხრეთა არგუმენტები. თუმცა საფიქრალია, რომ ისინი აზვიადებენ „ეროვნულ საკითხში“ ამერიკის დიპლომატიური ჩარევის შედეგად კრემლის რეაქციას და სათანადოდ ვერც „ჩაურევლობის“ რისკს აფასებენ.

კრემლმა თავად გამოთქვა სურვილი, განიხილოს ზოგიერთი „ეროვნული პრობლემის“ საჩოთირო ასპექტი, მათ შორის საბჭოთა ბირთვული შეიარაღების კონტროლის მიმართ ეთნოპოლიტიკური ფაქტორის საშიშროება. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ თანახმაა და თავადვე შეუწყობს ხელს, რათა საზღვარგარეთის მთავრობებმა უშუალოდ დაამყარონ სხვადასხვა სახის კონტაქტები საკავშირო რესპუბლიკებთან. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ იგი სხვა ნაბიჯსაც გადადგამს, ოღონდაც არ დაკარგოს შანსი დასავლეთიდან საჭირო ეკონომიკური მხარდაჭერისა.

შესაძლებელია, „ეროვნულ ფრონტზე“ გარკვეული „პროვოკაციების“ გამო კრემლი იძულებული შეიქმნება ისეთ ღონისძიებებს მიმართოს, რაც არ შეესატყვისება აშშ-ს ინტერესებს. იქნებ ვაშინგტონიდან ზედმეტი გავლენა კრემლს აიძულებს, კვლავაც გააქტიუროს „ძალის პოლიტიკა“ სხვათა მიმართ: იგი უკვე განიცდის „ქორთა“ ზეწოლას, რომლებიც მისგან საგარეო პოლიტიკის გამკაცრებას მოითხოვენ. მართალია, „ქორებმა“ ჯერ ვერ მოიპოვეს წარმატება, მაგრამ ისინი მიაღწევენ მიზანს, თუკი შეძლებენ დაამტკიცონ, რომ აშშ ცდილობს შეცვალოს კრემლის იმპერიის არა მხოლოდ საგარეო კავშირები, არამედ დაშალოს მისი „შინაგანი წყობაც“. თუმც კი გაძნელდება გამოიძებნოს ისეთი რამ, რაც მათ ნათქვამს დაუმტკიცებდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის არცერთ დღევანდელ პოლიტიკურ ლიდერს არ უფიქრია კრემლი გაეკრიტიკებინა იმის გამო, რომ იგი „ბოროტების იმპერიის“ ცენტრი ყოფილიყოს. ვაშინგტონში არც ისეთი აკვიატებული აზრია პოპულარული, რომლის მიხედვითაც კრემლი მხოლოდ მაშინ უნდა მიუშვან ამერიკულ ბაზართან, როცა იგი სრულად გაატარებს „დეკოლონიზაციას“. სწორედ ამ არგუმენტების გარეშე „ქორები“ ვერ დაარწმუნებენ სკეპტიკურად განწყობილ აუდიტორიას, თითქოს აშშ ცდილობდეს „ეროვნული ფრონტი“ გადააქციოს სსრკ-სთან მისი ურთიერთდაპირისპირების არენად და ამით გაახანგრძლივოს „ცივი ომის“ პერიოდი.

სწორედ ამიტომ, მოდით, განვიხილოთ რამდენიმე ღონისძიება, რომლითაც თავიდან ავიცილებთ არასასურველ ეთნოპოლიტიკურ ვარიანტებს და შევძლებთ, განვსაზღვროთ მათი შედეგები.

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სურვილია კონტროლს ექვემდებარებოდეს საბჭოთა ბირთვული არსენალი, კერძოდ კი — სტრატეგიული რაკეტები. პრესის თანახმად, ვაშინგტონი კრემლს დაეკითხა, თუ რამდენად უსაფრთხოა ბირთვული იარაღის განლაგება და მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი, თითქოსდა ყოველივე მოწესრიგებული ყოფილიყოს მაგრამ საეჭვოა ირწმუნოს პასუხი, რადგანაც სულ უფრო იზრდება დაძაბულობა შეიარაღებულ ძალებში, სუკ-სა და საერთოდ, საზოგადოებაში. თუკი დღეს არ გვეშინია, დაირღვეს მსოფლიო უსაფრთხოება, ხვალ შეიძლება ყოველივე შეიცვალოს და ბირთვული იარაღი აღმოჩნდეს იმ მთავრობისა თუ დაჯგუფებების ხელში, ვინც აშშ-სადმი მტრულადაა განწყობილი.

იმისათვის, რათა შემცირდეს ეს რისკი, აშშ-ს მთავრობა უფლებამოსილია მოთხოვოს უფრო დასაბუთებული მტკიცებანი და მეტი გარანტიები, თუ რა გაკეთდა იმისათვის, რათა ალიკვეთოს პოტენციურად გამოსაყენებელი ბირთვული იარაღის დატაცება? ამ მიზანს უნდა მოვახმაროთ სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებთან დაწყებული უმაღლესი დონის კონტაქტები. ამერიკელთა მხარემ ამ კონტაქტების დროს აშკარად უნდა განაცხადოს ჩვენი შეშფოთება.

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ. „ეროვნული ბრძოლა“ შეიძლება დასრულდეს მეორე შემაძრწუნებელი შედეგით — წარმოიქმნას შოვინისტური, ნეოფაშისტური რუსეთი — სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი და უდიდესი ნაწილი დედამიწისა, აგრეთვე უზარმაზარი სამხედრო ძალა ბირთვული იარაღითურთ შესაძლოა ხელში ჩაუვარდეს ხალხს, ვისი მისწრაფებანიც სრულიად ეწინააღმდეგებიან ჩვენსას. მეტიც, ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ ხალხის მიერ ძალაუფლების მოპოვება გახდეს პრელუდია იმ აგრესიული ანშლუზისა, რომლის მიზანია არარუსულ ტერიტორიებზე რუსეთის ძალაუფლების აღდგენა. ალბათ, ქვეყნად ამით დასაბამი მიეცემოდა სისხლისმღვრელ „შინაომს“, რომელიც ადვილად გასცდებოდა საბჭოთა (ან ყოფილ საბჭოთა) საზღვრებს და უარყოფითად იმოქმედებდა აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ-დასავლეთ აზიისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებზეც. ამგვარად, აშშ ძლიერაა დაინტერესებული, რომ ამაღლდეს ლიბერალების და დემოკრატების ლიდერთა პრესტიჟი, რომლებმაც დღეს აშკარად მოიპოვეს რუსი ხალხის უმეტესი ნაწილის ნდობა. ამ ნაგვიანევ დაინტერესებაზე მეტყველებს ის, რომ ბოლოხანობოლოს შეწყვიტეს მოუფრთხილებელი შენიშვნები ბორის ელცინის მიმართ და ამერიკის ოფიციალური პირები უფრო მეტი პატივისცემით განიმსჭვალნენ რუსეთის წამყვანი დემოკრატებისადმი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ „მემარჯვენეთა“ ძლიერ სურვილს, წინ აღუდგნენ რუსეთის დემოკრატ-ლიდერებს და ჩაშალონ მათი პოლიტიკა, ყოველივე ეს აშკარად არასაკმარისია.

ასევე სასურველია ვაშინგტონმა თავისი დაინტერესება გამოხატოს ამ ბრძოლის შედეგის გამო და გამოთქვას მზადყოფნა, რომ დაიცავს დემოკრატებს, თუ მათ აიძულებენ, დატოვონ პოლიტიკური არენა.

სსრკ-სადმი ჩვენი დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, და დემოკრატების მიერ მართული სხვა მსხვილი ქალაქების ხელმძღვანელთა პროგრამებს თუკი წაადგება, აი, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენი სახსრებით ვაფინანსებთ იმას, რაც ჩვენსავე ინტერესებს ესატყვისება. გარდა ამისა, დემოკრატებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, განემტკიცებინათ პოზიციები და ეჩვენებინათ ამომრჩევლებისათვის საკუთარი ნალვაწის შედეგი.

ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ. სსრკ-ს შინაბრძოლების აშშ-სათვის კიდევ ერთი არასასურველი შედეგი არის ცენტრალური აზიის და აზერბაიჯანის საბჭოთა მუსლიმებს შორის ფუნდამენტალიზმის ზრდა. ძნელია განვსაზღვროთ, რამდენად საფუძვლიანია ჩვენი შეშფოთება, რადგანაც საბჭოთა პუბლიცისტები ინფორმაციას გვაწვდიან ისეთი სახით, რომ აშკარად არ სურთ ყურადღება მივაქციოთ კრემლის მიერ ყაზახების, აზერბაიჯანელების, უზბეკების და სხვა მუსლიმთა წინააღმდეგ შეიარაღებულ ძალების მრავალგზის გამოყენებას. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფუნდამენტალისტებმა ირანიდან და ავღანეთიდან წარმატებით გამოაძევეს „ურჯულონი“, და ეს ერთობ შემაშფოთებელია. ცენტრის ძალაუფლების შესუსტების შემდგომ, მუსლიმები სულ უფრო დაინტერესდებიან ფუნდამენტალიზმით და როდესაც საერთაშორისო არენაზე საბჭოთა მუსლიმები დამოუკიდებლად ან ნახევრადდამოუკიდებლად იმოქმედებენ, ისინი, შესაძლოა, ამერიკისადმი ყველაზე აგრესიულად განწყობილი ქვეყნების მოკავშირეებად მოგვევლინონ...

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. არარუსული სასაზღვრო რაიონების ბალკანიზაციას შეუძლია გამოიწვიოს საშიში დესტაბილიზაცია, რაც ეწინააღმდეგება ამერიკის ინტერესებს. ბალკანიზაციის დახტურია სისხლისმღვრელი დარბევები კავკასიაში, მოლდოვასა და შუა აზიაში. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან ერთად სსრკ-ს ზოგიერთ დასავლეთ რაიონში ეროვნულმა ფრონტებმა და მთავრობებმა ურთიერთს, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს წაუყენეს ტერიტორიული პრეტენზიები, ამ ვნებათაღელვის მიხედვით ადვილი წარმოსადგენია კონფლიქტის მასშტაბურობა, როცა ეს მხარეები საკუთარ შეიარაღებულ ძალებს შექმნიან.

იმისათვის, რათა აშშ-მ თავიდან აიცილოს სსრკ-ს მემკვიდრე ქვეყნებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტები, მან უახლოეს დროში უნდა მიმართოს შემდეგ ღონისძიებებს:

1. აგრძნობინოს კრემლს, რომ თუკი მისი მოქმედებების შედეგად გაღრმავდება ეთნიკური დაპირისპირებანი, მაშინ ეს გავლენას მოახდენს ამერიკა — საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. არსებობს არცთუ ცოტა სამხილი იმისა, რომ შუა აზიისა და ამიერკავკასიის მასობრივ ძალადობებში სუკ-ის ხელი ურევია. ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით სსრკ-ს სხვადასხვა ტერიტორიაზე შეიქმნა ნაციონალისტური ორგანიზაციები; რომლებიც სხვათა მოძულეობას ქადაგებენ. ამას გარდა, სუკ-მა საკმაოდ იღვაწა იმისათვის, რათა არარუს მოსახლეობას ერთმანეთს შორის ეროვნული პრობლემები ვერ მოეგვარებინა დიალოგისა თუ ხიდის გადების გზით. მაგრამ, სანამ საბოლოოდ არ დამტკიცდება, რომ ყოველივე ეს კრემლის ნებით ხდება, აშშ-მ — „მუშტიკრივი“ არ უნდა წამოიწყოს. თუმცა, ამასთანავე კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ „დამყავე და იბატონე“-ს ტაქტიკას ჩვენ მკვეთრად გავემიჯნებით.

2. რსფსრ-სა და ყველა რესპუბლიკაში უნდა შევქმნათ ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლობები, რათა კონტაქტები დავამყაროთ მოსახლეობის ყველა ფენასთან. ახლა ჩვენ მწირი ცნობები გვაქვს ყოველივე იმის შესახებ, თუ რა ხდება არარუსულ რესპუბლიკებში. ამის გამო ხშირად არ ვიცით, ხვალისათვის რას უნდა მოველოდეთ და, შესაბამისად, რა უნდა მოვიმოქმედოთ. „მინი-საკონსულოების“ შექმნა უახლოეს მომავალში სასიკეთო მოვლენა იქნებოდა, მაგრამ ასევე სწრაფად უნდა გადავდგათ შემდგომი ნაბიჯებიც, კერძოდ, ცენტრის გარეშე პირდაპირი ხელშეკრულებები დავდოთ რესპუბლიკათა მთავრობებთან.

3. ეროვნულ ლიდერებს უნდა დავეხმაროთ, ერთმანეთთან დაამყარონ მჭიდრო კავშირები, რათა ეთნოპოლიტიკურ ჯგუფებს შორის კონტაქტები უფრო განვითარდეს. ვაშინგტონს შეუძლია, ნეიტრალურ ტერიტორიაზე სადისკუსიოდ მოაწყოს „მრგვალი მაგიდა“ ან სემინარები, სადაც იგი და სხვა საზღვარგარეთელი მოღვაწენი ეროვნულ ლიდერებს შორის შუამავლისა და „მშვიდობის მოსურნის“ როლს შეასრულებდნენ.

4. დავაფინანსოთ და ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ერთობლივ ერთაშორის ღონისძიებებსა და პროექტებს, რომლებიც სასიკეთო იქნებოდნენ დისკუსიის ყველა მონაწილისათვის. ტექნიკურად და სხვა მხრივადაც დავეხმაროთ მათ ასეთი პროექტების განხორციელებისათვის.

5. ნათლად ვაგრძნობინოთ დაინტერესებულ მხარეებს, რომ თანაბარ პირობებში ამერიკა მათ ეკონომიკურად დაეხმარება უპირველესად ამგვარი ერთაშორისი პროექტებისათვის. აშშ ხელს არ გაუწვდის მას, ვინც თავის რესპუბლიკაში არ დაიცავს მოქალაქეებისა თუ საზოგადოების თავისუფლებას, აგრეთვე, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.

ბუნებრივია, არ არსებობს აბსოლუტური გარანტია იმისა, რომ ამ გზით მიზანს მივაღწევთ. მაგრამ არც უარეს ვარიანტს უნდა ველოდოთ უცილობლად. საბედნიეროდ, მერფის კანონი არ წარმოადგენს სავალდებულო ისტორიულ იმპერატივს. მაგრამ, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მოსალოდნელია პროცესი მაინც უარყოფითად განვითარდეს, მით უფრო, რომ ჩვენს ძალისხმევას დრო სჭირდება, მოვლენები კი სწრაფად იცვლებიან. იქნებ შემდგომში უფრო მკვეთრი ნაბიჯის გადადგმაც დაგვჭირდეს.

ასეთი უიმედო პერსპექტივის შემდეგ არაა გასაკვირი, რომ ზოგიერთი მიმომხილველი მისტირის იმ დროს, რომელიც გორბაჩოვის მოსვლისას და უფრო ადრეც სუფევდა. ხანდახან ძველი დროის ეს მონატრება ჰიპერბოლურ სახეს ღებულობს, მაგალითად, ინგლისელი ისტორიკოსი ე. ჯ. ხობზბაუმი სინანულით იხსენებს წარსულს და წერს, ბრეჟნევს და მის წინამორბედებს საკადრისი უნდა მივაგოთ იმ „უდიდესი დამსახურებისათვის“, რომ მათ გადაარჩინეს მრავალეროვანი იმპერიის მოსახლეობა „ნაციონალიზმის დამღუპველი შედეგებისაგან“-ო. თუმცა ეს თვალსაზრისი განადიდებს მათ, ვინც ამ საშიშროების შექმნით ყველაზე დიდი დანაშაული ჩაიდინეს.

შეუძლებელია ხანგრძლივი დამორჩილების შედეგები მოკლე დროში აღმოვფხვრად. ამ შედეგების გადალახვაა სწორედ ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც ამერიკელმა პოლიტიკოსებმა უნდა გადაჭრან.

# ქარავანი მიდის

## მაკა ბოცვაძე

ბევრი საკითხისაგან განსხვავებით, დღეს სრული ერთსულოვნებაა იმის შესახებ, რომ ჩვენი განათლების სისტემა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. ბუნებრივია, ეს ეხება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებსაც, განსაკუთრებით მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. მაგრამ გასაკვირი არაა, თუ ამ პრობლემის ირგვლივ სერიოზული კამათი და აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა, მიუხედავად დროის სიმცირისა (მისაღებ გამოცდებამდე ხომ სულ ცოტა დრო რჩება). ხოლო საქმეში ჩაუხედავი დილეტანტი ერთეულების მიერ ხელის ერთი დაკვრით მიღებულმა მაამებლურმა გადაწყვეტილებებმა რა სავალალო შედეგებამდეც მიგვიყვანა, ყველანი კარგად ვხედავთ.

პირადად ჩემთვის, როგორც ფილოლოგის, ლიტერატორისათვის, ეს საკითხი მეტად მტკივნეულია. გუშინდელ დღესავით მახსოვს (თუმცა მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა), მისაღებ გამოცდაზე, თემების არც თუ ფართო არჩევანის გამო, „ახალი ადამიანის ფორმირება — ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ მიხედვით“ — დავწერე. ზეპირ გამოცდამდე „პირველი ხუთიანის მფლობელ აბიტურიენტებს“ უნივერსიტეტის მაშინდელმა პრორექტორმა, ბატონმა გურამ ჰილაშვილმა შეხვედრა მოგვიწყო, მოგვილოცა და ყველას სათითაოდ გაგვესაუბრა. ჩემი ჯერი რომ დადგა, მკითხა, გიყვარს „გვადი ბიგვაო?“ სულაც არ მიყვარსმეთქი, მივუგე. მახსოვს, ნათელი დაადგა მის სახეს, როგორ აუციმციმდა თვალები და — აბა რატომ დაწერეო? — შემეკითხა. მე მაშინ მხოლოდ 16 წელი მისრულდებოდა და ამიტომ, გულუბრყვილოდ, საოცრად სერიოზულად ვუპასუხე, რომ ეგ. ნინოშვილი უფრო არ მიყვარდა, თავისუფალ თემაში კი მაღალ ნიშანს არ წერდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ აბიტურიენტმა საპროგრამო მასალა არ იცოდა. აქ კი ბატონმა გურამმა თავი ველარ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა. იმ წელს სტუდენტი გავხდი და როცა იგი სადმე თვალს მომკრავდა, აუცილებლად მომაძახებდა, — რაო, ისევ არ სწყალობ საწყალ გვადის? მოგვიანებითაც, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ბევრი კურიოზის მომსწრე ვყოფილვარ.

ალბათ ყოველივე ამისა და სხვა ბევრი მოსაზრების გამოც, როდესაც ბატონ კორნელი დანელიას მიერ შემოთავაზებულ უმაღლესში მისაღები წერითი გამოცდის ახლებურ ვარიანტს გავეცანი, კმაყოფილი დავრჩი, რომ ყინული გალღვა და საქმე დაიძრა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პედაგოგების, თინათინ ფანცულაიასა და თამარ ბურჯანაძის მოსაზრებებიც ამ საკითხის ირგვლივ, ძალზე ანგარიშგასაწევი მეჩვენა.

გაზეთ „თბილისის“ 5 მარტის ნომერში დაიბეჭდა გიგი ხორნაულისა და ნათელა ხოშტარიას წერილები: „კამათი კი არა, ხელშეწყობაა საჭირო“ და „რას ფიქრობთ, მასწავლებლებო!“

საქმე ისაა, რომ გიგი ხორნაულის და ნათელა ხოშტარიას წერილები დაიბეჭდა თბილისის 58-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, თინა ფანცულაიასა და თამარ ბურჯანაძის სტატიების საპასუხოდ, სადაც პედაგოგები მისაღები გამოცდების შესახებ თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ მათი ოპონენტებიც, გ. ხორნაული და ნათელა ხოშტარია, მათ მსგავსად, კონკრეტულად საქმეზე ისაუბრებდნენ, წამოაყენებდნენ საპირისპირო სერიოზულ, არგუმენტირებულ წინადადებებს მისაღები გამოცდების ჩატარების შესახებ, იმსჯელებდნენ, ობიექტურად გააანალიზებდნენ სხვათა მოსაზრებებს. ამის ნაცვლად, მათ საქმეს გვერდი აუარეს და რატომღაც, ანბანური ჭეშმარიტების მტკიცებას მოჰყვნენ.

გიგი ხორნაული თავის სტატიას ადრესატებისადმი ასე იწყებს: „დღემდე არსებული საბჭოური განათლების სისტემა რომ სიმახინჯეა და აუცილებლად არის შესაცვლელი, ამაზე არავინ დავობს. მაგრამ, როგორც კი ვინმე რაიმე სიახლეს წამოაყენებს, ვარგა თუ არ ვარგა, უსათუოდ სადავო ხდება. დავას კი ხშირად ისინი უფრო იწყებენ, ვისაც საპირისპირო რაიმე სიახლის შემოთავაზება არ შეუძლია“, „პარტიის ერთგულთა მიერ შექმნილი ე. წ. „გარჩევის“ წიგნები, განაგრძობს შემდეგ ავტორი, იყო და არის ის ძირითადი სახელმძღვანელოები, რომლებითაც მოსწავლე ახალგაზრდობა ქართულ ლიტერატურას „სწავლობს“. მათს ცოდნას სკოლაშიცა და უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზეც ამოწმებენ ამ ორმოცი წლის წინათ შექმნილი სახელმძღვანელოების მიხედვით დაწერილი და მთელ საქართველოს მოდებული „თემებით“, რომლებსაც „წითელ ზოლად გასდევს“ „კურიოზული უვიცობა და პროვინციალიზმი“. დიახ, ამაში ბატონი გიგი, სამწუხაროდ, ცამდე მართალი ბრძანდება. „ე. წ. გარჩევის“ სახელმძღვანელოების კვალი არა მარტო სასკოლო თემებს „გასდევს წითელ ზოლად“, არამედ ზოგჯერ უფრო მოწიფული ადამიანების ნაწერებსაც.

ცოტა უფრო ქვემოთ გ. ხორნაული „ამათრახებს“ იმ „მაუზერიან-რევოლუციონერ ყაჩაღებს“, რომელთაც „მუქთახორებად მონათლეს ჩვენი თავადები, ერის რჩეული ჯიში, ჩვენი კულტურის წამყვანნი“. მერე კი აცხადებს: „აღმაშფოთებელი დემაგოგიაა ისიც, რომ ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი გარჩევის წიგნებით გამოყვანილნი არიან რევოლუციისა და ახალი ცხოვრების მეხოტბეებად“ და რომ სინამდვილეში „ისინი და მათთან ერთად ჩვენი ერის სხვა დიდი შვილები, მოწინააღმდეგენი იყვნენ იმ ანტიეროვნული, კაცთმოძულე იდეოლოგიისა და წყობილებისა, რომელსაც მარქსისტული და სოციალისტური ჰქვია“. მართალი ბრძანდებით, ბატონო გიგი, მაგრამ ვინ გედავებათ, არ მესმის. ნუთუ ფიქრობთ, რომ პირველად თქვენ ამბობთ ამას? ბოლო დროს ხომ ამის შესახებ არა ერთხელ თქმულა, დაწერილა და მგონი თვით ძველი პარტიული ფუნქციონერებიც აღარ უარყოფენ ამ ყოველივეს. ჰო, ასე იყო, წლების მანძილზე ხდებოდა ადამიანების სულის დამახინჯება, მოყოლებული საბავშვო ბაღიდან, გვიან გაფერადებული წითელი ალმებით, დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლით, სადაც სკკპ ისტორიის, ისტორიული მატერიალიზმის, მეცნიერული კომუნიზმის, საბჭოთა კავშირის სამართლისა (თუმცა ბევრი მაშინაც გაკვირვებით, ჩუმად კითხულობდა სადა აქვს საბჭოთა კავშირს სამართალიო?) და სხვა უფერულ, რუხ ლაქებს შორის, აქა-იქ თუ ბასხასებდა იოანე ზოსიმეს ჰიმნები, რუსთველის, გურამიშვილის, ვაჟას პოეზია... ასე იყო და ამაზე ლაპარაკი ახლა უხერხულიც კია, რადგან ეს ყოველივე დღეს ყველამ კარგად იცის. ამიტომ არ ღირს ამაზე წერა, აღარც ვაჟკაცობაში ჩაგვეთვლება, ღიმილს კი ბევრს მოჰგვრის. ან იქნებ თინა ფანცულაიას სჭირდება ამის შეხსენება? ღმერთმა დაიფაროს ისიცა და თამარ ბურჯანაძეც, ოდესმე ჩემი დაცვა დასჭირდეთ, მაგრამ ჩემთვის (და დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ ჩემთვის) იმდენად მოულოდნელი იყო თქვენი სიტყვები, თანაც ისე მოხშირდა პრესის საშუალებით ხმამაღალი, უპასუხისმგებლო განცხადებები, რომ გადავწყვიტე ორიოდე სიტყვა მეთქვა.

მიუხედავად იმისა, ბატონო გიგი, რაც ჩვენს განათლების სისტემაში ხდებოდა წლების მანძილზე, ჩვენდა საბედნიეროდ, მაინც არსებობდნენ სპეტაკი, პროგრესული, ზნეობრივად წმინდა, ინტელექტუალური ძალები, რომელთა მეოხებითაც ბევრი, ძალზე ბევრი სული გადაურჩა დამახინჯებას, ხოლო თავად მათ, მიუხედავად ძნელბედობისა და ათასგვარი „წნეხისა“, ცხოვრებისეული მტვერი არ გაჰკარებიათ. ასეთები ერთეულები არიან და ალბათ მათი წყალობით მოვაღწიეთ დღემდე. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან თ. ფანცულაია და თ. ბურჯანაძე, რომლებიც ამშვენებენ დიდი ტრადიციების მქონე (მარტო ვარო ვარდიაშვილის სახელის ხსენება კმარა ამის დასტურად) თბილისის 58-ე საშუალო სკოლას. თითქმის 50 წელია ისინი პედაგოგები არიან და ჩვენს საზოგადოებას მათი წარდგენა არ სჭირდება. მრავალ თაობას გაუვლია მათ ხელში და ისინი დამეთანხმებიან, რომ თ. ბურჯანაძისა და თ. ფანცულაიას გაკვეთილები არ არის ჩვეულებრივი ქართულის გაკვეთილი. ნურც მაღალფარდოვნებაში ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ ისინი სწორედ ქართული მიწის, ქართული სიტყვის, გენისა და სულის სიყვარულს უნერგავდნენ თითოეულ ჩვენგანს, გვაძლევდნენ პატიოსნების, უკომპრომისობის, ზნეობის, სიკეთის პირად მაგალითს. არ მაგონდება, ოდესმე თქვენგან ნაძალადევი „გარჩევის“ წიგნიდან მოეცეთ დავალება, ის კი კარგად მახსოვს, რამდენჯერ აღუმაღლებიათ ხმა (სწორედ მაშინ, როცა ბევრი ამის გაფიქრებასაც ვერ გაბედავდა) დრომოჭმული სახელმძღვანელოებისა და სხვა ბევრი უსამართლობის წინააღმდეგაც განათლების სამინისტროში. მრავალი ჩვენგანის მომავალი პროფესიის არჩევაშიც სწორედ მათ მიუძღვით წვლილი. და მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მათ შემდეგ, მე და ჩემს თანაკლასელებს, უნივერსიტეტში საშუალება გვქონდა მოგვესმინა ივანე გიგინეიშვილის, ვიოლეტა ცისკარიძის, ნათელა ქუთელიას, კორნელი დანელიას, ელენე ბაბუნაშვილის, რევაზ სირაძის, ალექსანდრე ალექსიძის, თეიმურაზ მაღლაფერიძის ლექცია-სემინარები, რადგან მრავალთა შორის, ისინი ითხოვდნენ არა მოძველებული სახელმძღვანელოების მიხედვით მათი შემდგენლების აზრების გადმოლაგებას, არამედ ანალიტიკურ აზროვნებას და ამა თუ იმ საკითხის ჩვენეულ ინტერპრეტაციას. სწორედ მაშინ მივხვდით უკეთ ჩვენი სკოლის მასწავლებლების ფასს, რომლებიც მიუხედავად მომთხოვნელობისა, საოცრად უფრთხილდებოდნენ მოზარდების სულის სიწმინდესა და ფსიქიკას.

ამდენი იმიტომ ვილაპარაკე და, მგონი, თავიც შეგაწყინეთ, რომ გასაგები გამეხადა თქვენთვის, ბატონო გიგი, თქვენი სიტყვების უმართებულობა: დავას ხშირად ისინი უფრო იწყებენ, ვისაც რაიმე სიახლის შემოთავაზება არ შეუძლიათო. რა დასამალია, ხშირად ბევრ კარგ თაოსნობას ჯერ კიდევ უპირისპირდება სკეპტიკური ცინიზმი. საერთოდ, ხედვას ორი პერსპექტივა აქვს, გააჩნია, რას დაინახავს კაცი, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ეს სიტყვებიც ტყუილ-უბრალოდ, მხოლოდ სილამაზისათვის არ დაუწერია ჩვენს ბრძენ წინაპარს. როგორც ჩანს, მაშინაც იყო ამის საბაბი. ასე რომ, შეიძლება თქვენი ეს თეზა საერთოდ სიმართლესთან ახლოს იყოს, მაგრამ თ. ფანცულაიასთან მიმართებით არამც და არამც არ გამოდგება. დავა არავის დაუწყია, კამათი კი, მით უფრო ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანის მიერ გამოთქმული მოსაზრება (თუნდაც ზოგჯერ ის ერთადერთ ჭეშმარიტებად არ მოგვეჩვენოს) მაინც ანგარიშგასაწევია. სწორედ ასეთ ადამიანებთან კამათში იბადება ჭეშმარიტება, მათზე უკეთ ამ საქმეს ხელს ვერავინ შეუწყობს, მათზე უკეთესი მოკავშირე ძნელი წარმოსადგენია, მით უფრო, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თ. ბურჯანაძე და თ. ფანცულაიაც, პრინციპში იზიარებენ კ. დანელიას ვარიანტს, მხოლოდ ცოტა ნაადრევად მიიჩნევენ მის რეალიზაციას, ისევ და ისევ ჩვენი სკოლის სავალალო მდგომარეობის გამო.

ახლა ნათელა ხოშტარიას წერილის შესახებ. მას თამარ ბურჯანაძის პუბლიკაცია წინააღმდეგობრივად მოსჩვენებია, რაც გაკვირვებას იწვევს. მე კი ვფიქრობ, თავად ნ. ხოშტარიას წერილია წინააღმდეგობებით სავსე. თავად განსაჯეთ, დასაწყისში იგი წერს: „ვინ უარყოფს, რომ თხზულება არის სწავლების მაღალი ფორმა, რომელიც ავლენს, უფრო სწორად, უნდა გამოავლინოს ახალგაზრდის ცოდნა კონკრეტულ საკითხში, ზოგადი განათლება, აზროვნების უნარი და წერის კულტურა. მაგრამ არის ჩვენს სკოლაში თხზულება ყოველივე ამის გამოვლენა?“ შემდეგ იგი აგრძელებს: „ახლა ასეც დავსვათ კითხვა: საჭიროა კი, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს თხზულების წერა?“ თუ ნებას დამრთავთ, ქალბატონო ნათელა, გიპასუხებთ: ძალზე სასურველი მაინც არის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ როგორმე ამას მივაღწიოთ. თ. ბურჯანაძემ კი სწორედ იმიტომ გამოთქვა ეჭვი ამ ეტაპზე გამოცდების ახლებურად ჩატარებაზე, რომ თქვენივე სიტყვებით თუ ვიტყვით, „დღემდე არსებული განათლების სისტემა ვერ ქმნიდა პირობებს საფუძვლიანი ცოდნის მისაღებად“, რომ სკოლას არ მიუცია მოსწავლისათვის ის ცოდნა, რასაც მას გამოცდაზე მოსთხოვენ, ამიტომ ჯერ სწავლების ფორმა უნდა შეიცვალოს. დღესდღეობით კი უმეტესობა აბიტურიენტებისა მიჩვეულია გამოცდის „ძველებურ“ ფორმას და შეიძლება ამან გარკვეული სირთულე გამოიწვიოს. ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, როცა თავის მოსაზრებას გვიზიარებს გამოცდილი პედაგოგი, რომელსაც ამ საქმეზე ფიქრში უთენ-ულამებია, ვფიქრობ, ასეთი გააფთრება უადგილოა.

ნ. ხოშტარიას უკვირს, რატომ ვერ დასძლევენ აბიტურიენტები ოთხ საათში რამდენიმე საკითხს, როცა მე-10 კლასის მოსწავლემ 90 წუთში (ორ გაკვეთილში) უნდა დაწეროს საკონტროლო წერა, როგორც ის ამბობს, „პირდაპირ თეთრად, ძალზე ლამაზად, გადახაზვა-შესწორების გარეშე“. ეს შედარება არ გამოგვადგება, რადგან, როგორც კარგად მოგეხსენებათ, საკონტროლო წერისათვის სავარაუდო თემატიკა მასწავლებლის მიერ წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეს საშუალება აქვს შინ მშვიდად, აუღელვებლად გაიაზროს იგი, სურვილის შემთხვევაში, შავად დაწეროს კიდეც და შემდეგ, სკოლაში მისი შესრულება სირთულეს აღარ წარმოადგენს. ამას გარდა, გაკვეთილზე შავად წერას ხომ სწორედ იმიტომ გაურბიან, რომ მოსწავლეებს დრო არ ჰყოფნით. მე პირადად , პირველად მესმის, რომ მასწავლებელი მოსწავლეს გადახაზვა-შესწორებას უკრძალავდეს. ასეთ შემთხვევაში წერა მართლაც არ შეიძლება იყოს აზროვნების პროცესი. ესეც არ იყოს, ყველასათვის ცნობილია, რომ „გადახაზვა-შესწორება“ კი არა, ზოგიერთი მასწავლებელი, სულო ცოდვილო, ოღონდ მოწაფემ დაწეროს და, „შპარგალკებზეც“ შეგნებულად ხუჭავს თვალს.

საერთოდ, ნ. ხოშტარიას მსჯელობა ღია კარის მტვრევას ჰგავს. იგი წერს: „სადავო გახდა ახალ მოდელში წარმოდგენილი მესამე საკითხიც, რომელმაც უნდა გამოავლინოს აბიტურიენტის მსოფლმხედველობა, მისი ზოგადი ცოდნა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული კულტურული, კერძოდ, ლიტერატურული მოვლენებისა. განა ამდაგვარ ცოდნაზე მხოლოდ იმიტომ უნდა ავიღოთ ხელი, რომ ეს საკითხი სახელმძღვანელოშია მოცემული და სახელმძღვანელო კი მოძველებულია? მერე ვინ გვითხრა, რომ მხოლოდ ასეთი სახელმძღვანელო გამოვიყენოთ? განა ამ მიზეზით შეიძლება მოსწავლეს არ ჰქონდეს წარმოდგენა არც ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდებზე, არც რომანტიზმზე (მაშინ როგორ უნდა ვასწავლოთ ბარათაშვილი), არც თაობათა შორის ბრძოლაზე და უამრავ სხვა ასეთივე მნიშვნელოვან საკითხზე?“ მერედა, ვინ მოგახსენათ ქ-ნო ნათელა, რომ „ამდაგვარ ცოდნაზე“ ხელი უნდა ავიღოთ?.. მე არ მინდა ოდნავი ჩრდილი მივაყენო შესანიშნავ მასწავლებლებს, რომლებიც ჩვენი და ჩვენი შვილების საბედნიეროდ, არც თუ ცოტანი არიან, მაგრამ ისიც ხომ დასამალი არაა, და თქვენ ეს კარგად უნდა იცოდეთ, რომ ბევრი პედაგოგი, თავისი ცოდნის დონით ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ ელემენტარულ მოთხოვნებს, ამიტომ ხშირად მართლაც არ იცის, რა წყარო მიუთითოს მოსწავლეს (ეს რომ იცოდეს, თავადაც ჩაიხედავდა შიგ). რა ქნას ასეთი მასწავლებლის მოწაფემ, თუნდაც მთელი წელი „რეპეტიტორთან“ ემზადებოდეს, ნუთუ ერთი წელი შეუვსებს თერთმეტი წლის დანაკლისს? სხვა მოსაზრებებთან ერთად, ალბათ ამასაც გულისხმობდა თ. ბურჯანაძე, როცა ფიქრობდა, რომ გამოცდის „ახლებურად“ ჩატარების შემთხვევაში, თანამედროვე სკოლის ბევრმა კურსდამთავრებულმა იქნებ მართლაც ვერ დაძლიოს იგი. თორემ თავად მას არ სჭირდება იმის მითითება, რომელი სახელმძღვანელოთი რა ასწავლოს ბავშვს. იქნებ თქვენთვის ძნელი დასაჯერებელიც კი იყოს ქ-ნო ნათელა, მაგრამ იცით, ვის მოსწავლეებს არ შეიძლება „წარმოდგენა არ ჰქონდეთ“ რომანტიზმზე, ან თაობათა შორის ბრძოლაზე და, მეტსაც გეტყვით, მათ შეიძლება ბევრი იმისთანა რამ იცოდნენ, რაც ზოგ მეთოდისტს არც კი სმენია. ყოველივე ამის გამო, უხერხულად მიმაჩნია თქვენი განცხადება: „აქ უარყოფის (ლაპარაკია გამოცდის ახლებურად ჩატარებაზე. — მ. ბ.) სხვა მიზეზი შეიძლება დავინახოთ, ეს არის მოსწავლეთა უცოდინარობა, მათი მოუმზადებლობა, აზრის გამოთქმის დაბალი კულტურა. თქვენი 30 მოსწავლიდან რამდენს შეუძლია ახალი მოთხოვნით გამოცდის ჩაბარება, პატივცემულო კოლეგებო? ათს? ხუთს? თუ მხოლოდ ერთს?...“ სრული პასუხისმგებლობით გიპასუხებთ, ქალბატონო ნათელა, — ოცდაათივეს! დიახ, დიახ, ოცდაათივეს! თუ კი ყველა მოინდომებს უმაღლესში ჩაბარებას. (თუ მე არ მენდობით, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, შეგიძლიათ ჰკითხოთ მათ, ვინც ჩემსავით მსხდარან თ. ბურჯანაძისა და თ. ფანცულაიას გაკვეთილებზე, აგრეთვე, ჩემს კოლეგებს, ფილოლოგებს, ვისაც პედაგოგიური პრაქტიკა გაუვლიათ მათთან. და საერთოდ, გთხოვთ, ქალბატონო ნათელა, ბატონო გიგი, ერთხელ მაინც მიბრძანდით მათ გაკვეთილზე, ნუ მოიკლებთ ამ სიამოვნებას...). ხოლო როცა წერთ, რომ ფიზიკაში, ბიოლოგიასა და სხვა დისციპლინებში მსგავსი გამოცდების დროს აბიტურიენტებს არ უჭირთ პასუხის გაცემა, არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ ასეთი გამოცდები ამ საგნებში უკვე წლების მანძილზე ტარდება და მათი სპეციფიკა რადიკალურად განსხვავებულია ქართულისაგან.

მე მჯერა, რომ არც გ. ხორნაულსა და არც ნ. ხოშტარიას არ სურდათ ამ ყველასაგან საპატივცემულო მანდილოსნების გულის ტკენა, მით უფრო არ სურდათ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ, იქნებ ღირდეს, წინასწარ ცოტა მეტად დავფიქრდეთ და მოვზომოთ სათქმელი.

(დასასრული)

**„რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, უველა ხევსური, ვიცი, დანტეა“.**

მართლაც, რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, მაგრამ ლექსისთვის ტალახის სროლაც არაა საჭირო...

თქვენ როცა ლექსებს განიხილავთ, ტიციან ტაბიძის „ოქროყანა“ მახსენდება:

**„მაშ შევადედოთ ლექსის**
**მაწონი,**
**ოქროყანიდან ჩამოვყვეთ**
**ვირებს,**
**იქნებ არ იყოს ეს მოსაწონი,**
**მაგრამ არავინ არც**
**გაიკვირვებს“.**

თქვენ როცა ლექსებს განიხილავთ, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი მინდა შევუდარო ტიციან ტაბიძისას —

**„ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,**
**ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი“**
**(გალაკტიონი)**

**„დამადეთ გულზე ტყვია**
**ცამეტი,**
**მაგ თქვენი მამის სულის**
**ცხონებას“. (ტიციანი)**

კიდევ კარგი, რომ მარტო თქვენ არა ხართ, თორემ მართლა მოიკლავდა კაცი თავს. კაცმა რომ თქვას, არცაა საჭირო ტყვია, პოეტის დაჭრა ისედაც შეიძლება „უიარაღოდ“, „ათას სურვილით.“

**„მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ“**
**(ლ. ასათიანი);**
**მე დაჭრილი ვარ ათას**
**სურვილით“ (გ. ლეონიძე);**
**„მე დაჭრილი ვარ, როგორც**
**ხოხობი“ (გრ. აბაშიძე).**

აბა, ჩვენო ძვირფასო ლიტერატურათმცოდნევ, ასეა ეს!

ახლა კვლავ გეკითხებით, ლიტერატურული რემინისცენციები გაგიგონიათ? არა? მაშინ კვლავ გადაშალეთ უცხო სიტყვათა ლექსიკონი: **„რემინისცენცია“** „ვისიმე შემოქმედების გავლენის ასახვა ლიტერატურულ, მუსიკალურ და სხვა ნაწარმოებში“. მაგრამ ხშირად კაცის ცხოვრებაში ხდება მეხსიერების **რემისია, შესუსტება**, როცა გავიწყდება ის, რისი გახსენებაც აუცილებელია.

შოთა ნიშნიანიძის ერთ მშვენიერ ლექსს გაგახსენებთ: „ფუტკარი.“

**„თუ ჩემი ხიტუვა შენს ხვედრს გაიყოფს, მართლაც მქონია ქვეყნად ხათქმელი, იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი სანთელი“.**

ახლა ყური დავუგდოთ აკაკი წერეთელს —

**„მაინც დაბზუი, დაფრინავ,**
**არ იშლი დროზე კბენასა,**
**ქვეყანას თაფლუჯს უმზადებ**
**და სანთელს უნთებ ზენასა“.**

თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ ვლადისლავ ხოდასევიჩის ლექსების წიგნი, გამოცემული 1989 წ. გვ. 247. ლექსი დათარიღებულია 1923 წლის 5 თებერვლით.

მოვიყვან ლექსის ბოლო ტაეპს:

**«И в свой причудливый**
**киоск**
**Летишь назад,**
**полухмельная,**
**Отягощаясь, накопляя**
**И людям — мед, и**
**Богу — воск».**

ლექსი ეძღვნება პოეტურ აზრს, რომელიც ფუტკარსაა შედარებული.

აი, დიდო ქართველო, გვარად დოიაშვილო, ამას ჰქვია ლიტერატურული რემინისცენცია. მე რა, თქვენი ლექტორი ვარ თუ ვალდებული ვარ ელემენტარული რამ გასწავლოთ?

ბევრი რამ რომ არც გესწავლებათ?!

ქართული პოეზიის თხუთმეტტომეულის („ნაკადულის“ გამოცემა) მეთორმეტე ტომის წინასიტყვაობაში თქვენ წერთ:

„პ. იაშვილი გასაბჭოების პირველსავე დღეებში სიხარულით მიესალმა ახალ საქართველოს, თანამემამულეებს „აცრემლებული ლექსების“ უარყოფისა და „ძველი ფესვების“ ჩამოცილებისაკენ მოუწოდა“.

იქვე, ოცდამეოთხე გვერდზე, ტიციან ტაბიძეზე ამას ამბობთ:

„ოცნებისეული „ქალდეას ქალაქის“ მომღერალი შეუპოვრად მიიკვლევდა გზას რეალური სამშობლოს დღევანდელობისაკენ, გარდაქმნის გზა მტკივნეული იყო, მაგრამ დიდი იყო მშობლიურ მიწასთან ზიარების, ახალი შთაგონების აღმოჩენის სიხარულიც:“

**„დაფასთან ვდგავარ და ვშლი**
**ძველ ლექსებს,**
**ცარცით კი არა, სისხლით რომ**
**ვწერდი,**
**საბჭოთა მიწავ, გიკოცნი**
**ფესვებს,**
**ახალ ცხოვრების ვარ**
**ალავერდი“...**

აქაც ცინიზმი? აქაც დაუნდობლობა? მაშ პაოლო იაშვილი „სიამოვნებით მიესალმა ახალ საქართველოს“, ხოლო ტიციან ტაბიძე საბჭოთა მიწას კოცნიდა?

ფესვებს უკოცნიდა?

რისთვის, რისთვის დაიხარჯეთ ასე ულმობლად? იმისთვის, რომ თავი მოგეწონებინათ **„საბჭოთა მიწის“ მესვეურთათვის**, თუ მართლა გგონიათ, რომ ტიცან ტაბიძე საბჭოთა მიწას ფესვებს უკოცნიდა? (მაშინ ასე იყო საჭირო არა?)

განა შეიძლება კაცის ნაწერს არც ერთი მხრიდან გამართლება არა ჰქონდეს? რას გვერჩით? იქნებ ჩემი თაობაც, შეძრწუნებული თაობაც, ათასში ერთხელ ხარკს უხდიდა შავბნელ დროს, რათა გადაერჩინა ნამდვილი შემოქმედება? რომ არაა ამის ღირსი ჩვენი თაობის მიერ შექმნილი და გვირგვინდადგმული „ცისკარი“? რომ არ არიან „ცისკრელები“ ამის ღირსი? ის არ გიკვირთ, რასაც „ცისკარი“ ჩემი რედაქტორობის დროს ბეჭდავდა (მომიტევოს საქმეში ჩახედულმა კაცმა ასეთი კადნიერება, მაგრამ ამჟამად მე ჩემს თავზე ვაგებ პასუხს) და ლექსში ნახმარმა სიტყვა „კომუნისტმა“ გაგაკვირვათ? ზემოთ თქმულის ავტორს (თქვენს წინასიტყვაობას ვგულისხმობთ), ჩემის აზრით, არ უნდა გაუკვირდეს სისხლით ნაწერ ლექსების ფონზე „ახალი ცხოვრების“ მიერ მკაცრად ნაკარნახევი სტრიქონი თუ სიტყვა, თუნდაც დღეისთავის საჩოთირო... რა, გალაკტიონი დიდი ლენინელი იყო, მთელს საბჭოთა კავშირში ერთმა პირველთაგანმა რომ მიუძღვნა ლექსი ლენინს? აი, სადამდე შეუძლია კაცი მიიყვანოს წინდაუხედაობამ და სიძულვილმა, კაცის სიძულვილმა, ლექსის სიძულვილმა.

გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონით მინდოდა დამესრულებინა ეს ჩემი პასუხი:

**„ოცნებაო ჩემო ძველო,**
**ვართ ღამეთა მთეველი“,**

მაგრამ, რად გინდა, იქვე აღიმართა აკაკი, დიდი აკაკი და თქვა: **„სამეფოო ძველთა ძველო“.**

ტერენტი გრანელიც უნდა გავიხსენოთ, დიდებული და უიღბლო პოეტი.

**„დადგა სეზონი უვავილის**
**და უფრო სევდა გამეფდა“.**

თქვენ, უცხო სიტყვებთან მეომარს, სიტყვა „სეზონი“ არ მოგეწონებათ, რადგანაც „რონოდას“ ამჯობინებთ „ვაგონს“ და „სატუცაჟს“ — „კალოშებს“, მაგრამ, ეტყობა, ტერენტი გრანელმა „დროც“ იცოდა და „სეზონიც“... „სეზონის გიჟიც“ და „დროის კაციც“... ჰო, მართლა, დროსთან დაკავშირებით.

როგორ უნდა მოენუსხათ კაცი და ისიც ტერენტი გრანელი, რომ „სულის ცეცხლი“ დაეწერა და ეთქვა:

**„შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაიხრული დროშა წითელი, ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი“.**

ვითომ ასე მიმზიდველი იყო „წითელი საუკუნე“ ტერენტი გრანელისათვის? არა, ბატონო, ძალა ამართსა ხნავდა მაშინაც და ძალა ამართს ხნავს ახლაც, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ლიტერატურათმცოდნეებმა ასეთი იძულებითი სტრიქონები გამოუტანონ პოეტს და ქვეყანას ამცნონ, აი, რას ემსახურებოდნენ მაშინდელი პოეტებიო.

1924 წელს პაოლო იაშვილმა ლენინს ლექსი უძღვნა:

**„ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების“. „როცა ლენინი დახტიროდა დამშეულ ბავშვებს და თავს უერიდა, როგორც გამხდარ ყვითელ [?]იწილებს!“**

საშინელებაა არა? ახლა რა ვქნა, გავაგრძელო სია და ჩემს თაობამდე ჩამოვიდე? თქვენც ხომ ეს გინდათ? მაშინ რა გამოვიდა, მეც ხომ თქვენსავით დამბეზღებელი ვიქნები?

სად გინახავთ უხარკო შემოქმედი?

გულზე ხელი დაიდეთ, თქვენც ხომ ხარკს უხდით ვილაცას? უფრო სწორად, თქვენ მოსყიდული ხართ, ჩვენ კი, ჩვენი დაწყევლილი თაობა, ბრძოლებგამოვლილია...

და მიუხედავად ამ ბრძოლებისა, როგორც თქვენ ბრძანეთ: (თურმე ჩვენი თაობის პოეტები) „საკუთარი ინდივიდუალური ხელწერით ამრავალფეროვნებდნენ ქართული პოეზიის სტილურ პალიტრას“. და თუ ასე იყო, დღეს რა ჯანდაბა დამემართა? როგორ გარდავიქმენი 60 წლის ვაცი პლაგიატად? (თუ, ვინმეს სურვილი იყო, ამ წერილით მოელოცათ ჩემთვის ეს მრგვალი თარიღი?) ან მაშინ იყავით ყალბი, ან მაშინ დაგაძალათ ვინმემ, ან ახლა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მაშინ უფრო მართალი ბრძანდებოდით, ახალგაზრდა იყავით და იმიტომ. ახლა ეტყობა, ცხოვრებას ‹იმო გაუგეთ!

თქვენ „დიდი“ მომავალი გაქვთ. მე პირადად, თქვენგან უარესს ველოდები.

რაც თქვენ ვერ გაგიგიათ, გგონიათ, რომ სხვებისთვისაც გაუგებარია; საიდან დაგუფლებიათ განსაკუთრებული მკითხველის სიამაყე და ამბიციურობა? ქართული ენის ანა-ბანა არ იცით და „შედარებას“ რაღას ეპოტინებით?

**„მზე ბრუნავს ტვინში,**
**როგორც მიწა მზის ირგვლივ**
**ბრუნავს“.**

ჰოი, საოცრებავ, დედამიწის მზის ირგვლივ ბრუნვასა და მზის ტვინში ბრუნვას შორის კონტაქტს ეძებთ და დასძენთ: „სრულიად განსხვავებული ყაიდის ბრუნვებიაო“. იქნებ ბედის ბორბალიც სხვანაირად ბრუნავს? იქნებ წისქვილის ბორბლის ბრუნვაც განსხვავდება ურმის ბორბლის ბრუნვისაგან?

შედარებათა ამ გზით გამგებ კაცს, რა თქმა უნდა, ხურმასავით მოგეჩვენებოდათ ჩემი — „მარწყვებით ვკვებავ პატარა ლოდინს,“ ან კიდევ — „ამიმხედრე ყანა წაქცეული!“

**„კუბო მიჰქონდათ, არვინ არ**
**ხჩანდა**
**და არ ტიროდა არცერთი ქალი“**

გალაკტიონ ტაბიძის ეს სტრიქონები რომ ჩემი იყოს, ხომ იტყოდით, რომ კუბო ნუთუ თავისით მიდიოდა ქუჩაში და ამწევი კაცი არა ჰყავდაო? მაშ, „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს?“ ეს სტრიქონიც ნათელია, ვისიც არის, მაგრამ საკითხავია, რა ამოძრავებს დოიაშვილის ტანს, „ჩუმი შრიალი საიდან არი?“

ყველაფერი კარგად ვიცი, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ:

**„როგორც ჩინარი — ისე პოეტი,**
**მისთვის სიმაღლე არის წამება,**
**არა ღიმილით და ალოეთი**
**დაფარავს მტერთა ცილისწამება“.**

ამ ლექსს კი ნამდვილად არ გეტყვით, ვისია, ეჭვი არ მეპარება, რომ მკითხველი თავად მიხვდება...

**„ის მაღალია, დიდია მაინც!**
**მისთვის მოისმის ზარების ზარი:**
**ქარი არა ხჩანს, ქარი არა ხჩანს,**
**მაინც მწვერვალებს ედება ქარი“.**

სანამ „ზარების ზარს“ გალანძღავდე, შესდექ, ეს ლექსი გალაკტიონ ტაბიძისაა.

„შენი წვიმებით მინდა დათრობა და შენი მკერდისფერი ჰიქებით“... ვერ გაგირკვევიათ საქმის ვითარება; კაი, ბატონო, დავუშვათ, ქალის მკერდი არ გინახავთ, არც მკერდისფერი გაგიგიათ, ალბათ, არც ბროლისფერი, მაგრამ „იისფერი თოვლი“ თუ გინახავთ, ბატონო ან „ზღვა ფეხშიშველი? თუ — ცდება გალაკტიონი? კიდევ კარგი, რომ გიორგი ლეონიძის „ძუძუები ოქროს კალმახებია“ არ წაგიკითხავთ, თორემ, ხომ სულ მთლად დაირეხვებოდით? (ამ სიტყვაზე „დაირეხვებოდით“ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სიტყვა „შეიშლებოდით“... მგონი, რომელიღაც პოეტს უკვე ნახმარი აქვს თავის ერთ ლექსში).

„ელდანაცემი“ ხანჯალი თუ გინახავთ, ან „ცბიერი პერანგი“? ზემოთ იყო და „მკერდისფერი ჰიქები“ არ მოგეწონათ, როგორ წარმოგიდგენიათ გალაკტიონის მშვიდი დღეების თეთრი ბროლება?“ ეჰ, მეც გელაპარაკებით რა!

„ველად ყრია ლურჯი კომში და ცისფერი ატამი“. თქვენ რომელს აირჩევთ? ლურჯ კომშს თუ ცისფერ ატამს? ისე, ორივე გალაკტიონს ეკუთვნის.

**„ანანურო, ანანურო,**
**აწყურო და ნიკორწმინდავ,**
**ვაი, მაგ მკერდს ხამამულოს,**
**ვინ ოხერი გიკოცნიდა?“**

რას ჰგავს თქვენი კომენტარი? „ნუთუ მტერი ჩვენი ციხე-ტაძრების საკოცნელად მოდიოდა და არა მათ დასალეწად?“

სრულიად ჩაუხედავი რომ არ ბრძანდებოდეთ მწერლობაში, განა მე ამ ლექსში არშიყზე და ალერსზე მაქვს საუბარი? არა, სწორედ რომ ლეწვასა და შეურაცხყოფაზეა საუბარი; ოხერი და მუდრეგი საალერსოდ არ მოდის, დამპყრობელი იპყრობს ქვეყანას და ყოველმხრივ ბილწავს მას — კაცს უკლავს, ქალს გასტაცებს.. ამაზეა ლაპარაკი აქ და არა სხვა გაუგებრობებზე.

დიახ, საუკუნეების მანძილზე დაილალა საქართველო, დაილალა —

**„— მუხლზე მიზის საქართველო,**
**საქართველო დაღლილი“.**

საკუთარი შვილი მაინც არ დაგისვამთ მუხლზე? „პერანგგახდილი ლედი მაკბეტი“ რამ გაგახსენათ? თქვენი ფიქრი პათოლოგიური კაცის ფიქრია. ღმერთი აღარაა? ნუთუ პოეტის სიძულვილმა საქართველო უნდა გაგამეტებინოთ? მართლა ჩალითაა ქვეყანა დახურული და განუკითხაობაა, თორემ ამნაირი აზროვნებისათვის პასუხი კი არა, კაი ალიყური გეკუთვნით თქვენივე ოჯახისწევრი ქალბატონებისაგან.

**„დილით კი სარკმელში ოქროს**
**ნაწნავია, —**
**სენაკს მოაშურებს ნაცნობს,**
**გაზაფხული ჩემი წარსულია,**
**ვაიმე, რარიგად წაწლობს“.**

თქვენი აზრით (მხოლოდ თქვენი აზრით), მურმან ლებანიძეს გაზაფხულთან ტყუპი თუ არა, ერთი შვილი მაინც უნდა შესძენოდა. თქვენ ასე გეგონოთ, ღმერთმა ნურც გაგაგებინოთ ლექსის მშვენიერება, მაგრამ მე სხვა რამეს ვჩივი: თქვენნაირ კაცს საქართველოში თუნდაც ხუთმა პროცენტმა რომ დაუგდოს ყური, დავიღუპებით, საშინელება დატრიალდება, არადა, ცოტანი არ არიან თქვენნაირები.

ერთი წუთით დაუფიქრდით, აბა თუ წარმოიდგენთ, რომ გარედან თუთის ხე („რეალობის ენაზე“ ვთარგმნი) სახლში შემოიჭრას და თავზე ხელი გადაგისვას? ან ხემ თვალი ჩაგიკრას და მერე ყურში ჩაგჩურჩულოს? ალბათ, წარმოუდგენელია, არა? დიახ, თუ თქვენებურად „რეალობის ენაზე“ თარგმნით, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია და, თუ ანა კალანდაძის „თუთას“ წაიკითხავთ, დაიჯერებთ, რომ ამგვარი სასწაულებიც ხდება. ის თუ გახსოვთ: „კარში გამო, ჰია-ჰია მარია“? თქვენებურ ენაზე, ესე იგი, „რეალობის ენაზე“, შემცივნებულ ანა კალანდაძეს ჰია-მარია თბილად აცმევს და ბოლოს უცინის კიდევაც:

**„მომახურე, მცივა, ჰია-მარია,**
**გამიცინე, თუ არ მომეფერები“.**

საოცარია, მაგრამ ასეც ხდება ზოგი კაცისაგან განსხვავებით.

როცა გალაკტიონ ტაბიძე ამბობს:

**„სიკვდილის გზა არრა არის**
**ვარდისფერ გზის გარდა“-ო**

საინტერესოა, თქვენი გზა რის ფერია? სად იწყება და საითკენ მიდის?

დიახ, „გაუგებრობაზე“ მინდა ავაგო თქვენი პოზიცია, იმ „გაუგებრობაზე“, რომელსაც ნამდვილი პოეზია ჰქვია.

„ელვარე და ლომფერი, იყო ცხრა ოქტომბერი“, ვითომ რაჭვე მიხვდით? მეტი არაა ჩემი მტერი (არა და — [illegible] რატომ თქვენი დამფინანსებლები უფრო ნათლად წერენ?

ისევ გალაკტიონს შეგახსენებთ:

**„ლანდივით მაქვს ნახული**
**ბეჭდის თვალში მოლები.**
**მოტეხილი ზაფხული**
**და ოხვრის პაროლები“.**

დიახ, არც „პაროლია“ ქართული, მაგრამ ის რაღაა („რეალურობის ენაზე“ რომ ვთარგმნოთ): „ბეჭდის თვალში ლანდივით დანახული მოლები?“

**„ჯერ წმინდა ნიჟი დიდი**
**ფანტაზმა**
**შემდეგ — საბირჟო**
**პრეისკურანტი“.**

გალაკტიონის ამ სტრიქონებში თქვენ აქ „წმინდა ნიჟის“ გაუგებრობის გარდა, არც „პრეისკურანტი“ მოგეწონებოდათ. რა ვუყოთ, თქვენი პრეისკურანტული ღირებულება სადღეისოდ არაა გათვალისწინებული.

„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, ესეც გალაკტიონმა ბრძანა; თქვენ ალბათ ღვინო მხოლოდ თეთრი და შავი წარმოგიდგენიათ. არა?

ჰოი, საოცრებავ, თურმე „ცისფერი ღვინოც“ ყოფილა...

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,“ თქვენი? რის ფერია თქვენი ცხოვრება?

მადლობელი ვარ, რომ —

**„მე დაჭრილ არწივს თვალებში**
**ვკოცნი, მერე ფრთებს ვუშლი**
**და მხრებს ვატოლებ“, —**

ჩემად მიიჩნიეთ. თქვენ ისიც თქვით, „ლამაზია“ ეს სტრიქონები და „პოეტურიო“, მაგრამ, როცა კაცი იტყვის, მოდი ეს სტრიქონები ვთარგმნოთ „რეალობის ენაზეო“, იმ კაცთან ლაპარაკი ძალიან ძნელია. რომელ „რეალობ[ის ენაზ]ეა“ ლაპარაკი? ლექსის თარგმნა გამიგია სხვა რომელიმე ენაზე (იქაც კი არაფერი გამოდის), მაგრამ წარმოუდგენელია, მკითხველი ჯერ ლექსს კითხულობდეს (ვისიც არ უნდა იყოს) და შემდეგ თარგმნიდეს „რეალობის“ ენაზე.

**„და შენ შემრჩი ხელში ისე,**
**როგორც ვაზი ან ლამაზი ქორი“.**

სიმონ ჩიქოვანის ეს სტრიქონები ხომ არ გვეთარგმნა — თქვენგან გამოგონილ „რეალობის“ ენაზე? განა ცოცხალი ქორი, ჩემი არწივივით, ისე უბრალოდ დაგნებდება, რომ ხელში შეგრჩეს? ცოცხალი ქორი, ისე, როგორც „დაჭრილი არწივი“ მეტად საშიშია.

თუ ასე, ამ პრინციპით განვიხილეთ პოეზია, მაშინ მართლა აღარც ქორი შეგვრჩება ხელში და აღარც ვაზი.

ახლა ერთი რამ მინდა გაგანდოთ (ეს უკვე ნამდვილად ჩემი აზრია):

კრიტიკაში არსებობს **ბერბიჭაშვილის ხაზი**, მე ამ ხაზის ცხოვრებაში გამტარებლებს „ლიტერატორ-გამომძიებლებს“ ვეძახი; ისე კი, მართალი თუ გინდათ, ისინი ლიტერატურული (და არა მხოლოდ ლიტერატურული) მკვლელები არიან, წმინდა წყლის მკვლელები.

ერთი კარგად ჩაუჯექით და ახალი პასკვილი გამოაცხვეთ სათაურით „ქურდის ქურდი ცხონებულია“, ანუ, ექსტრემისტი პოეტები“ — მაგალითებით მე მოგამარაგებთ. დავიწყოთ „ცხრით“ და სულ „ათიანებში“ მოგართმევინებთ.

**„ჩვენ ქართველებს ყველაფერი**
**ცხრა გვიყვარს, ცხრა მთა, ცხრა**
**ზღვა, ცხრა მუხა და ცხრა**
**წყარო.“**

თუ არ ვცდები, ეს სტრიქონები ალექსანდრე აბაშელისაა; ახლა მირზა გელოვანსაც ჩავხედოთ „ცხრიანებში:“

**„ჩემს ბავშვობაში ცხრა მთათა**
**კალთას,**
**ციხე რამ იდგა მთაზე მაღალი.**
**ცხრაკარა ერქვა და თითო**
**კართან,**
**ცხრა ლოდი იწვა. ცხრა ძმის**
**მაგვარი.“**

ლადო ასათიანის „ცხრიანებში“ ასეა საქმე: **„ცხრა ლაზვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ“.**

სამი პოეტის ეს ლექსები („ცხრა“ რომ აერთიანებს), ნეტა ჩახედა თქვენი აზროვნების მრგვალ ყუთში რას ფიქრობთ, მართლა ჰგვანან თუ არა ერთმანეთს? რაღაც უკმაყოფილებას გატყობთ, მაგალითები გეცოტავათ? კი ბატონო, შოთა ნიშნიანიძის ლექსს წავაშველებთ: **„ცხრა უღელი კამეჩის გიწევია ჰაპანი, ცხრა ტყავი გაგძრობია, არ ყოფილხარ ჯაბანი, ცხრათავიან დევებთან გიომია ზღაპარში, ომში ცხრა ძმა ვკვდებოდით, და მიტომაც გადავრჩით“.**

„გაზაფხული“ ჰქვია ამ ლექსს!

მუხრან მაჭავარიანის ლექსის სტრიქონს მოვართმევთ იმ მაგიდაზე, სადაც მხოლოდ ჩემი ლექსები გაქვთ გაშლილი:

**„კიდევ უფრო, კიდევ უფრო,
ილორძინე, საქართველოვ!“**

ახლა მურმან ლებანიძის სტრიქონსაც მივუმატებ ჩემი ლექსებით სავსე თქვენს სუფრას:

**„იცოცხლე, მე ვილორძინო,
იცოცხლე, ვიქცე ბალღად“.**

თქვენს გაწყობილ სუფრაზე რატომღაც ჩემი ის სტრიქონი აითავლწუნეთ, სადაც მთელი ლექსის მანძილზე თურმე ერთხელ ვახსენე სიტყვა „ლორძინება“. მოკლედ, შარზე ხართ და მეტი არაფერი... მე მაინც ვიმეორებ:

**„გადღეგრძელებ, საქართველოვ,
კიდევ უფრო ალორძინდი“.**

ისევ ექსტრემისტობანას თამაშზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: **„შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო!“**

მუხრან მაჭავარიანის ეს ცნობილი სტრიქონი გაღიზიანებთ, ახლა არა თქვათ, რომ ის და „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“,— ირაკლი აბაშიძის ასევე ცნობილი სტრიქონი, „შენ ჩვენო ნიჰო, სრბოლავ და ფრენავ“ ერთმანეთთან რაიმე კავშირშია. უჰ, შოთა ნიშნიანიძის სტრიქონი გამახსენდა: „შენ, ჩემო ნიჰო, სიამაყევ, ჩემო სინდისო“.

ისევ ირაკლი აბაშიძის პოეზიას შევაწუხებ:

**„სიცოცხლის კვალიც არ ჩანს
მთვარეზე,
არ ჩანს, არ არის, არ ჩანს, არ
არის“.**

არ ჩანსო, გესმით? არადა, გალაკტიონმაც რომ თქვა — „არ ჩანსო“ რა ვქნათ?

**— „რა ამოძრავებს კიპარისის
ტანს,
ჩუმი შრიალი საიდან არი,
ქარი არა სჩანს, ქარი არა
სჩანს...
მაინც მწვერვალებს ედება
ქარი“.**

**„თოვს, ეს სიჩუმე და სისუფთავე მე ძველებურად აღარ მახარებს!“** კოლაუ ნადირაძის ეს ორი სტრიქონი, რა ძალიან გინდათ, რომ გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებს ჰგავდეს, „თოვლით“, „ხარებით“, **ინტონაციით: „თოვს, ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი და დალალული სიზმრით დამთოვა“!** თქვენთან საუბარი ასე თუ შეიძლება, სხვანაირად წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

„პატარძლის მოტანილი კიტრები და მწვანილი“ (რა ვქნა, ესეც უნდა გავიხსენო), თქვენი აზროვნებით, საქო და სიკოს „კუპლეტებიდან“ წამოსულა ლადო ასათიანს:

**„შუშა კიტრი და ქორფა
მწვანილი,
პატარძლის ხელით
გამოყვანილი“?**

როცა ლადო ასათიანი წერს: **„ხძინავს, ფიქრებს ალამაზებს და სიზმარში ხედავს, რომ მის ბებერ გალავანზე არწივები სხედან“...**

თქვენ კი, ბატონო მეც. კანდიდატო, დადექით და ერთ ხმაში იმღერეთ: **„აბა ყვავებს ვინ დაიჯერს, კარგო, გალიაში არწივები სხედან“.**

იმღერეთ და იყავით...

გიორგი ლეონიძეც უნდა შეგახსენოთ:

**„დიდება მას, ვინც პატარას
გიმღეროდა ნანას ტკბილად.
ერთმა დედამ გშობა, მაგრამ
ყველა დედას ყავხარ შვილად“.**

არადა, ერთი სტრიქონი მახსოვს ზაქარია შერაზადაშვილისა:

**„დიდება მას, ვინც პირველად
გამოგთარგმთ ასოებად“.**

ნეტა არ გამეხსენებინა, რა ვიცი, რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს ამ მსგავსებას.

„თუ ყველაფერი არის სიზმარი, თუ ბინდისფერი არის ყოველი“.

ალბათ, იცოდა ირაკლი აბაშიძემ ხალხური ლექსი, „ბინდისფერია სოფელი“.

არა? დიახ, ეტყობა, იცოდა.

ან კიდევ:

**„ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი ქვეყანა არის გურია,
სტუმარს, მოყვარეს აქვე
დავხვდები,
მე სხვა სამშობლო აღარ
მწყურია“.**

იქნებ, ამ შემთხვევაშიც გემღერათ ერთი ხალხური ლექსი — **„მშვენიერო გურია, შენი ნახვა მწყურია“:**

გავერთე, მაგრამ მიხარია და მომწონს ლამაზი სტრიქონების გახსენება, თუნდაც რაღაცით ერთმანეთს ჰგავდნენ ისინი.

ისევ მურმან ლებანიძეს დავუგდოთ ყური:

**„უფსკრულზე ბეწვის ხიდია,
გამოღმით შენ ხარ ერთი,
იქნებ მაგ ტვირთზე ჰკიდია,
გაღმა ათასის ბედი!“**

უფრო დამოუკიდებელი რა შეიძლება და, ვაი ჩვენს გაჩენას, თუ ეს სტრიქონები, ბატონო დოიაშვილო, იმ ლექსიდან მოპარული გგონიათ: **„გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ“.**

მაშ ჩემი სტრიქონი რად მოგხვდათ გულზე?

**„გამოღმით მე ვარ, შენა ხარ
გაღმა
და გაზაფხულის გაქვს
სილამაზე“.**

ამ ლექსების მსგავსებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ზქვენ რომ გამოღმით ხართ და ჩვენ გაღმა, ამაზე ორი აზრი არ უნდა არსებობდეს!

თქვენ ერთი მუსიკოსის მიმართ გამოჩენილი სიმკაცრე გაგხსენებიათ, „ვენგრია“ ახსენაო; კი, ბატონო, მეც მახსოვს... არადა, რა გულუბრყვილოდ ამბობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი **„ფრანციას“.**

ბატონი კონსტანტინე გამსახურდიაც ხმარობს ერთგან „კროკოდილს“. იქნებ არ იცოდა, რომ „კროკოდილს“ ნიანგი ერქვა?

ტერენტი გრანელი ამბობს: „თითქმის ყოველდღე სასაფლაოზე ვხვდები მათხოვარს და **პროსტიტუტკას“. პროსტიტუტკა,** მოგეხსენებათ, მეძავს ნიშნავს, მაგრამ, ნახეთ, რა საჭიროებისამებრ გამოიყენა პოეტმა. თუმცა დარჩა ამ ლექსის შესანიშნავი სტრიქონები, რომლებსაც დღეს ხალხი მღერის: „შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ“. თქვენი ახირება რომ ვიცი, ახლა შეიძლება კვლავ ის გაგახსენდეთ:

**„შენ, სისხლო ჩემო“...
„შენ დედამიწავ“...**

ნუ დავიყვანთ, პოეზიას კალოშებისა და სატუცავების, ვაგონრონოდების, რელსებისა და ლიანდაგების დონეზე... მე თქვენს წერილებს „მგზავრის წერილები“ მირჩევნია, (ძალიან ბევრად) იქაური „სტანცია“ და იქაური „ფოშტა“.

და ბოლოს, თუ იცით, თქვენ თვითონ როგორ წერთ? დაახლოებით ასე: კალენდრებში რომ რეცეპტებს შესთავაზებენ ხოლმე: „შევარჩიოთ ახალი, საშუალო ან მცირე ზომის სალი კიტრები, ჩავყაროთ ცივ წყალში ან პურჭელში 6-8 საათით, შემდეგ ჩავალაგოთ ისინი კასრში ან ბრტყელძირიან ქილაში, კიტრი უნდა ჩავაწყოთ მჭიდროდ“, და ასე შემდეგ, მაგრამ ასე მხოლოდ კიტრის დამჟავება შეიძლება და არა კრიტიკული წერილის გამოცხობა. ყველა კაცმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, ვისაც კიტრის დამჟავება ეხერხება, იმან კიტრი უნდა დაამჟავოს... მაგრამ თქვენ ბატონო ლიტერატორ-გამომძიებელო, რადგან გამოცდილება დიდი გაქვთ, მშვენივრად მოგეხსენებათ — „ცილისწამება ნახშირია, თუ არ დაგწვავს, გაგსვრის“.

სანამ დაგემშვიდობებოდეთ, მინდა გამოგიტყდეთ: თქვენ ვინცა ხართ, ხომ ვიცი და ვიცი, მაგრამ მაინც სხვისი იმედით მგონიხართ, რა ვქნა, მომკალით და სხვანაირად ვერ დავიჯერებ, არ შეიძლება ერთმა კაცმა, ცალუღელა კაცმა, ამდენი უსამართლობა ზიდოს!

სხვათა შორის, ალბათ, პირველი კაცი ხართ, ვისაც ჩემი ყველა ლექსი წაგიკითხავთ, რაც კი ჩემს სიცოცხლეში დამიწერია, მაგრამ რად გინდა? წყალში ჩაგეყარათ ამდენი შრომა, და თუ იცით, რატომ? შრომა სიყვარულის გარეშე ტანჯვაა, ხოლო თქვენი ტანჯვა ძალუმად დაეტყო თქვენს გამომძიებლურ საქმეს; ალბათ სხვა მწერალს ამდენს ვერ გაუბედავთ, თორემ ვაითუ სხვამ, ვისაც პასუხის გაცემა არ ეხერხება, არც გაპატიოთ... და რაც ეხერხება, ის შემოგთავაზოთ...

მკითხველმა მომიტევოს, ყველა სისულელეზე პასუხის არგაცემა. კაცს, რომელსაც „ფიქრის სიმაღლე“ უკვირს, რომელ სიმაღლეებზე უნდა ველაპარაკო?

ჩემს თავს არ ვდარდობ, მე იმას ვდარდობ, ვის ხელშია ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა? ნუთუ ესაა დონე ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა? მადლობა ღმერთს, რომ სხვებსაც ვიცნობ, მადლობა ღმერთს, რომ ისინიც არსებობენ.

ამ პასკვილის წაკითხვის შემდეგ დავასკვენი — თქვენ ლირიკული ლექსი არ უნდა წაიკითხოთ, თქვენ გული უფრო მეტად **სატირულ-ირონიული** პოეზიისკენ მიგიწევთ. გირჩევთ ხშირად იკითხოთ ჟურნალი „კროკოდილი“, იქ უფრო შეგხვდებათ თქვენი გემოვნების შესაფერი „პოეზია“.

●

მთელი ჩემი შემოქმედებიდან ერთი ლექსი მოგწონებიათ, არადა, საოცარია, რომ გცოდნოდათ, ლექსში ვისაც ვგულისხმობდი, რა თქმა უნდა, არ მოგეწონებოდათ...

ლექსი თქვენნაირი კაცებისადმია მიძღვნილი.

ამ ლექსსაც აქვე გთავაზობთ!

**„მე შენ აგიღე, როგორც
ნახერხი,
არარაობას შემქმნელად გექმენ,
ვიწვალე ბევრი და მოვახერხე,
თვალებდაჰყეტილ თოჯინად
შეგქმენ.**

**ვზი ვალმოხდილი, ველი
სიბერეს,
გაზაფხულია და ხეხილს ვამყნი,
შენ აღარ ხუმრობ, შენ გაიბერე
და ახლა ნახერხს თვალებში
მაყრი.**

გთხოვთ მიიღოთ, ვითარცა ნაფეშქაშარი!

**P. S.**

ბატონო ლიტერატორ-გამომძიებელო, თქვენს **პრიმიტიულ** აზროვნებას ბევრს ვერაფერს მატებს **ცინიზმი,** რომელიც ასე ჭარბად გაქვთ მომადლებული. იძულებული ვარ, ერთხელ კიდევ ჩაგახედოთ თქვენს საყვარელ ლექსიკონში და განგიმარტოთ სიტყვა **პრიმიტიული:**

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებთან დაკავშირებული, პირველყოფილი, მარტივი, არართული, ნაკლებად განათლებული, ნაკლებად კულტურული.

ახლა განვმარტოთ **ცინიზმი:** აგდებული დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისადმი, ისეთი რამესადმი, რაც საყოველთაოდ პატივისცემით სარგებლობს; თავხედური გულახდილობა.

**ცინიკური** კი ასეა განმარტებული: უსირცხვილო, უხეში, უწმაწური...

სულმოუთქმელად ველოდები პრიმიტიულად მოაზროვნე შემდეგი ცინიკოსის წერილს! აბა, ჰე, გამოჩნდი, რომელი ხარ!

# მზის ფერი დარბაზში



მზე ხომ ის უზარმაზარი პატიოსანი და ძვირფასი თვალია, რომელიც ყველას თანაბრად გვეკუთვნის. ეს განუზომელი მადლი დაჰნათის მთელ სამყაროს და ყოველ სულდგმულსაც „სწორად მოეფინების.“

თითქოს მზის ფერთა საგალობელია მხატვარ ელგუჯა ტოგონიძის კაშკაშა და ათასფერადი ტილოებიც, რომელთაგან შეუმჩნევლად, სადღაც სიღრმიდან დიდი ადამიანური სევდაც გამოსჭვივის, ხიბლავს მნახველს და ალბათ შვებასაც ჰგვრის, რადგან შთაბეჭდილებათა წიგნში ამოვიკითხე: „წლების მანძილზე დაობლებულმა ჩემმა სულმა აქ იგრძნო შვება. თქვენმა ნახატებმა ჩამქრალი ნაპერწკალი ხელახლა გააღვივა. მომცა სიცოცხლის გახანგრძლივების იმედი და სიხარული, ფიროსმანი გაცოცხლებულა...“

„ეს სურათები ჩემში იყო, ბატონო ელგუჯა..

იყო და აქ რომ ვნახე, განვცვიფრდი.“

„თქვენი თვალებიდან და თქვენი ნახატებიდან დიდი მარტოობა და სევდა ჟონავს. გისურვებთ ბედნიერებას.“

მხატვრის სახლის მეორე სართულზე გამოფენილ თავის ნამუშევრებს თითქოს დარაჯობსო, გამუდმებით თავს დასტრიალებს, არ სცილდება ავტორი. როგორც კი გაესაუბრები, იგრძნობ, რომ თავადაც ისეთივე ნათელი და ხალასი, ბავშვურად გულუბრყვილო და მიამიტია, როგორც მისი ნახატები. იმაშიც ადვილად დარწმუნდები, რომ ამ ნახატებზე ძვირფასი არაფერი გააჩნია ქვეყნად და ამიტაც მდიდარია.

— ღმერთი, სამშობლო და სიყვარული მახატინებსო, — შემომცინა ალალად. მერედამერე ისიც შევიტყვე, რომ 59 წლის ასაკში ეს მისი პირველი პერსონალური გამოფენაა, ცხოვრობს და მუშაობს ჩაიკოვსკის ქუჩაზე ვიწრო, ნესტიან სარდაფში, ცოტა თვალებიც დაუავადდა და სურათებიც შემოეფანტა თურმე „იწროობით“, მაგრამ „ასეთებიც“ ღიმილით მიამბო და თავადვე გამამხნევა, არა უჭირს, მალე ალბათ ბინასაც მომცემენ და ოჯახსაც მოვეკიდებიო...

ჩვენს irgvliv კი მზის ფერით გაცისკროვნებული დარბაზია, დიდი რუდუნებით აღბეჭდილი ტილოები: „ოცნების ნათება,“ „უფლის გამოცხადება“, „ვედრება ღვთისმშობლისადმი,“ „სულიერი ცხოვრება,“ „ოქროსფერი შემოდგომა,“ პეიზაჟები, პეიზაჟები...

ისევ მაგონდება: „თქვენი თვალებიდან და თქვენი ნახატებიდან დიდი მარტოობა და სევდა ჟონავს, გისურვებთ ბედნიერებას.“

გისურვებთ ბედნიერებას, ბატონო ელგუჯა!

**ელისო სიხარულიძე**



# ვარლამ თოფურიას ხსოვნას

ამას წინათ ქართველ მწერალთა, მეცნიერთა, საზოგადოებრივ მოღვაწეთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა გიორგი შარვაშიძის საზოგადოების ინიციატივით.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიკოს-მდივანმა, პროფესორმა როინ მეტრეველმა. მან ვრცლად ისაუბრა ვარლამ თოფურიას დამსახურებაზე ქართველური და კავკასიური ენების კვლევის საქმეში.

მოხსენებით ვარლამ თოფურიას მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბესიკ ჯორბენაძე.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ღვაწლმოსილი მეცნიერის მოწაფეთა, მისი კოლეგების მოგონებები. საღამოზე გამოვიდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, უნივერსიტეტის უხუცესი პროფესორი სოლომონ ხუციშვილი, აკადემიკოსი შოთა ძიძიგური, ავთანდილ იოსელიანი, არამ მარტიროსიანი, თედო უთურგაიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვარლამ თოფურიას სახელობის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე პროფესორი ნელი ბაბუნაშვილი, დოცენტი ოთარ ურიდია.

ვარლამ თოფურიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობდნენ საქართველოს საისტორიო საზოგადოების, საქართველოს მწვანეთა პარტიისა და ივანე ჯავახიშვილის საზოგადოების წარმომადგენლები.

გიორგი შარვაშიძის საზოგადოებას კვლავაც მრავალი საინტერესო ღონისძიება აქვს დაგეგმილი.

**მირანდა ტყეშელაშვილი**

# მსხვრევა

ნათელა არველაძე

1991 წელი უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოსათვის. გარდამავალმა პერიოდმა რესპუბლიკის სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურების სახეცვლილებით უნდა შეამზადოს ქვეყანა ჭეშმარიტი სუვერენიტეტისათვის. ფაქტია, რომ ძირეული ცვლილებების წინაშე აღმოჩნდა რესპუბლიკის პოლიტიკური ორიენტაციაც, სახალხო მეურნეობაც, განათლებისა და კულტურის სფეროც. ფერისცვალება ესაჭიროება ეკონომიკასაც და ადამიანთა ფსიქიკასაც. ამ თვალსაზრისით გაღრმავდა და გაიზარდა კულტურის როლიც ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისათვის. თანამედროვე ეპოქა სრულიად სამართლიანად და საგანგებოდ ითხოვს თეატრალური ხელოვნების ძირეულ გარდაქმნებს. რა თქმა უნდა, ქართული თეატრის მოღვაწენი ფიქრობენ და მოქმედებენ ამ განახლებისათვის. მინდა ხმა შევუერთო ამ ძიებებს, ვინძლო რაიმე მისაღები აღმოჩნდეს და წაადგეს სცენის ოსტატებს სამომავლოდ.

მოგეხსენებათ, სათეატრო საქმის წარმოების მთლიანი პროცესი დაფუძნებულია ძირითადად ოთხ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტზე. ესენია: საკუთრივ თეატრები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობით წყვეტენ ყოველი სახის პრობლემას; კულტურის სამინისტრო და ქართული თეატრის მოღვაწეთა კავშირი, რომლებიც შემოქმედებით-ორგანიზაციული საკითხების რეგულირებისათვის თანამშრომლობენ, და თეატრალური ინსტიტუტი, როგორც კადრების აღზრდის კერა. [illegible]

# ტრაგედიიდან — სიხარულამდე

**მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი ესაუბრება ჩვენს კორესპონდენტს ნათელა კოზიაშვილს**

უკვე 30 წელზე მეტია, რაც ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი ოსტატის ოთარ მეღვინეთუხუცესის ნიჭსა და გარეგნობას ჩვენი მაყურებლისთვის ბევრი სიხარული მოაქვს. მის მიერ შექმნილი სახეები, მისი პერსონაჟების სცენური ცხოვრება — შესრულების სტილი და მანერა, აქტიორული ემოციურობა, ტემპერამენტი, ხან სტიქიური ვნება და ხან რაინდული სიდარბაისლე, მისი გმირობის ბავშვური, უცოდველი, მგრძნობიარე და ულალატო გამოხედვა — როგორც ქართველი, ისე უცხოელი მაყურებლისთვის, უკვე ახლობელი და ძვირფასი გახდა.

ოთარ მეღვინეთუხუცესმა მდიდარი, მრავალფეროვანი პერსონაჟების გალერეა შექმნა, რაც უცილობლად პერსონაჟებთან პიროვნების დაახლოების, შეგუებისა და გათავისების ურთულეს, მტკივნეულ პროცესთანაა დაკავშირებული. იგი ყოველთვის „ადამიანის გულის ჰიდილის" თეატრისკენ ისწრაფვის, თუმცა კარგად უწყის, რომ სატანჯველი უფრო მეტი შეხვდება, ვიდრე სიხარული, მაგრამ დღემდე მაინც ამ რთულ გზაზე მიაბიჯებს.

დღეს ადამიანები დაძაბული სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ. ქართველ კაცს, როგორ ზღვარზეც არ უნდა ყოფილიყო მისი გაჭირვება, ხელოვნება არასოდეს მიუტოვებია. ქართული თეატრი ყოველთვის ამბობდა ქართველი ერის სათქმელს და ერთ-ერთ წარმმართველ როლს ასრულებდა მის ცხოვრებაში. ამიტომაც, ამ დაეჭვების მძიმე პერიოდში, მკითხველისთვის ალბათ, სასიამოვნო იქნება შეხვედრა სასიქადულო მსახიობთან.

— ბატონო ოთარ, ქართულ სცენაზე 30 წელზე მეტია მოღვაწეობთ. ვაჟას „მოკვეთილის" პერსონაჟმა ჩონთამ გადამწყვეტი როლი შეასრულა თქვენს სასცენო ცხოვრებაში, ნათლად წარმოაჩინა თქვენი შესაძლებლობანი და განსაზღვრა აქტიორული პოზიცია, სადაც ხაზგასმით იგრძნობა გამორჩეული ერთგულება ჩონთასნაირი გმირებისადმი — სირანო, ფიროსმანი, დონ-კიხოტი, ოიდიპოსი, ოტელო, ელიოზი, ჯოყოლა, მეფე გიორგი, დათა თუთაშხია...

— **ჩონთა მართლაც საეტაპო იყო ჩემს შემოქმედებაში, ვაჟას გმირთან სიახლოვემ, მის არსში წვდომამ, იმ სულიერმა ქარტეხილებმა და ნგრევამ, რასაც ჩონთა განიცდის, დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე, როგორც მსახიობზე. ეტყობა, ამ როლმა „გახსნა" ჩემი შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, რეჟისორებზე იყო დამოკიდებული ჩემი რეპერტუარი, და სწორედ მათ დამაკისრეს ეს ტვირთი, ისინი მთავაზობდნენ ამა თუ იმ როლს. მაგრამ შემოთავაზებული პერსონაჟების ხასიათები ჩემთვისაც ახლობელი გახლდათ... სერგო ზაქარიაძის მეუღლემ, ქალბატონმა მერიმ თქვა: სერგოს ტრაგიკული და დრამატული როლების შესრულების შემდეგ არ ეძინაო. სწორია, ვერ დაიძინებდა. ეს გმირები სულიერი ძალების საოცარ დაძაბვას მოითხოვენ... მე ბედნიერი ვარ, რომ ამ რეპერტუარით ვიმუშავე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთ პერსონაჟებთან „ახლობლობა" თავისებურ დაღს ასვამს მსახიობის პიროვნულ მეს. ნაცრისფრად შეღებილი ყოველდღიურობის ფონზე მათი ცხოვრებით ცხოვრება, თავისთავად უკვე საინტერესოს ხდის შენს ცხოვრებასაც. ჩვენი დროის უმეტესი ნაწილი მათ ცხოვრებას მიაქვს. რაც უფრო უბედური ხარ თამაშის დროს, რამდენადაც უფრო მიუახლოვდები შენი გმირის იდუმალ სამყაროს, რაც უფრო გაითავისებ შენთვის უჩვეულო ცხოვრებას, რაც უფრო ღრმად ჩასწვდები მის ტრაგიკულობას, — მით უფრო უცნაური, განუმეორებელი სიხარული გეუფლება თამაშის შემდეგ, ხან უცნაური სევდაც... რაც შეიძლება ახლოს უნდა მიხვიდე გმირთან, მაგრამ იდენტური განცდა შეუძლებელია, მხატვრულმა სახემ არ უნდა გმართოს... აქ ერთგვარი ზღვარია. ის არ უნდა დაირღვეს...**

— ღირსეულად და რაინდულად კვდებიან ვაჟას გმირები, ასევე შეიძლება ითქვას თქვენს პერსონაჟებზეც თეატრში და კინოშიც, თითქოს ყოველთვის განსაკუთრებულია მათი სიკვდილი, ამაღლებული, ვაჟკაცური და ლამაზი. როგორ ახერხებთ ასეთ „სიკვდილს"?

— **მოსკოვშიც მითხრეს ადრე, სიკვდილი თქვენი თემა ყოფილა... ჩემს რეპერტუარს გადავხედე, — ლამაზ სიცოცხლეს ლამაზივე სიკვდილი სჭირდება. სიკვდილს აქვს თავისი შემზარავი სილამაზე. წუთისოფელს რომ ეთხოვება კაცი, არ შეიძლება იმ წუთებში არ გაიელვოს მისმა სულიერმა ძალამ, მისმა ღირსებამ... მე რომ მკითხოთ, იშვიათად ვარ კმაყოფილი, სულ მგონია, სიკვდილის მომენტს რაღაც აკლია, რაღაცას ვერ ჩავწვდი, რაღაცა ვერ ვიგრძენი... წუთისოფელს რომ ეთხოვება კაცი, არ შეიძლება, იმ წუთებში არ გაიელვოს მისმა სულიერმა ძალამ, მისმა ღირსებამ... ან პირუკუ... ისე სიკვდილს თავისი შემზარავი სილამაზეც აქვს. დედამ ჩემს ხელში დალია სული,**



**მთელი დღე მის სასთუმალთან ვიჯექი. ახალგაზრდობაში თურმე ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. საოცარი რამ მოხდა, ბოლო წუთებში იგი უმშვენიერესი გახდა, ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე შემზარავი და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც საოცრად ლამაზი წუთებიც. ლამაზს ხშირად ვხმარობ, მაგრამ სხვანაირად ვერ ვიტყვი, ასე იყო. ასეთივე გრძნობა დამეუფლა მამის გარდაცვალების შემდეგაც; გარდაცვალების წინ მამამ მე და ჩემს ბიძაშვილს მოგვატანინა პურ-მარილი, ჩვენთან ერთად იქეიფა. მამა კარგად მღეროდა... წამოიწყო სიმღერა, საოცრად მომხიბვლელი იყო იმ წუთებში, სიამაყე მეუფლებოდა მის შემყურეს... ასე სიმღერით გამოგვეთხოვა. მაშინაც, საოცარი მწუხარების ზარი და სილამაზე... ეს გრძნობები, ეს შთაბეჭდილებები განუმეორებელია. სიკვდილის მოვლენა, სიკვდილისადმი ბრძოლა და შიში ყველა ადამიანში ზის, მაგრამ როცა ჩემი მშობლების სიკვდილი მაგონდება, როგორ წავიდნენ ისინი, შიში უფერულდება, თითქმის ყოველთვის, როდესაც სცენაზე „სასიკვდილოდ" გავდივარ, მინდა, მივუახლოვდე იმ საოცარ განცდას, — ღირსება და პატივი მივაგო ადამიანის წუთისოფელთან გამოთხოვებას.**

— ქართველ მაყურებელს განსაკუთრებით უყვარს შექსპირი. ოტელო ალბათ ბავშვობიდანვე შემოვიდა თქვენს ცნობიერებაში, თქვენი აღქმული და გათავისებული ოტელო უთუოდ სხვაგვარი იქნებოდა, ვიდრე თემურ ჩხეიძის შემოთავაზებული. და თუ მართლაც ასე იყო, არ გაგიჭირდათ მასთან დაახლოება თქვენი „საკუთარის" შემდეგ?

— **შექსპირი ქართველებისთვის „შინაური" დრამატურგია. ქართული ხასიათისთვის ახლობელია დიდი ვნებები, პოეტურობა, ლექსი. ბევრჯერ წამიკითხავს ოტელო და ბევრჯერ მინახავს ხორავას და ოლივიეს შესრულებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნანახით განცდილი იდეალთანაა მიახლოებული. გაოცებული ვიყავი ოლივიე-ოტელოთი. სცენაზე მე უკეთესი ნამუშევარი არ მინახავს. ამიტომ სპექტაკლში მონაწილეობაზე დიდი ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი. ცხადია, თემურ ჩხეიძის ოტელო სულ სხვა იყო. ეს სხვაობა რეპეტიციების დროს უფრო გამძაფრდა, ბოლო რეპეტიციაზე უსიამოვნო კონფლიქტიც კი მოგვივიდა. ძალიან გამიჭირდა, ცნობიერებაში ჩამეძირა წლების განმავლობაში წარმოსახული ოტელო, ამიტომაც რეპეტიციების დრო თითქმის დავიწყებას, მასთან ბრძოლას მოვახმარე. უნდა დამევიწყებინა „ის" და შეგვექმნა სხვა — საკუთარი, ჩვენი, ცხადია, ლომის წილი ამ სახის შექმნაში რეჟისორისაა, რაც შეეხება ჩემს საკუთარს, ისიც ბევრია.**

— ერთი ცნობილი თეატრმცოდნე წერდა: „ოტელოს უდიდესი შემსრულებლები — ოსტუჟევი და ხორავა — მაყურებელში კათარზისს იწვევდნენ, გრძნობას, რომელსაც ძალზე იშვიათად ბადებს დღევანდელი თეატრი... ოთარ მეღვინეთუხუცესის ოტელო კი გვანიჭებს მას. თუ ვინმე არ განიცდის ამ სპექტაკლზე კათარზისს, საკუთარ თავს დააბრალოსო". თქვენ რა აზრის ხართ თქვენს ოტელოზე?

— **ოტელოს გათავისება, მასთან მიახლოება მხოლოდ სპექტაკლებზე მოვახერხე. ასე მძაფრად არასოდეს განმიცდია მსახიობური დაეჭვების მძიმე წუთები, როცა გინდა სიმართლე იცოდე შენი ნამუშევრის შესახებ... კრიტიკოსებმა ძალიან შემიშალეს ხელი, მათაც გაუჭირდათ ამ სახის აღქმა, ხელს უშლიდათ სწორედ ის იდეალური სახეები, რომლებიც ოლივიემ და ხორავამ შექმნეს... მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი, ეს როლი ჩემთვის უძვირფასესია და ბევრი სიხარულიც მომიტანა. თუნდაც ერთმა ადამიანმა თუ განიცადა კათარზისი, ჩემი თამაშის დროს, უკვე ბედნიერებაა.**

— რა აზრისა ხართ შექსპირის თანამედროვე ინტერპრეტაციებზე?

— **ოლივიეს ინტერპრეტაციაში სულ თავდაყირაა დაყენებული ყველაფერი, მაგრამ, სამაგიეროდ შექსპირის სული (დიდი, ამაღლებული ვნებების თვალსაზრისით), სრულყოფილადაა წარმოჩენილი, მისი ოტელო განუმეორებელია. ამგვარ შესრულებას ტიტანური ძალი სჭირდება და ერთეულთა ხვედრია...**

**ჩვენს დროში გმირის ცნებების დევალვაცია ხდება, შექსპირი კი გმირების თეატრია. რეჟისორები „ყინავენ" მსახიობურ ინდივიდუალობას; ამიტომ თანამედროვე თეატრებში შექსპირის პიესებს „ამიწებენ," ზეაწეულ ტონს დაბლა სწევენ. ყოფითი შექსპირი — შექსპირი აღარ არის.**

— ქართულ თეატრში მწვავედ დგას რეპერტუარის პრობლემა, ყველამ კარგად ვიცით, რომ მნიშვნელოვანი დრამატურგიული ნაწარმოები იშვიათად იქმნება, ალბათ ესეც განაპირობებს თეატრში ეროვნული პიესების ნაკლებობას. თუმცა ხშირად, საინტერესო დრამატულ ნაწარმოებს უფრო უჭირს სცენაზე ასვლა, ვიდრე საშუალოს ან უბრალოდ უსულგულოსა და არაფრისმთქმელს. თქვენი აზრით, რა გზა შეიძლება დაისახოს სამომავლოდ ამ პრობლემის გადასაჭრელად? კლასიკა კლასიკაა, მაგრამ მოქალაქეობრივი პოზიციის უფრო მკვეთრად გამოკვეთისათვის თანამედროვე გმირი ხომ ძალზე სჭირდება როგორც მაყურებელს, ისე მსახიობს.

— **აკაკი ბაქრაძემ თეატრში მოსვლისთანავე შეადგინა მთელი წლის, მთელი სეზონის რეპერტუარი; მან იცოდა, რატომ უნდა დადგმულიყო თითოეული სპექტაკლი, ეს იყო ქართული რეპერტუარი. „გრაალის მცველნის" პრემიერა დაუვიწყარია ჩემთვის, ასეთი დარბაზი არ მახსოვს. ეს იყო ზეიმი. მაყურებელი და მსახიობები გავერთიანდით... ბატონი აკაკი რომ ჩვენთან დარჩენილიყო, ალბათ უფრო ინტენსიურად გაგრძელდებოდა მუშაობა ეროვნულ რეპერტუარზე. ჩვენ პრინციპულნი ვერ აღმოვჩნდით ამ საქმეში. ერთ კომპრომისს მეორე მოჰყვა და ა. შ. სეზონი, სამწუხაროდ, არ გამოვიდა იმ დონისა, როგორადაც ჩაფიქრებული იყო. რა უნდა ეშველოს ამ საქმეს? არ შეიძლება ოდნავ შეღავათი ან მორიდება. თეატრი რეპერტუარის შერჩევისას უნდა იყოს დაუნდობელი და პრინციპული. ყველაფერი, რაც დღეს იქმნება, თანამედროვე როდია, ამავე დროს, ბევრი ადრინდელი, გუშინ თუ გუშინწინ დაწერილი კი უაღრესად თანამედროვეა არა მხოლოდ გამოხატვის მეთოდითა და საშუალებებით, არამედ გამოსახატი პრობლემის, ხასიათისა თუ მოვლენის გასაოცარი სიმძაფრითა და სიცხოველით; თეატრის მიერ შექმნილ სამყაროს უნდა ჰქონდეს თანამედროვეობის გაგების სურვილი და თანადგომის მოთხოვნილება. თეატრმა უნდა შექმნას თანამედროვე სამყარო გაცილებით უფრო საინტერესო, — გულწრფელი განცდებითა და თანაგრძნობით აღსავსე...**

— დღეს საქართველოში უკვე ეროვნული პარლამენტია, რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო გაპარტახებული, გალატაკებული ქვეყანა. პრობლემებია თითქმის ყველა სფეროში, მატერიალურსა თუ სულიერში. ერთი მხრივ, ოპტიმისტური განწყობილებაა, მეორე მხრივ... რა თქმა უნდა, შეიცვალა მაყურებლის დამოკიდებულება თეატრისადმი. თითქოს მაყურებელი გულგრილი გახდა ხელოვნებისადმი. რა გრძნობა გიპყრობთ, როდესაც თეატრში ცოტა მაყურებელია?

— **დღეს, ამ ძნელბედობის ჟამს, თეატრში მოსული მაყურებელი თავის მრწამსის გამართლებას დაეძებს... მე ვფიქრობ, რომ დღეს შეიძლება თეატრში სულ ზეიმი იყოს. თეატრს შეუძლია ერის მედროშედ იქცეს. თეატრების რეპერტუარს რომ გადახედავ, ვერ იგრძნობ რა ხდება ერის ცხოვრებაში, რა უხარია, რა სტკივა ერს, რა აწუხებს? თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს. თეატრი ინერციით მიდის, ერმა გაიღვიძა, თეატრს კი ისევ სძინავს, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, ძილ-ბურანშია. რა გამართლებაა, თითქოს თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოებები არ არსებობდეს. თეატრს პროზაული ნაწარმოებითაც შეუძლია თქვას თავისი სათქმელი. ქართულ თეატრს თავისი ტრადიცია აქვს, წარმმართველი როლი შეასრულოს ერის ცხოვრებაში. რაკი, ამას ვერ ახერხებს, დარბაზი ცარიელია. დღეს არ გამოგვადგება ნახევარი დარბაზი, ან სავსე უნდა იყოს ან ცარიელი. დროა ასეთი.**

**მსახიობებიც ვერ ვცხოვრობთ სრულფასოვნად. ნაწარმოები, რომელიც მიახლოებით ამბობს სათქმელს (ხან მიახლოებითაც არა) ეროვნულ პრობლემებზე, ამ დროს კი ინფორმაციის საშუალებები ყველაფერს ხმამაღლა გაჰყვირიან, ჩვენ ვინ გვაპატიებს ჩვენს სატკივარსა და უბედურებაზე მინაზებული ნახევარტონებით ლაპარაკს. აკაკი ბაქრაძეს ძალიან უნდოდა დავით აღმაშენებელზე დაედგა სპექტაკლი, მაგრამ ჯერჯერობით არ მოხერხდა. ეს თეატრის ხსნა იქნებოდა. ამჟამად დავით ანდღულაძე მუშაობს „დიდოსტატის მარჯვენაზე", ჩემი აზრით, სპექტაკლი მაყურებელზე დიდ ზემოქმედებას მოახდენს.**

— თქვენს ახლანდელ სულიერ განწყობილებას რომელი პერსონაჟი მიესადაგება, რომელი როლის განსახიერებას ისურვებდით, რომელი გმირის ენით უტყოდით მაყურებელს სათქმელს? რა თქმა უნდა, ჯერაც დაუწერელ პიესებზე არ გეკითხებით, ისე კლასიკას ვგულისხმობთ...

— **არ დაგიმალავთ, ეს იქნებოდა დავით აღმაშენებელი და თანაც ასრულდებოდა ჩემი დიდიხნის ნატვრა. ყველაზე მეტად, როცა უჭირდა ჩვენს ქვეყანას, როცა ყველაზე უიმედო მდგომარეობაში იყო, სწორედ მაშინ მიაღწია დიდმა დავითმა საოცარ წარმატებებს. ჩვენი იმედი ის არის, რომ ისტორიამ იცის გამეორებები, იქნებ ღმერთმა ინებოს და გამეორდეს ისტორია, ახდეს ოცნება.**

— ქართულ სცენას ბევრი უნიჭიერესი მსახიობი ახსოვს. ბევრი ალბათ თვალნათლივ გინახავთ, ან სულაც მათ გვერდით გიცხოვრიათ სცენაზე, ვის ნიჭს მოუყვანიხართ უფრო მეტად აღტაცებაში?

— **სესილია, ვერიკო, ვასო, ხორავა, ვასაძე, სერგო, კვანტალიანი, ჟორა... ეს ის შემთხვევაა, როცა გვარის თქმა საჭირო არ არის, ამ ღმერთების სამლოცველოში მე არ მინდა რომელიმეს ზევსი დავარქვა. თითოეული ცალკე სამყაროა, ცალკე თეატრია. ეს მკვეთრად ინდივიდუალური მსახიობები, სცენაზე ჰქმნიდნენ უძლიერეს ანსამბლს, საკუთარი შინაგანი ძარღვით, რომელიც ყოველთვის ზეიმში იზრდებოდა, მოზეიმე იყო ყველა — თეატრიც და მაყურებელიც. ეს იყო საოცრება... ღმერთმა ჰქნას, ქართულმა თეატრმა კიდევ იხილოს ასეთი ზეიმები...**

— რომელ რეჟისორთან მუშაობთ თავისუფლად, ვის ესმის ყველაზე მეტად თქვენი სტილი, ან პირიქით, როგორ რეჟისორთან გიჭირთ ურთიერთობა?

— **რაც უფრო მეტ რეჟისორთან იმუშავებთ, მით უკეთესია. ყველას თავისი ხელწერა აქვს, თითოეულთან შეხვედრა რაღაც ახალს გაძლევს, რასთანაც მათ გარეშე შეიძლება ვერ მიხვიდე. არჩილ ჩხარტიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ლილი იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, თემურ ჩხეიძე, მედეა კუჭუხიძე — მათი მუშაობის სტილი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, სწორედ ეს არის შემოქმედებითი თვალსაზრისით ჩემთვის საინტერესო.**

— თეატრის გარდა მსახიობს სხვა ცხოვრებაც აქვს. საზოგადოებრივი, უყვარს ლიტერატურა, ხელოვნების სხვა დარგები. რომელ ქართველ მოღვაწეს თვლით თქვენი შემოქმედებითი მრწამსისთვის ყველაზე ახლობლად?

— **ილია ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია.**

— რა მიგაჩნიათ შემოქმედის მთავარ თვისებად?

— **ნიჭი, სიწმინდე, თავგანწირვა, შრომისმოყვარეობა.**

— თქვენ ემოციური ადამიანი ბრძანდებით, საინტერესოა თქვენი ურთიერთობა კოლეგებთან, შინაურებთან, ხალხთან საერთოდ.

— **გაწონასწორებული კაცი არა ვარ, საოცარი უკიდურესობები მაქვს. მიუხედავად ამისა, ხალხისგან სითბონაკლული ვართქო, ვერ ვიტყვი.**

— ამ ძნელბედობის ჟამს, რას უსურვებდით ქართველ ხალხს?

— **ქართველები სულ სამმილიონ ნახევარნი ვართ და ვერ მოვახერხეთ კამათი ჩხუბში არ გადავზარდოთ, ვისაც ჩვენი საწინააღმდეგო აზრი გააჩნია, მტრად ვსახავთ, ვაბრალებთ იმასაც კი, რისიც ჩვენ თვითონ არ გვჯერა; ერთმანეთს არ ვინდობთ. მოძღვრისგან კურთხევას და ზიარებას ვიღებთ, საღვთო წიგნიდან ციტატებს ვიძახით, მოყვასისთვის შეცდომის მიტევება კი არ შეგვიძლია. ქუდზე კაცის დაძახება რომ დაგვჭირდეს, მაშინ არ დაგვაკლდეს ერთმანეთი. მიზანი ხომ ყველას ერთი გვაქვს, შევრიგდეთ და გავერთიანდეთ, მაშინ მივალთ სანუკვარ სურვილთან, მხოლოდ მაშინ შეიძლება ფიქრი და ოცნება იმ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოზე.**



გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ მე-4 ნომერი. მკითხველი ჟურნალის ახალ ნომერში იხილავს ბევრ საინტერესო მასალას: წმინდა სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის „ქრისტეს აღდგომის შესახებ“ და „სამოღვაწეო და საღვთისმეტყველო თავნის“ ედიშერ ჭელიძისა და მაია ინდუაშვილის თარგმანებს; წერილებს მარიამ მაგდალინელზე; ხარების, უფლის აღდგომისა და ბზობის ხატებზე; „წილკნის საეპარქიოს ისტორიაზე“... დაინტერესებულ მკითხველს ჟურნალის ოთხივე ნომრის შეძენა შეუძლია გამომცემლობა „მერანის“ საფირმო მაღაზია-სალონში.

# განცხადება

ბატონმა თედო პაატაშვილმა 16 იანვრის პრესკონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა მის უკანასკნელ ვიზიტს აშშ-ში, ახსენა საქართველოში უკვე კარგად ცნობილი 24-ე რეზოლუცია და გაოცება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ამ რეზოლუციის უცხოეთში არსებულ პირზე ვერ აღმოაჩინა გიორგი ჭანტურიას გვარი, მაგრამ იმის შესახებ, რომ იქ ჩემი გვარი იყო, მას, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, არაფერი უთქვამს. ამასთან დაკავშირებით, მსურს განვაცხადო შემდეგი:

24-ე რეზოლუცია მიღებულ იქნა პრაღაში საერთაშორისო ორგანიზაციის — „დემოკრატია და დამოუკიდებლობის“ კონფერენციაზე და ამ რეზოლუციაზე პასუხისმგებელი სწორედ ეს ორგანიზაციაა, რომლის წევრიც გახლავართ მე. ამდენად, რეზოლუციის ტექსტზე დაფიქსირდა მხოლოდ ორგანიზაციის წევრთა გვარები, მათ შორის ჩემიც. რაც შეეხება გიორგი ჭანტურიას, იგი ამ კონფერენციაზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა და, ამდენად, მისი გვარი დედანში არ დაფიქსირებულა. ამასთან, პრაღის კონფერენციაზე მყოფ ნებისმიერ სტუმარს მიეცა იმის უფლება, რომ რეზოლუციის გამოქვეყნებისას ან გახმაურებისას, თუ სურვილი ჰქონდა, საკუთარი გვარიც დაემატებინა. 24-ე რეზოლუცია გამოსაქვეყნებლად, როგორც ცნობილია, მიტანილ იქნა გაზეთ „ქართულ ფილმში“, სადაც ჩემთან ერთად ამ რეზოლუციას ხელს აწერდა გიორგი ჭანტურიაც. არ ვიცი, რედაქციისა თუ ჩვენი უყურადღებობის გამო, გამოქვეყნებისას გამოტოვებული იყო ჩემი გვარი. მაშინ ჩვენ ამისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიგვენიჭებია და არც შესწორება გაგვიკეთებია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბრძოლაში ასი თვალი და ასი ყურია საჭირო და ის, რაც ობიექტურ ადამიანს უმნიშვნელოდ ეჩვენება, სხვამ შეიძლება, სრულიად მოულოდნელი კუთხით, ერთი შეხედვით, პატარა უზუსტობის გაპარვით შენთვის დღემდე უმნიშვნელო დეტალით ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ეჭვი დაბადოს.

**ირინა სარიშვილი**

# ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს ეროვნული არქივები ჩვენი დიდებული წარსულის განძთსაცავია. აქ პერგამენტებზე, ფოლიანტებზე, კინო და ფოტოფირებზე, ხმისჩანაწერებში შემონახულია ისტორიული მნიშვნელობის მოვლენისა და ფაქტის, ცნობილ მამულიშვილთა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

წლების განმავლობაში არქივის ლვაწლმოსილი მუშაკები მოიძიებდნენ, აგროვებდნენ და სათუთად უნახავდნენ შთამომავლობას იმ ძვირფას დოკუმენტებს, რაც უკვე საქართველოს მატიანედ ქცეულა. ამ დიდებულ საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილებმა თავისი პირადი არქივების სახელმწიფო შენახვაზე გადმოცემით.

ძვირფასო თანამემამულენო! გთხოვთ არქივის მუშაკებს გაგვიწიოთ თანადგომა, იმოღვაწეოთ ჩვენთან ერთად საქართველოს მატიანეს გასამდიდრებლად; მოიძიეთ თქვენს ახლობლებში საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და ისინი ერის, ფართო საზოგადოების კუთვნილება გახადეთ.

ქართველი ხალხი სათანადოდ დააფასებს თქვენს დიდ მცდელობას, ამასთან ერთად გპირდებით, რომ პირადი არქივის მფლობელს ჩვენს დიდ მადლობასთან ერთად ექნება დოკუმენტების დაცვის სრული გარანტია და შესაბამისი ანაზღაურება.

თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი № 1
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება **„მემატიანე“**

ტელ. 37-28-01
37-38-07

# ·სახალისო ანეკდოტები და ა.შ.·



●

— რა არის ნეიტრალიტეტი? ახმედი საბანს თავისკენ ექაჩება, აბდულა — თავისკენ. მე კი შუაში ვარ და თბილადა ვარ.

●

მსახიობ ქალზე:
— როგორია მისი ამპლუა?
— ინჟენიუ — კომკავშირია (ინჟენიუ — აქ: გულუბრყვილო, მიამიტი ქალის როლის შემსრულებელი მსახიობის ამპლუა — მთარგმნ.).




●

„პრავდაში“ არ არის „იზვესტია.“ „იზვესტიაში“ კი არ არის „პრავდა.“

●

მამაჩემი ლოგინს უშლის ლიდია გინზბურგს. ლენინგრადელს, რომელიც მოსკოვში გავლითაა და ჩვენთან ათენებს.
— რას ხლაფორთობ ერთი? ძალიან მეუხერხულება. მე შემიძლია ლურსმნებზეც დავწვე.
— ქალების კაპრიზებს ხომ საშველი არ დაადგება! ღამის პირველ საათზე ლურსმნები სად ვიშოვო? ულურსმნოდ დაწექი.

●

ლენინი მატერიალისტური იდეალისტი იყო — იდეისთვის ცხოვრობდა და მოკვდა, მაგრამ იდეა მატერიალისტური იყო.

●

ტრამვაიში:
— რამდენჯერ გთხოვე ხმამაღლა არ გამოგეთქვა შენი პოლიტიკური მოსაზრებები. შენ კიდე სულ საჯაროდ ოხრავ.

●

**ქმარი.** ტურფა, სად ავიღო ორმოცდაათი მანეთი შენი ჰინჰებისთვის?
**ცოლი.** შენ ოღონდ მე მომეცი და აღებით მე ავიღებ.

●

სერგეი ესენინის საყვარელი ანეკდოტი:
— მითხარით, თქვენს საათზე რა დროა?
— არ ვიცი.
— რაო, გაჩერდა?
— არა, მუშაობს.
— აბა, რატომ...
— შინ დავტოვე, იცით, რა, თან ვერ ვატარებ — საწონები და ქანქარა მძიმეა...

●

ნიკოლოზ ერდმანი ტელეფონზე ელაპარაკება მანდილოსანს და ასე ემშვიდობება:
— გკოცნი კოჭზე!
ყურმილი დადო. დაღონდა.
— ეჰ, მე ანატომიაში ძალიან მოვიკოჭლებ. ვიმედოვნებ, რომ კოჭი რიგიანი რაღაცაა. ჩვენ ხომ ისეთი ურთიერთობა არა გვაქვს.

●

მოსკვინი და სტანისლავსკი (მოხუცი — ბავშვი) თეატრში ბოლთას სცემენ. წითელი კუთხე, ბიუსტი.

**მოსკვინი:** ძალიან ნაცნობი ბიუსტია. ნუ მიკარნახებთ, მე თვითონ გავიხსენებ. ეს, რასაკვირველია, ლუკიჩია!
**სტანისლავსკი:** მომისმინეთ, ლუკიჩი კი არაა, რაღაცნაირად სხვანაირად ეძახიან. თქვენ ასე ნუ იტყვით, თორემ შეიძლება ლუბიანკაზე, იმათ „მგუ“-ში ჩაგსვამ....
**ნემიროვიჩ-დანჩენკოს** გადასცეს ეს დიალოგი. ის ძალიან აღშფოთდა:
— ისე კი ახი იქნება მოსკვინზე, „გუმში“ თუ ჩასვამენ. როგორ შეიძლება ფომიჩს ილიჩი დაუძახო!

●

ბედმა გაგვიღიმა, ოჯახში ჩვენ ყველანი შავგვრემნები ვართ, არადა, ვიწროთვალებიანები ვართ. ჩემი ორივე შვილი კარგად მოეწყო, — ისინი კომინტერნში ჩინელებად მუშაობენ...



●

ქმარი და ცოლი დაბრუნდნენ სხვადასხვა კურორტებიდან. ღამეა. ცოლი ლოგინიდან ხტება და ნამძინარევი ყვირის: „ვაიმე, ქმარი მოვიდა!“ ქმარი თავზარდაცემული ყვირის: „სადაა ის?“ და საწოლქვეშ იმალება.

# რა დავარქვათ ამგვარ საქციელს?

გაზეთ „თბილისის“ 1991 წლის 26 მარტის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა,“ რომელსაც ხელს აწერს ამავე გაზეთის თანამშრომელი ბონდო მძინარაშვილი.

წერილი შედგება ოთხი საგაზეთო სვეტისაგან და შეიცავს 198 სტრიქონს, აქედან 150 სტრიქონი, კერძოდ, პირველი სვეტი სრულად (ორწინადადებიანი შესავლის გარდა), მეორე სვეტი სრულად, მესამე სვეტის პირველი ათი ხაზი, მეოთხე სვეტის მეორე აბზაციდან წერილის ბოლომდე, (გარდა ორი სიტყვისა „უზენაესი საბჭო“) და თვით სათაურიც **სიტყვა-სიტყვით გადაწერილია** ჩემი ვრცელი სტატიიდან „თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან,“ რომელიც გაზეთ „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1990 წლის 30 იანვარს გამოაქვეყნა.

ჩემს სტატიას ლაიტმოტივად გასდევს ბაირონის შემდეგი სიტყვები: „მე მომავალი ასეთი მსურს ამა ქვეყნისა — თავისუფალი ბრბოსგან ისე, როგორც მეფისგან“, რომელიც მე სპეციალურად ამ პუბლიკაციისთვის ვთარგმნე.

იქვე მომყავს ანტონ ჩეხოვის ცნობილი სიტყვები, «Я по капле выбиваю из себя раба», რომელიც ბ. მძინარაშვილს ქვესათაურად გამოუტანია, მაგრამ შეცდომით: «Я по капле выпиваю из себя раба».

ბ. მძინარაშვილს მესამე სვეტის მესამე აბზაცში გადაუჭრია ჩემი წინადადება და შინაარსობრივად იგი ველარ გაუმართავს: „ნაცვლად უზენაესი საბჭოს დისკრიმინაციისა,“ სწორი იქნებოდა ეხმარა „უზენაესი საბჭოს დისკრედიტაცია.“ საყურადღებოა, რომ მთლიანობაშიც კომპილაცია „ნაცადი“ მონტაჟის ეფექტს ვერ ქმნის და წერილი სუსტი ტრიუკის დონეზე რჩება.

გაზეთ „თბილისის“ რედაქციას ვთხოვ წერილობით პასუხს, თორემ ზეპირი პასუხი უკვე გამცეს: „ბონდოს იმდენად კარგი მეხსიერება აქვს, რომ შესაძლებელია, მან თქვენი წერილი თავის დროზე წაიკითხა (თუმცა, ბონდო აცხადებს, რომ ჩემი წერილი თვალით არ უნახავს — ი. მ.), ტექსტი გონებაში ჩარჩა და ველარ გაარჩია, სხვისი იყო თუ თავისი“.

იმედია, ასეთი „განსაკუთრებული“ მეხსიერების მქონე ახალგაზრდა ჟურნალისტი ამ წერილსაც დაიმახსოვრებს და მომავალ საქმიანობაში გაითვალისწინებს.

**ინესა მერაბიშვილი**
**თსუ დოცენტი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი.**

**გასწორება**

ჩვენი გაზეთის 22 მარტის ნომერში დაბეჭდილ თ. პაჭკორიას კორესპონდენციაში მეორე სვეტის 20-22-ე სტრიქონები უნდა იკითხებოდეს ასე: „მიმართავდნენ არააფხაზი ეროვნების ამომრჩეველთა დაშინების მეთოდებს.“

მე-15 გვერდზე, სარედაქციო მინაწერის მე-7 სტრიქონში უნდა იყოს არა „ვიფიქრებთ“, არამედ — „ვფიქრობთ.“

**მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.**

**სარედაქციო კოლეგია:** თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია, ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, ბიძი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

**პასუხისმგებელი მდივანი ბიჭი ჯოხაძე**

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი



**რედაქციის მისამართი:**
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

**ტელეფონები:**

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-08-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA

**გაყიდვის პარასკეობით**